

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო
სტანდარტების განყოფილება

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

/ სახელმძღვანელო მასალა /

თბილისი
2008

025.3

ს 13

შემდგენლები: მ. კალანდარიშვილი, ნ. ქავთარაძე
რედაქტორები: გ. თაყნიაშვილი, ლ. კაცაძე

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა:
სახელმძღვანელო მასალა / შემდგ.: მ. კალანდარიშვილი, ნ. ქავთარაძე;
რედ.: გ. თაყნიაშვილი, ლ. კაცაძე; საქართველოს პარლამენტის ილია
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა . – თბ., 2008 .– ... გვ.
უფასო

გ ა ნ ც ო ფ ი ლ ე ბ ა 1. ზოგადი დებულებანი. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სტრუქტურა

თავი 1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი

1.1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ელემენტი, რომელიც შეიცავს ცნობებს დოკუმენტის აღწერილობის ობიექტის შესახებ, რაც მისი იდენტიფიკაციის, შემადგენლობისა და შინაარსის გახსნის საშუალებას იძლევა ბიბლიოგრაფიული ძიების მიზნებისათვის.

1.2. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შემადგენლობაში (ეხება როგორც ბეჭდურ ბიბლიოგრაფიულ მარკვენებლებს, ასევე ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს) შედის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, და აუცილებლობის შემთხვევაში ივსება სათაურებით, (საკლასიფიკაციო ინდექსებით და საგნობრივი რუბრიკებით), ანოტაციებით, დოკუმენტის დაცვის შიფრით, სხვა ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებთან კავშირებით და დამატებითი ინფორმაციებით დოკუმენტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მასზე ხელმისაწვდომობას.

თავი 2. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

2.1. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა არის ბიბლიოგრაფიულ ცნობათა ერთობლიობა დოკუმენტის შესახებ, რომელიც მოყვანილია გარკვეული წესების შესაბამისად, და ადგენს სფეროებისა და ელემენტების თანმიმდევრობას. იგი განკუთვნილია დოკუმენტის იდენტიფიკაციისა და ზოგადი დახასიათებისათვის.

2.2. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შემადგენლობაში შედის შემდეგი სფეროები:

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო;
2. გამოცემის სფერო;
3. სპეციფიკურ ცნობათა სფერო;
4. საგამომცემლო ცნობების სფერო
5. ფიზიკური დახასიათების სფერო;
6. სერიების სფერო;
7. შენიშვნების სფერო;
8. სტანდარტული ნომრისა (ან მისი ალტერნატივების) და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო.

2.3. ბიბლიოგრაფიულ აღწერილობათა სფერო არის აღწერილობის მსხვილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოიცავს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ერთ ან რამდენიმე ფუნქციონალურ და (ან) შინაარსობრივად ერთგვარ ელემენტებს.

2.4. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტი – აღწერილობის მინიმალური სტრუქტურული ერთეულია: სიტყვა, სიტყვათშეერთება, აბრევიატურები, ციფრები, პირობითი აღნიშვნები (ან) მათი ერთობლიობა და სხვა ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცალკეულ ერთეულებს.

2.4. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტები იყოფა აუცილებელ (მთავარ) და ფაკულტატურ ელემენტებად. აღწერილობაში შეიძლება იყოს მხოლოდ აუცილებელი ელემენტები, ან აუცილებელი და ფაკულტატური.

2.5. აუცილებელი ელემენტები შეიცავენ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დოკუმენტის იდენტიფიკაციას. ისინი მოჰყავთ ნებისმიერ ჩანაწერში.

2.6. ფაკულტატური ელემენტები შეიცავენ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც იძლევიან დოკუმენტის შესახებ დამატებით ინფორმაციას (მისი შინაარსის, სამკითხველო დანიშნულების, ილუსტრაციული მასალის შესახებ და სხვ.). ფაკულტატური ელემენტების ნაკრებს განსაზღვრავს დაწესებულება, სადაც დგება ჩანაწერი.

ფაკულტატური ელემენტები მეტი სისრულით მიეთითება სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისათვის, ბიბლიოგრაფიული კატალოგებისათვის (ბარათული და ელექტრონული ფორმის), მსხვილი უნივერსალური სამეცნიერო და სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ცენტრებისათვის.

2.7. სფეროები და ელემენტები მიეთითება დადგენილი თანმიმდევრობით და წინ უძღვის შემდეგი პირობითი პუნქტუაცია:

- . – წერტილი და დეფისი
- . წერტილი
- , მძიმე
- : ორწერტილი
- ; წერტილ-მძიმე
- / დახრილი ხაზი
- // ორი დახრილი ხაზი
- () მრგვალი ფრჩხილები
- [] კვადრატული ფრჩხილები
- + მიმატების ნიშანი (პლუსი)
- = ტოლობის ნიშანი

ცალკეული სფეროები და ელემენტები შეიძლება განმეორდეს. ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ელემენტებს, მაგრამ გრამატიკულად შეკავშირებულია ერთ წინადადებაში, იწერება წინა ელემენტში.

2.8. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყველა ობიექტისათვის, სფეროების, ელემენტებისა და პირობითი პუნქტუაციის პირობითი თანმიმდევრული მითითების წესები საერთოა.

თავი 3. ხელმისაწვდომობის წერტილები

3.1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენის პროცესში აუცილებელია განისაზღვროს ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩანაწერზე ხელმისაწვდომობას, მის ძიებას და იდენტიფიკაციას.

ხელმისაწვდომობის ობიექტების არჩევა წარმოებს დოკუმენტის სახის, საგამომცემლო ცნობების განლაგების ან ანალოგიური მონაცემების (ელექტრონული და სხვა არაწიგნური რესურსების) გათვალისწინებით.

3.2. ხელმისაწვდომობის ობიექტად მიიჩნევა სათაურები, რომლებიც შეიცავენ პირთა სახელებს და ორგანიზაციების სახელწოდებებს, ციფრულ და ასოით აღნიშვნებს, გეოგრაფიულ დასახელებებს, სათაურებს, მათ შორის უნიფიცირებულ სათაურებს და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების სხვა ელემენტებს. ხელმისაწვდომობისათვის ცნობებს იღებს ინფორმაციიდან, რომლებიც მოთავსებულია დოკუმენტში და სხვა წყაროებში (საცნობარო გამოცემებში, ავტორიტეტულ ფაილებში, მეტამონაცემებში და სხვ.).

თავი 4. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ობიექტები

იყოფა დოკუმენტის სახის, ობიექტის კატეგორიის, ფიზიკური მატარებლის სახის, ობიექტების ნაწილთა რაოდენობის, მასზე ხელმისაწვდომობის რეჟიმის, მისი დასრულებულობის მიხედვით.

1. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის ობიექტებს წარმოადგენს ყველა სახის გამოქვეყნებული (მათ შორის დეპონირებული) და გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ნებისმიერ მატარებელზე - წიგნები, სერიალური და სხვა გრძელდებიანი რესურსები, სანოტო, კარტოგრაფიული, აუდიოვიზუალური, სახვითი ხელოვნების დოკუმენტები, ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტები, მიკროფორმები, ელექტრონული რესურსები, მისი შემადგენელი ნაწილები; ერთგვარი და მრავალგვარი დოკუმენტის ჯგუფები.

2. ნაწარმოები – ეს ინდივიდუალურ-ინტელექტუალური ან მხატვრული შემოქმედებაა, არამატერიალური ობიექტი, რომელიც ცალკეული გამოხატვით შეიმეცნება. ნაწარმოების ტექსტის ვარიანტები, განახლებული, შემცირებული ან გაფართოებული, განიხილება როგორც ერთი და იგივე ნაწარმოები. ანალოგიურად განიხილება თარგმანები ერთი ენიდან მეორეზე, მუსიკალური ტრანსპონირება და ორკესტრირება, კინოფილმების დუბლირება ან მისი სუბტიტრებით აღჭურვა.

3. ახალ ნაწარმოებად, მაგრამ არა ერთი და იგივე ნაწარმოებად, განიხილება მისი გადამუშავება, ადაპტაცია, პაროდები, მუსიკალური ვარიაციები თემაზე, რეფერატები, დაიჯესტები, რეზიუმეები, ერთი ლიტერატურული ან მხატვრული ფორმიდან გადაკეთება (ინსცენირება, კომპოზიციები და ა. შ.).

4. ნაწარმოების ლოგიკური ატრიბუტებია მისი სათაური, ფორმა, შექმნის თარიღი, დანიშნულება.

ა) ნაწარმოების სათაური – არის ბიბლიოგრაფიული ელემენტი, რომლითაც ნაწარმოები მეტადაა ცნობილი.

ერთ ნაწარმოებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთი ან რამდენიმე სათაური.

ბ) ნაწარმოების ფორმა – არის ჟანრი, რომელსაც მიეკუთვნება ნაწარმოები, მაგალითად, რომანი, პიესა, პოემა, ნარკვევი, სიმფონია, კონცერტი, სონატა, რუქა, ნახატი, ფოტოგრაფია, და ა.შ.

გ) ნაწარმოების შექმნის თარიღი - ესაა თარიღი (ჩვეულებრივ წელი), როცა ნაწარმოები იქნა პირველად შექმნილი.

დ) დანიშნულება – ინფორმაცია მკითხველთა კატეგორიის შესახებ, ვისთვისაც დანიშნულია ნაწარმოები.

5. გამოსახვა (გამოსახვის ფორმა) გვიჩვენებს, რომელ ინტელექტუალურ ან მხატვრულ ფორმაშია რეალიზებული აბსტრაქტული ნაწარმოები – ტექსტური, ციფრული, სანოტო, ხმოვანი, გრაფიკული და ა.შ. ან მისი კომბინაცია.

5.1. ერთი და იგივე ნაწარმოების გამოსახვის ფორმის ნებისმიერი ცვლილება, მაგალითად, ტექსტურის – ხმოვანით, ახალი გამოსახვაა.

5.2. ნაწარმოების გამოსახვის ლოგიკური ატრიბუტები არის მისი სათაური, შექმნის თარიღი, ენა, მოცულობა, ხელმისაწვდომობის პირობები.

ა) გამოსახვის სათაური – კონკრეტული ნაწარმოების სათაური. ერთ გამოსახვასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთი ან რამდენიმე სათაური.

ბ) შექმნის თარიღის გამოსახვა – ეს არის, ნაწარმოების კონკრეტული ტექსტის დაწერის ან გადამუშავების თარიღი.

გ) გამოსახვის ენა – არის ენა, რომელზედაც არსებობს ნაწარმოები, შეიძლება მოიცავდეს რიგ ენებს, რომელთაგან თითოეული მიეკუთვნება გამოსახვის ცალკეულ კომპონენტს.

დ) გამოსახვის მოცულობა - არის ინტელექტუალური შინაარსის გამოსახვა, ტექსტში სიტყვათა რაოდენობა. ხმოვანებით ან მოქმედებებით გამოსახული ნაწარმოებისათვის, მოცულობა შეიძლება იყოს მაგალითად, ხმოვანობის დროის ხანგრძლივობა.

ე) ხელმისაწვდომობის პირობები - არის ხელმისაწვდომობის განსაზღვრა გამოსახვაზე და მის გამოყენებაზე, საავტორო უფლების საფუძველზე.

5.3. განხორციელება (განხორციელების ფორმა) - ნაწარმოების რეალიზების ფიზიკური ფორმა, წარმოადგენს ყველა ფიზიკურ ობიექტს, რომელთაც გააჩნიათ ერთი და იგივე მახასიათებლები როგორც ინტელექტუალური შინაარსის ასპექტში, ასევე ფიზიკურ ფორმაში: წიგნები, ხელნაწერები, პერიოდული გამოცემები, რუქები, ბარათები, ხმისჩამწერები, კინოფილმები, ვიდეოჩანაწერები, მულტიმედია და ა.შ. სხვადასხვა ფიზიკურ მატარებელზე. განხორციელების ობიექტს თავის მხრივ წარმოადგენს ფიზიკურ ერთეულთა (ტირაჟის) ერთობლიობა.

5.4. ახალ გამოცემად განიხილება ცვლილებები შრიფტში, ზომაში, გვერდების გაფორმებაში; ცვლილებები ფიზიკურ მატარებელზე (მაგალითად, ქაღალდიდან მიკროფილმამდე); ცვლილებები კონტეინერში მაგნიტური ფირისთვის (მაგალითად, კასეტიდან კარტრიჯამდე); გამომცემლის, გამავრცელებლის, მწარმოებლის ცვლილება. საწარმოო პროცესების დასრულების შემდეგ კონკრეტულ ფიზიკურ ერთეულში ცვლილებები (მაგალითად, გვერდების რაოდენობა, ახალი ყდა) არ ითვლება ახალ (გამოცემად) განხორციელებად.

5.5. გამოცემის ლოგიკური ატრიბუტებია მისი სათაური, პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, ცნობები გამოცემის შესახებ, გამოცემის ადგილი (გავრცელება), გამომცემელი (გამავრცელებელი), გამოცემის თარიღი, მატარებლის ფორმა და მოცულობა, სერიების შესახებ ცნობები, განხორციელების იდენტიფიკატორი, შექმნის წყაროები და ხელმისაწვდომობის პირობები.

ა) გამოცემასთან დაკავშირებული სათაური, მოიცავს ყველა სათაურს, რომლებიც დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი, მაგალითად, სათაური თავფურცელზე, ყუაზე, ყდაზე, კოლოფონზე, ტექსტის წინ, კონტეინერზე და ა.შ., მოიცავს ასევე სათაურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის მიზნებისათვის (მაგალითად, საკვანძო სათაური, თარგმანის სათაური).

ბ) პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები - ეს არის ცნობები, რომლებიც აღნიშნავენ პირს, პირთა ჯგუფს, ორგანიზაციას, ორგანიზაციათა ჯგუფს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შექმნაზე ან ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის რეალიზაციაზე (ავტორი, კომპოზიტორი და ა.შ., სხვა პირები - რედაქტორი, შემდგენელი და ა.შ.). პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში შეიძლება მითითებული იყოს თითოეული ამ პირისა და ორგანიზაციის როლი და ფუნქცია.

გ) გამოცემის შესახებ ცნობები - მონაცემები ორ მონათესავე განხორციელებას შორის შინაარსისა და ფორმის განსხვავების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი გამოცემული იყო ადრე, მაგალითად: მესამე გამოცემა, ვარიანტი 4.0.

დ) გამოცემის (გავრცელების) ადგილი, გამომცემელი (გამავრცელებელი), გამოცემის (გავრცელების) თარიღი - ცნობები ქალაქის ან სხვა პუნქტის შესახებ, დაკავშირებული განხორციელების გამომცემლის სახელთან და განხორციელების გამოშვების წელთან (წლებთან).

ე) ინფორმაციის მატარებლის ფორმა და მოცულობა – ეს არის კლასი მასალისა, რომელსაც განეკუთვნება განხორციელების ფიზიკური მატარებელი, მაგალითად, ვიდეოკასეტა, აუდიოკასეტა, დიაპოზიტივი და მატარებლის შემდგენელი განზომილების ერთეულთა რაოდენობა, მაგალითად, ფურცელთა, დისკების რაოდენობა და ა.შ.

ვ) გამოცემის ზომები – ესაა განხორციელების ფიზიკური კომპონენტებისა და (ან) კონტეინერის ზომები სიმაღლის, სიგანის, სიგანისა და სიმაღლის, სიგანისა და სიღრმის, დიამეტრის მიხედვით და ა.შ.

ზ) სერიების შესახებ ცნობები – მონაცემები, რომელთაც ეწოდება სერიები, რომელთაც განეკუთვნება განხორციელება.

თ) განხორციელების იდენტიფიკატორი - ეს არის ციფრი ან კოდი, მოცემული განხორციელებისათვის უნიკალური, რომელიც განასხვავებს მას სხვა განხორციელებისაგან. შეიძლება გააჩნდეს ერთი ან რამდენიმე იდენტიფიკატორი, მაგალითად, ISBN როგორც საერთაშორისო ნუმერაციული სისტემის ნაწილი; ნომრები და კოდები განხორციელებისათვის გამომცემელთა, გამავრცელებელთა, კატალოგიზატორთა, ბიბლიოგრაფთა მიერ მინიჭებული.

ი) შექმნის წყარო - ეს არის გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. სახელი, მისამართი.

კ) გამოცემის ხელმისაწვდომობის პირობები - ეს არის ფასი, რის მიხედვითაც იყიდება გამოცემა, ან ცნობები ფასის შესახებ მკითხველთა გარკვეული კატეგორიისათვის და ა.შ. ხელმისაწვდომობის განსაზღვრა განხორციელებაზე.

5.6. ფიზიკური ერთეული, როგორც ობიექტი, იძლევა გამოცემის ინდივიდუალური ეგზემპლარის იდენტიფიცირების, სხვა ეგზემპლარისაგან განსხვავების, ასევე იმ მახასიათებლების აღწერის საშუალებას, რომელნიც ნიშანდობლივია ცალკეული ეგზემპლარისათვის (ავტოგრაფის, ექსლიბრისის, დეფექტების შესახებ და ა.შ.)

5.6.1. ფიზიკური ერთეული შეიძლება მოიცავდეს ერთ ფიზიკურ ობიექტზე მეტს, მაგალითად, მონოგრაფია ორ ტომად, ხმისჩამწერი სამ ცალკეულ კომპაქტ-დისკზე.

5.6.2. ფიზიკური ერთეულის ლოგიკურ ატრიბუტებს წარმოადგენს იდენტიფიკატორი, წარმოშობა, აღნიშვნები (წარწერები), საგამოფენო ისტორია, ფიზიკური ერთეულის მდგომარეობა, ფიზიკურ ერთეულზე ხელმისაწვდომობის განსაზღვრა (ან შეზღუდვა).

ა) ფიზიკური ერთეულის იდენტიფიკატორი - ეს არის ნომერი ან კოდი, დაკავშირებული ფიზიკურ ერთეულთან. ის ამ ფიზიკურ ერთეულს განასხვავებს სხვა ნებისმიერი ფიზიკური ერთეულისაგან იმავე ფონდში, კოლექციაში (მაგალითად, წიგნის შიფრი, ინვენტარის ნომერი, შტრიხ-კოდი). ნომერს ჩვეულებრივ ანიჭებს დაწესებულება, რომელიც იცავს ფიზიკურ ერთეულებს. იდენტიფიკაციაში შეიძლება შედიოდეს დაწესებულების ან საცავის სახელი, კონკრეტული კოლექციის ან ბიბლიოთეკის განყოფილების სახელი და კოდი (მაგალითად, იშვიათი წიგნების, ბიბლიოთეკა-ფილიალის ფონდი).

ბ) აღნიშვნები (წარწერები) – ნებისმიერი უნიკალური აღნიშვნები, მხატვრის, დამამზადებლის, მფლობელის და სხვ.

გ) ფიზიკური ერთეულის მდგომარეობა – ეს არის ეგზემპლარის ფიზიკური მდგომარეობა და განსაკუთრებით ნებისმიერი განსხვავება ფიზიკურ ერთეულსა და იმ გამოცემას შორის, რომლის ეგზემპლარის როლსაც ასრულებს.

დ) ფიზიკურ ერთეულზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა - ფიზიკური ხელმისაწვდომობის ნებისმიერი შეზღუდვა, მაგალითად, მეთვალყურეობის ქვეშ გამოყენების შეზღუდვა.

7. ფიზიკურ მატარებლად მიიჩნევა ქაღალდის მატარებლები (საბეჭდი მანქანით დაბეჭდილი ტექსტი, ბეჭდური გამოცემები, ასლი, ხელნაწერი, კომპიუტერზე დაბეჭდვა, ბრაილის შრიფტით შესრულებული დოკუმენტი), მიკრომატარებლები (მიკროფიშები, მიკროფილმები და სხვა მიკროფორმები), კინოფირზე მატარებლები (კინოფილმები, დიაფილმები, მაგნიტოფირები), მაგნიტური მატარებლები (მაგნიტური ფირები, კასეტა მაგნიტური ფირით, კარტრიჯი, მაგნიტური დისკი, მაგნიტური რუქა, ვიდეოკასეტა, აუდიოკასეტა, მიკროკასეტა), პერფორმირებლები (პერფორუქები), ოპტიკური (ლაზერული) მატარებლები (კომპაქტ-დისკები, ვიდეოდისკები), ჰოლოგრაფიულ საფუძველზე მატარებლები და სხვ.

ფიზიკური საშუალება – ეს არის მასალის ტიპი, რომლისგანაც შექმნილია გამოცემა, მაგალითად, ქაღალდი, ხე, პლასტმასი, მეტალი. ძირითადი მასალის გარდა ფიზიკურ საშუალებას განეკუთვნება, მაგალითად, ტილოზე დატანებული ზეთის საღებავი, ქაღალდზე დატანებული სასტამბო საღებავი, ფირის საფუძველზე დატანებული ქიმიური ემულსია.

8. ნაწილთა რაოდენობის მიხედვით განსხვავდება ობიექტები, ერთი ნაწილისაგან შედგენილი (ერთნაწილიანი ობიექტები) და ობიექტები, ორი და მეტი ნაწილისაგან შედგენილი (მრავალნაწილიანი ობიექტები).

ა) ერთნაწილიანი ობიექტი – დამოუკიდებელი ერთჯერადი დოკუმენტი ან მრავალნაწილიანი დოკუმენტის ცალკეული ფიზიკური ელემენტი ერთ ფიზიკურ მატარებელზე (ერთტომეული დოკუმენტი ან ცალკეული ტომი (გამოშვება) მრავალტომეული დოკუმენტის, სერიალური ან სხვა გრძელდებადი რესურსის, კომპლექსური დოკუმენტის ცალკეული კომპონენტი).

ბ) მრავალნაწილიანი დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ცალკეულ ფიზიკურ ერთეულთა ერთიანობას ერთნაირ ან სხვადასხვა ფიზიკურ მატარებელზე (მრავალტომეული დოკუმენტი, კომპლექსური დოკუმენტი, სერიალური ან სხვა გრძელდებადი გამოცემა).

გ) ობიექტი შეიძლება იყოს ასევე ერთნაწილიანი ან მრავალნაწილიანი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი.

9. ხელმისაწვდომობის რეჟიმის მიხედვით განსხვავდება ლოკალური ხელმისაწვდომობის ობიექტები, ფიზიკურ მატარებლებზე ინფორმაციის შემცველი და შორეული ხელმისაწვდომობის ობიექტები, კომპიუტერულ ქსელებში მოთავსებული ინფორმაციის შემცველი, მაგალითად, ინტერნეტში ან კომპიუტერზე ვინჩესტერში.

10. დასრულებული ობიექტები თავის მხრივ წარმოადგენენ დასრულებული მონოგრაფიულ დოკუმენტებს, ასევე სერიალური და სხვა გრძელდებადი რესურსების ცალკეულ დასრულებულ გამოშვებებს, ჩვეულებრივ დანომრილ, გამოშვების ნომერთა განუსაზღვრელობითა და დასრულების წინასწარ დადგენილი ვადით.

თავი 5. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების სახეები

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები შეიძლება განვასხვავოთ: ობიექტით, ჩანაწერის სტრუქტურით, ელემენტების ნაკრების სისრულით, ხელმისაწვდომობის შერჩევის წერტილებით, ცვლილებათა არსებობით, ჩანაწერთა რაოდენობით.

1. ობიექტის სახის მიხედვით განასხვავებენ წიგნების, სერიალური და სხვა გრძელდებიანი რესურსების, ნოტების, კარტოგრაფიული, აუდიოვიზუალური, გამომსახველობითი, ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტების, მიკროფორმების, ელექტრონული რესურსების და ა.შ. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს.

2. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ ერთდონიან და მრავალდონიან ჩანაწერს.

2.1. ერთდონიანი ჩანაწერი მოიცავს ერთ დონეს, იგი შედგება ერთნაწილიან დოკუმენტზე; მრავალნაწილიან დასრულებულ დოკუმენტზე მთლიანად; ცალკეულ ფიზიკურ ერთეულზე, ასევე მრავალნაწილიანი დოკუმენტის ფიზიკურ ერთეულთა ჯგუფზე.

2.2. მრავალდონიანი ჩანაწერი მოიცავს ორ ან მეტ დაკავშირებულ დონეებს და შედგება მრავალნაწილიან დოკუმენტზე (მრავალტომეული და კომპლექტური დოკუმენტი მთლიანად, სერიალური ან სხვა გრძელდებიანი რესურსი მთლიანად), ან ცალკეულ ფიზიკურ ერთეულზე, ასევე მრავალნაწილიანი დოკუმენტის ცალკეულ ფიზიკურ ერთეულთა ჯგუფზე – მრავალტომეულის, კომპლექტური დოკუმენტის, სერიალური ან სხვა გრძელდებიანი რესურსის ერთი ან რამდენიმე ტომი (გამოშვება, ნომერი).

2.3. მრავალდონიანი ჩანაწერის პირველ დონეზე (ზოგადი ნაწილი) მოყავთ ცნობები, მრავალნაწილიანი დოკუმენტის შემადგენლობაში შემავალი ყველა ან უმეტესი ფიზიკური ერთეულისათვის საერთო - ტომები (გამოშვება, ნომრები).

2.4. მრავალდონიანი ჩანაწერის მეორე დონეზე (სპეციფიკაცია) მიეთითება ცნობები, რომლებიც ეხება მრავალნაწილიანი დოკუმენტის შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ ფიზიკურ ერთეულს – ტომებს (გამოშვებებს, ნომრებს).

2.5. თუ ცნობები მეორე დონეზე ეხება ფიზიკურ ერთეულთა ერთიანობის ჯგუფს, ცნობები ცალკეულ ფიზიკურ ერთეულთა შესახებ მიეთითება მესამე დონეზე.

2.6. შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ერთდონიან, ასევე მრავალდონიან ჩანაწერად.

3. ელემენტთა ნაკრების სისრულის მიხედვით განასხვავებენ მოკლე, გაფართოებულ და სრულ ჩანაწერს.

3.1. მოკლე ჩანაწერი შედგება მხოლოდ აუცილებელი ელემენტებისაგან.

3.2. გაფართოებული ჩანაწერი შედგება აუცილებელი და ზოგიერთი ფაკულტატური ჩანაწერისაგან.

3.3. სრული ჩანაწერი შედგება აუცილებელი და ყველა ფაკულტატური ელემენტისაგან, რომელთათვისაც ცნობები მოყვანილია დოკუმენტში ან შეიძლება დადგენილი იყოს დოკუმენტის გარეშე წყაროებიდან.

4. ხელმისაწვდომობის წერტილის შერჩევის მიხედვით ჩანაწერს განასხვავებენ თავსათაურით და სათაურით. ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილს შეესაბამება ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, ხელმისაწვდომობის დამატებით წერტილს - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი.

4.1. ობიექტზე ჩანაწერების რაოდენობის მიხედვით შეიძლება შედგენილ იქნეს ერთი ან რამდენიმე ძირითადი ჩანაწერი. ერთნაწილიან ობიექტზე, როგორც წესი,

შედგება ერთი ჩანაწერი, მარავალნაწილიან ობიექტზე შეიძლება შედგენილი იყოს ერთი ჩანაწერი ან ორი და მეტი იერარქიულად შეკავშირებული ჩანაწერის ნაკრები.

დოკუმენტის საგამომცემლო ცნობებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ერთი და იგივე

ობიექტზე შეიძლება გამოყენებული იყოს ადრინდელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (თუ ცვლილებები უმნიშვნელოა), მაგრამ შეიძლება შედგენილი იყოს ახალი ჩანაწერი (თუ ცვლილებები დიდია, არსებითი). ცვლილებები საგამომცემლო ცნობებში დამახასიათებელია სხვადასხვა სახის გრძელდებადი რესურსებისათვის, ამიტომ დიდი და მცირე ცვლილებების განსაზღვრის კრიტერიუმები და ახალი ჩანაწერების შექმნა დამოკიდებულია ბიბლიოთეკაზე.

თავი 6. პუნქტუაცია. პირობითი პუნქტუაცია.

1. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში პუნქტუაცია ასრულებს ორ ფუნქციას – ჩვეულებრივ გრამატიკული პუნქტუაციის ნიშნებს და პირობითი პუნქტუაციის (ადრე – პირობითი გამყოფი ნიშნები), რომელთაც გააჩნათ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სფეროებისა და ელემენტების ამოცნობის ხასიათი. პირობითი პუნქტუაცია ხელს უწყობს ცალკეულ ელემენტთა ამოცნობას ჩანაწერებში. პირობითი პუნქტუაცია წინ უძღვის სფეროებსა და ელემენტებს ან მათ ასრულებს. მისი გამოყენება არ არის დაკავშირებული ენის ნორმებთან.

2. პირობით პუნქტუაციას წარმოადგენენ სასვენი და მათემატიკური ნიშნები. იხ. გვ. 4.

3. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ბოლოში იწერება წერტილი.

4. აღწერილობის თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წამმღვარებული აქვს ნიშანი წერტილი და დეფისი, რომელიც იწერება სფეროს პირველი ელემენტის წინ.

. – მე-2 გამოც.

. – თბ. , 2001 . – 226 გვ.

. – ISBN – 99928-805-9-5

4.1. თუ სფეროს პირველი ელემენტი არ არსებობს, ნიშანი წერტილი და დეფისი იწერება შემდეგი ელემენტის წინ, რომლის წამმღვარებული ნიშანი ამ შემთხვევაში გამოიტოვება.

. – [რეპროდუქცია]

. – (ვოკალისტის რეპერტუარი)

4.2. სპეციფიკურ ცნობათა სფეროს, შენიშვნების სფეროსა და საერთაშორისო სტანდარტული ნომრის სფეროს გამეორებისას, მეორდება სფეროს ნიშანიც, ხოლო სერიების სფეროს გამეორებისას ცნობები თითოეული სფეროს შესახებ ჩაისმება ცალკეულ მრგვალ ფრჩხილებში წერტილისა და დეფისი ნიშნის გარეშე სერიებს შორის.

. – ISBN 3-598-11394-3

. – ISBN 5-520-00737-3

4.3. აღწერილობის ზოგიერთი სფეროები მეტი თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოყოფილი იყოს სხვადასხვა შრიფტით და ჩაწერილი იყოს ახალ ხაზზე. ამ შემთხვევაში ნიშანს წერტილსა და დეფისს ცვლიან წერტილით.

. – ავტ. სფერო მითითებული არ არის . – ISBN 5-7805-0476-8

4.4. სფეროებისა და ელემენტების მეტი გამოყოფისათვის, ასევე გრამატიკული და პირობითი პუნქტუაციის გამოსარჩევად იყენებენ ინტერვალებს პირობით პუნქტუაციამდე და შემდეგ.

ვიდრონი, ბენჯამენ.

მთავრობა და მესამე სექტორი [ტექსტი] : ურთიერთობები სოციალურად და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებში / ბენჯამენ გიდრონი, რაღფ კრამერი, ლესტერ სალამონი; რედ. ნინო სააკაშვილი; მთარგმნ. დათო სააკაშვილი. – [თბ.]: ჰორიზონტი, 1999. – 221 გვ. – ISBN 99928-802-1-x.

4.5. მრგვალი და კვადრატული ფრჩხილები განიხილება როგორც ერთიანი ნიშანი, ინტერვალი პირველი (გამხსნელი) ფრჩხილების წინ არის წამმდვარებული, ხოლო მეორე ინტერვალი მეორე ფრჩხილების შემდეგ.

იოანე პავლე II (კაკი ; 1920-)

ილია II (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი)

თითოეული ელემენტი მიეთითება პირობითი პუნქტუაციის წამმდვარებული ნიშნებით. თუ ელემენტი (სფეროს პირველი ელემენტის გარდა) მეორდება, მეორდება ასევე მის წინ წამმდვარებული პირობითი პუნქტუაციის ნიშანიც, გარდა ნიშნისა "დახრილი ხაზი".

: ამირანი : განათლება

თუ ელემენტი არ მიეთითება აღწერილობაში გამოტოვებენ მის წამმდვარებულ ნიშანსაც.

5.1. ერთ წინადადებაში გრამატიკულად დაკავშირებული ელემენტები არ გამოიყოფა პირობითი პუნქტუაციით.

იგავი, მოთხრობები, ლეგენდები, მითები

5.2. ელემენტების ნაწილის გამოტოვება აღინიშნება გამოტოვების ნიშნით – მრავალწერტილით, ხარვეზების ნიშნამდე და მის შემდეგ.

5.3. თუ ერთი სფეროს ფარგლებში მეზობელი ელემენტები ჩასმული უნდა იყოს კვადრატულ ფრჩხილებში, მაშინ ჩაისმება საერთო კვადრატულ ფრჩხილებში.

: [სიმღერა (გუნდი, სოლო ხმა) : ვოკალ. პარტია გამოკვ. არ არის]

თუ მოსაზღვრე ელემენტები განეკუთვნება სხვადასხვა სფეროებს, მაშინ თითოეული ელემენტი ჩაისმება ცალ-ცალკე კვადრატულ ფრჩხილებში.

: [სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკისათვის]. – [თბ., 1999]

5. ელემენტების შიგნით იცავენ პუნქტუაციას, ენის ნორმებთან შესაბამისად, რომელზედაც შედგენილია ჩანაწერი, დოკუმენტში განთავსების მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში ხარვეზი მხოლოდ ნიშნის შემდეგ არის გრამატიკის წესების შესაბამისად.

5.1. თუ ელემენტი შედგება რამდენიმე სიტყვისაგან ან ფრაზისაგან, წარმოადგენენ დასრულებულ წინადადებას, ისინი მიეთითება დოკუმენტში არსებული სასვენი ნიშნებით.

ინფორმაციის წყაროში:

ხელოვნება

მუსიკა-თეატრი-მხატვრობა

თავსათაურში:

ხელოვნება : მუსიკა-

თეატრი-მხატვრობა

5.2. თუ დოკუმენტში სიტყვებს ან ფრაზებს შორის არ არის მითითებული სასვენი ნიშნები, მათ აღნიშნავენ აღწერილობაში კონკრეტული ელემენტების მოყვანის წესების შესაბამისად.

6. ჩანაწერში გრამატიკული და პირობითი პუნქტუაციის შერწყმის დროს მოყავთ ორივე ნიშნები.

კაცია ადამიანი?! / ი. ჭავჭავაძე

Общатся с ребёнком. Как? . – 3-е изд.

თუ ელემენტი სრულდება მრავალწერტილით ან წერტილით შემოკლებული სიტყვის ბოლოს, ხოლო შემდეგი ელემენტის პირობითი პუნქტუაცია წარმოადგენს წერტილს და დეფისს, მაშინ წერტილი, რომელიც მიეკუთვნება შემდეგი ელემენტის მითითებულ პირობით პუნქტუაციას, გამოიტოვება.

ბალზაკი, ო.

მამა გორიო ... – თბ., 1987

: დამხმარე პროექტ. სახელმძღვ. – თბ., 1997

(და არა: დამხმარე პროექტ. სახელმძღვ. – თბ.)

თავი 7. ინფორმაციის წყაროები

1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისათვის გამოიყენება ინფორმაციის შემდეგი წყაროები: მთლიანად დოკუმენტი – მთავარი წყარო; დოკუმენტის თანმხლები წყაროები; გარეშე წყაროები. თვით დოკუმენტში მოძიებული ინფორმაცია. ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს ერთი ან მრავალი.

2. ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს დოკუმენტის ელემენტი (ელემენტები), რომელიც შეიცავს მთავარ საგამომცემლო და მათ ანალოგიურ ცნობებს – თავფურცელი, ეტიკეტი, ნაწები და ა.შ. თითოეული სახის დოკუმენტისათვის განისაზღვრება ინფორმაციის მთავარი წყარო, მაგალითად:

თავფურცელი და მისი სახესხვაობანი, მათ შორის გაშლილი თავფურცელი; გაზეთის პირველი და ბოლო ხაზები; რუქის თავფურცელი (რუქის ფურცლის ზედა, ქვედა და გვერდითა მინდვრები); მაგნიტური ფონოგრამის, გრამფირფიტების ეტიკეტები, კინოფილმების, დიაფილმების, დიაპოზიტივების, ვიდეოჩანაწერების, კომპაქტ-დისკების ტიტრები; იზოგამოცემების ორივე მხარე; დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის პირველი და ბოლო გვერდები.

2.1. თუ იყენებენ ზემოხსენებულ წყაროებს, მათი კომბინაცია განიხილება როგორც ერთიანი მთავარი წყარო.

2.2. თუ დოკუმენტის მთავარი წყარო არ არის ან მიუწვდომელია მომხმარებლისათვის, შეირჩევა მთავარის ალტერნატიული წყარო. ამასთან პირველ რიგში იყენებენ წყაროს, რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის ნაწილს, შემდეგ – დოკუმენტის თანმხლებ წყაროებს.

3. თუ აუცილებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის მთავარი წყაროდან ან წყაროებიდან, თანმხლები დოკუმენტებიდან, იყენებენ დოკუმენტის გარეშე წყაროებს: ადრე გამოქვეყნებული ამ დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (ბიბლიოთეკის, მუზეუმის და ა.შ. კატალოგებში, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში და მონაცემთა ბაზებში); სხვა წყაროები (მაგალითად, საცნობარო გამოცემები, ავტორიტეტული ფაილები, მეტამონაცემები). ასეთ შემთხვევებში ინფორმაციის წყარო ეყრდნობა შენიშვნებს.

4. ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ჩანაწერში მიუთითებენ იმ სახით, როგორც მითითებულია ინფორმაციაში. არსებული მონაცემების, ასევე აუცილებელი ცნობების სრულად არ არსებობის შემთხვევაში, ცნობები ჩამოყალიბდება დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე (ბეჭდური გამოცემებისათვის, თავფურცლები) დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ფორმირებული ცნობები, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყველა სფეროში (შენიშვნების სფეროს გარდა) მოჰყავთ კვადრატულ ფრჩხილებში: [].

5. თითოეული სახის დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ცალკეული სფეროსათვის დადგენილია ერთი ან რამდენიმე ძირითადი ინფორმაციის წყარო. ძირითადი ინფორმაციის წყაროები – ესაა წყაროები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს პირველ რიგში ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას.

5.1. ძირითადი წყაროებიდან აღებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს უპირატესობა ენიჭება ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით ერთდონიანი ცნობების სხვადასხვა

წყაროებში. ძირითადი წყაროს არ არსებობის შემთხვევაში იგი იცვლება სხვა წყაროთი, რომელიც მოიცავს მეტად სრულ ინფორმაციას. ცნობები, მოძიებული არა ძირითადი წყაროებიდან, მოჰყავთ კვადრატულ ფრჩხილებში.

თავი 8. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენა

1. ძირითადი დებულებები

1.1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენის პროცესში აუცილებელია განსხვავებული იქნეს შემდეგი ძირითადი ტერმინები:

1. დოკუმენტის ენა – დოკუმენტის ძირითადი ტექსტის ენა;
2. დოკუმენტის საგამომცემლო ცნობათა ენა – არის ცნობათა ენა, რომელიც მოთავსებულია ინფორმაციის მთავარ წყაროში – თვით დოკუმენტში;
3. კატალოგიზაციის ენა – არის ცნობათა ენა, რომელიც ფორმულირდება კატალოგიზატორების მიერ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, რომელსაც მიეკუთვნება ბიბლიოგრაფიის დაწესებულება: ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაურში ნიშნების მაიდენტიფიცირებელი; მასალის ზოგადი აღნიშვნა; მოცემული სფეროების სპეციფიკური ცნობები, ფიზიკური მახასიათებლები, შენიშვნები, სტანდარტული ნომერი; ასევე მითითებები, ცნობები და ა.შ.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენა, მათ შორის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის და თავსათაურის ენაა, რომელზედაც მოყვანილია ყველა ან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტთა უმრავლესობა.

1.2. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენა, როგორც წესი, შეესაბამება დოკუმენტის საგამომცემლო ცნობებს.

1.3. კატალოგიზაციის ენა, შეესაბამება ბიბლიოგრაფიული დაწესებულების ენას, კერძოდ, საქართველოსთვის – ქართული ენა, რუსეთისათვის – ეს რუსული ენაა და ა. შ.

1.4. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სრულად ან მისი ცალკეული ელემენტი შეიძლება მოყვანილი იქნეს სხვა ენის გრაფიკული ტრანსლიტერაციით ან სხვა ენაზე თარგმნით.

1.4.1. ტრანსლიტერაცია წარმოებს საერთაშორისო ან ნაციონალური სტანდარტების შესაბამისი ენების ტრანსლიტერაციის შესაბამისად.

1.4.2. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ან მისი ცალკეული ელემენტის სხვა ენაზე თარგმნა ხორციელდება ხელმისაწვდომობის წერტილების გაზრდის მიზნით მკითხველისათვის, თუ თარგმანი მოცემულია თვით დოკუმენტის საგამომცემლო ცნობებში, ან დადგენილია სხვა ავტორიტეტული წყაროთი – ეროვნული ბიბლიოგრაფიით, ცნობარით და ა.შ.

2. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენის შერჩევის ზოგადი წესები.

2.1. ენის შერჩევის აუცილებლობა წარმოიქმნება ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას დოკუმენტებზე შემდეგ შემთხვევებში:

თუ დოკუმენტში ტექსტი და საგამომცემლო ცნობები მოცემულია სხვადასხვა ენაზე.

თუ დოკუმენტი შედგება შერეული და პარალელური ტექსტებით და (ან) აქვს საგამომცემლო ცნობები ორ და მეტ ენაზე.

2.2. თუ დოკუმენტზე ტექსტი და საგამომცემლო ცნობები მოცემულია სხვადასხვა ენაზე, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენის შერჩევა ხდება შემდეგი წესების მიხედვით:

2.2.1. თუ ტექსტი მოცემულია ერთ ენაზე, ხოლო საგამომცემლო ცნობები სხვა ენაზე, ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შეადგენენ საგამომცემლო ცნობების ენაზე:

Центральная Азия – 99 : Библиотечно-информационные ресурсы науке, образованию, культуре и бизнесе : Материалы конференции . – Самарканд, 1999 . – 148 с.

(ტექსტი და საგამომცემლო ცნობები მოცემულია რუსულ ენაზე, სათაური ინგლისურ ენაზე. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შედგენილია რუსულ ენაზე).

2.2.2. თუ ტექსტი მოცემულია ერთ ენაზე, საგამომცემლო ცნობები პარალელურად ორ და მეტ ენაზე, მათ შორის დოკუმენტის ტექსტის ენაზე, აღწერილობას ადგენენ დოკუმენტის ტექსტის ენაზე.

კონომიკის ინტენსიფიკაცია. მისი ეფექტიანობის ამაღლება რეგიონში =Интенсификация экономики, повышение ее эффективности в регионе : (დამხმარე-სამეცნიერო საძიებელი) . – თბ. , 1990 . – 195 გვ.

(ტექსტი მოცემულია ქართულ ენაზე. საგამომცემლო ცნობები და სათაური ქართულ და რუსულ ენებზე. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შედგა ქართულ ენაზე).

2.3. თუ დოკუმენტის ტექსტი შერეულია ან პარალელურია რამდენიმე ენაზე და საგამომცემლო ცნობებიც - შერეულია ან პარალელურია რამდენიმე ენაზე, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენის შერჩევა წარმოებს შემდეგი წესების მიხედვით:

2.3.1. თუ ტექსტებსა და საგამომცემლო ცნობებს შორის არის ტექსტი რამდენიმე ენაზე, მათ შორის ქართულზე და ყველა საგამომცემლო ცნობა ქართულ ენაზეა, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენის შერჩევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენას.

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების II საბიბლიოთეკო კონფერენცია = Georgia – United States of America II Library Conference : 17-19 სექტ., 1997 . – თბ. , 1997 . – 82 გვ.

2.3.2. თუ საგამომცემლო ცნობები ყველა ენაზე არასრულია, შეირჩევა ენა, რომელზეც მოცემულია მეტად სრული ცნობები.

2.4. უცხო ენების შესასწავლად განკუთვნილ სახელმძღვანელოებზე და დამხმარე სახელმძღვანელოებზე, რომელთაც საგამომცემლო ცნობები ორ და მეტ ენაზე აქვთ, რომელთაგან ერთ-ერთი მშობლიურია მოსწავლეთათვის, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას შეირჩევა ენა, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა მშობლიურ ენას.

English : ინგლისური ენის სახელმძღვ. მე-9 კლ. /რ. გაჩეჩილაძე [და სხვ.]; რედ. ნ. ცისკარიშვილი . – თბ. : განათლება , 1987 . – 173 გვ.

Николаишвили , М. С.

Грузинский Язык : (Курс ускоренного изучения) : Кн. 1 . – Тб. : Мецниереба , 2004 . – 221 с.

2.5. მრავალენოვან ლექსიკონზე, რომელსაც გააჩნია საგამომცემლო ცნობები იმავე ენებზე, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ენად შეირჩევა ენა, რომელიც შეესაბამება ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც გამოქვეყნებულია დოკუმენტი, თუ ცნობები სახელმწიფო ენაზე არ არსებობს შეირჩევა პირველი ენა.

თავი 9. შემოკლებები

1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას დასაშვებია გამოყენებულ იქნას სიტყვათა და სიტყვათშეერთებათა შემოკლება მიღებული ნორმების შესაბამისად.

1.1. თუ ბიბლიოგრაფირების დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას შეამოკლოს ცალკეული სიტყვები და სიტყვათშეერთებები, ეს შემოკლებები უნდა

შეესაბამებოდეს მიღებულ წესებსა და ნორმებს. (იხ. სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი.-თბ., 2007.-20გვ.)

1.1. სიტყვათა შემოკლების მთავარ პირობას წარმოადგენს მათი აღქმის ერთმნიშვნელობა და შემოკლებულ სიტყვათა გაშიფვრის უზრუნველყოფა. მიზანშეწონილი არ არის სიტყვა შემოკლდეს იმ შემთხვევაში, როცა შეიძლება დაამახინჯოს ან გაურკვეველი გახადოს აღწერილობის ტექსტის აზრი ან გაართულოს მისი აღქმა.

1.2. თუ წყაროში შემოკლება რეგლამენტირებულია ძალზე მოკლედ, ის იმავე ფორმით მეორდება ჩანაწერში.

. - თბ. : თსუ-ს გამ-ბა , 2001

2. შემოკლებები გამოიყენება აღწერილობის ყველა სფეროში, სათაურშიც კი, მაგრამ შემოკლებათა მოცულობა უნდა იყოს მინიმალური, განსაკუთრებით სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფეროში. არ დაიშვება შემოკლდეს ნებისმიერი სათაური ნებისმიერ სფეროში (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შემოკლებები არის თვით ინფორმაციის წყაროში) და მასალის ზოგადად აღნიშვნაში.

3. ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, ვრცელი სათაურის ან ვრცელი ცნობების ჩაწერისას, გამოიყენება შემოკლების ისეთი ხერხი, როგორც ცალკეულ სიტყვათა, ფრაზების შემოკლებისას.

4. პირთა, ორგანიზაციის, გამოცემის ადგილის, გამომცემელთა და ა.შ. რაოდენობის შეზღუდვა, გამოტოვებული ცნობების შეცვლა სიტყვებით «და სხვ.» წარმოადგენს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შემოკლების ერთ-ერთ ხერხს.

თავი 10. ორთოგრაფია, რიცხვითი სახელები

1. სამამულო და საზღვარგარეთის გამოცემების ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში დაცულია ორთოგრაფიის თანამედროვე ნორმები, გარდა ძველი (მე-17-18 სს.) დოკუმენტებისა, რომელთა ორთოგრაფიაში ასახულია ეპოქის ენის თავისებურებანი.

ინფორმაციის წყაროში:

*ტფილისი
ეფ. ხელაძის სტ.
1896*

ჩანაწერში:

ტფილისი : ეფ. ხელაძის სტ. , 1896

2. ინფორმაციის წყაროში არსებული შეცდომები და ანაბეჭდები, რომლებიც აზრს არ ამახინჯებენ, ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში მოიყვანება შესწორებული სახით. გამოტოვებული ასოები ან ციფრები შეიძლება ჩაემატოს, ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში.

2.1. შეცდომები და ანაბეჭდები, რომლებიც ცვლიან ტექსტის აზრს, ასევე ყველა შეცდომა იმ პირთა გვარებში, ინიციალებში, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა დოკუმენტის შექმნაში, ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში გადაიტანება ცვლილებების გარეშე. შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში მიეთითება სწორი ვარიანტი წამძღვარებული შემოკლებული სიტყვით «ე.ი.» ან მისი ეკვივალენტი სხვა ენებზე ან სხვა გრაფიკით.

2.2. ცნობები, რომლებიც საექვოა, მოიყვანება კითხვითი ნიშნით, კვადრატულ ფრჩხილებში, კითხვის ნიშნის თანხლებით.

, [1783 ?]

3. სიმბოლოები და სხვა ნიშნები, რომელთა აღდგენა შეუძლებელია ხელმისაწვდომი საშუალებებით (ჩვეულებრივ ეს არ არის ასოები და ციფრები), ცვლიან მათ ასოებისა და სიტყვების ეკვივალენტით კვადრატულ ფრჩხილებში.

ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროში, რიცხვითი სახელები მიეთითება იმ სახით, რა სახითაც ასახულია ინფორმაციის წყაროში, ე.ი. რომაული ან არაბული ციფრებით, ან სიტყვიერი ფორმით.

*III სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენცია
სამთა კავშირი*

3.1. რომაული ციფრები და რიცხვითი სახელები სიტყვიერი ფორმით შეიცვლება არაბული ციფრებით, აქტების ან სპეციფიკურ ნაწარმოებთა მოქმედებების, სასწავლო დაწესებულებების, კლასებისა და კურსების; ტურისტული მარშრუტების ნომრების; გამოცემათა რიგითი ნომრების; ინსტრუმენტების ხმათა რაოდენობის; გამოცემის წესების ან თარიღების, დოკუმენტის გავრცელების; ფიზიკურ დახასიათებათა სფეროში ცნობების აღნიშვნისას; მრავალტომეული დოკუმენტების, სერიალური და სხვა გრძელდებადი გამოცემების ტომების (ნომრების, გამოშვებების) და ა. შ. აღნიშვნისას.

ინფორმაციის წყაროში:

V კლასისათვის

მეორე შესწორებული გამოცემა

В трех актах

Четвертое состояние

ჩანაწერში:

. – მე-5 კლ.

. – მე-2 შესწ. გამოც.

. – в 3 актах

. – 4-е состояние

3.2. რომაული ციფრები რჩება პირთა და ორგანიზაციათა დასახელებებში, თუ ისინი იდენტიფიცირდებიან ამ ციფრებთან; პაგინაციის აღნიშვნისას რაოდენობრივ დახასიათებაში.

გიორგი III

XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიკური რეფორმები

/ III პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნ. კონფერენცია

3.3. რიცხვითი სახელები სიტყვიერი ფორმით შენარჩუნებულია ორგანიზაციათა დასახელებაში, თუ სპეციფიკური წესი არ მოითხოვს სხვა გადაწყვეტილებას; ნებისმიერ სათაურში, თუ ისინი წარმოადგენენ სათაურის განუყოფელ ნაწილს.

*/ თსუ პროფესორ-მასწავლებელთა მერვე სამეცნიერო კონფერენცია
სამი პიესა*

Сказка о пяти богатырях

სიტყვიერი ფორმით მოიყვანება ასევე ზოგიერთი სხვა ელემენტი.

. – 1 ფ. [დაკეცილია სამად]

3.4. რაოდენობრივი რიცხვითი სახელები აღინიშნება არაბული ციფრებით.

: 2 ტ-ად

: 5 ტ-ად

3.5. რიგობითი რიცხვითი სახელები მოიყვანება თავსართით, დაბოლოებით ან დაბოლოების ნაცვლად წერტილით, ენის გრამატიკის წესების შესაბამისად.

ქართული : მე-5, მე-10, 21-ე, 30-ე

რუსული : 1-й, 1-е, 2-й, 2-я, 3-й, 3-я, 3-е

ფრანგული : 1^{er}, 1^{re}, 2^e, 3^e

გერმანული : 4., 1.

3.5.1. თუ რიგობითი რიცხვითი სახელის დაბოლოების დადგენა არ მოხერხდა, დაშვებულია იგი შეიცვალოს წერტილით.

3.5.2. დაბოლოების გარეშე მოყავთ ტომების, თავების, გვერდების, კლასების, კურსების რიგობითი რიცხვითი სახელები, თუ გვარეობითი სიტყვა (ტომი, თავი და ა. შ.) წინ უძღვის რიგით ნომერს.

ტ. 5 : რომანი
Bd. 3 : Die Sage

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 2 . ერთდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის წესები

თავი 11. ძირითადი დებულებანი. ერთდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტრუქტურა და შემადგენლობა

1. ერთდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობისათვის დადგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროები, რომლებიც მოიცავენ აუცილებელ და ფაკულტატურ ელემენტებს პირობითი პუნქტუაციით.

2. ჩამონათვალში არსებული ელემენტები შეიძლება განმეორდეს აღწერილობაში. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროებისა და ელემენტების ჩამონათვალი:

სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო

ძირითადი სათაური

[] მასალის ზოგადი აღნიშვნა (იმ შემთხვევაში, თუ სათაურიდან და სათაურთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული ცნობებიდან არ ჩანს მასალის ფორმა)

=პარალელური სათაური

: ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები

/ პირველი ცნობები

; შემდეგი ცნობები

გამოცემის სფერო

ცნობები გამოცემის შესახებ

= პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც ეხება დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ

/ პირველი ცნობები

; სხვა ცნობები

სპეციფიკურ ცნობათა სფერო

საგამომცემლო ცნობათა სფერო

გამოცემის, გავრცელების ადგილი

გამოცემის პირველი ადგილი

; გამოცემის შემდეგი ადგილი

გამომცემლის, გამავრცელებლის სახელი და ა.შ.

[] ცნობები გამომცემლის, გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ და ა. შ.

, გამოცემის, გავრცელების თარიღი

ფიზიკური დახასიათების სფერო

მასალის მოცულობის სპეციფიკური აღნიშვნა

: სხვა ცნობები ფიზიკური დახასიათების შესახებ

; ზომები

+ ცნობები თანმხლები მასალების შესახებ

სერიის სფერო

(სერიის ძირითადი სათაური

= სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური

: ცნობები, რომლებიც ეხება სერიას ან ქვესერიას

ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ეხება სერიას ან ქვესერიას / პირველი ცნობები

; შემდეგი ცნობები, სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN), რომელიც მინიჭებული აქვს მოცემულ სერიას ან ქვესერიას

შენიშვნების სფერო

;) სერიის ან ქვესერიის გამოშვების სტანდარტული ნომერი

(ან მისი ალტერნატივა)

და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო

: ხელმისაწვდომობის პირობები ან ფასი

() დამატებითი ცნობები სფეროების ელემენტების შესახებ.

12. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო

1. სფერო მოიცავს აღწერილობის ობიექტის ძირითად სათაურს, ასევე მასალის ზოგად აღნიშვნას, (თუ ბიბლიოგრაფიული ცნობებიდან არ ჩანს მასალის ფორმა) სხვა სათაურს (ალტერნატიული, პარალელური და ა.შ), სხვა ცნობებს, რომლებიც ეხება სათაურს და ცნობებს დოკუმენტზე პასუხისმგებელ პირთა და (ან) ორგანიზაციათა შესახებ.

2. ძირითადი სათაური

2.1. ძირითადი სათაური მოიცავს დოკუმენტის სათაურს (მინიჭებული ავტორის ან გამომცემლის მიერ), მოთავსებულია მთავარ წყაროში და გამოყოფილია შრიფტით ან ფერით.

2.2. ძირითადი სათაურის სახეები და მათი მითითების წესები

2.2.1. ძირითადი სათაური აღწერილობაში მოიყვანება იმავე თანმიმდევრობით და იმავე ნიშნებით, როგორც მითითებულია ძირითად წყაროში.

2.2.2. ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე წინადადებისაგან და ერთმანეთისაგან გამოიყოს გრამატიკული პუნქტუაციით, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში – წერტილით.

ჩირაღდანი

ადამიანის უფლებათა ლექსიკონი

საქართველო . ანოტირებული ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი

ბიჭი, რომელსაც ყური მოჭრეს, პროკურატურამ არ დააკითხა

კაცია – ადამიანი?!

2.2.3. თუ ძირითადი სათაური შედგება რამდენიმე ფრაზისაგან, და არის ძირითადი ნაწარმოების ან მისი განყოფილების დანართის, წინასიტყვაობის სათაური, ჩანაწერში პირველად მიეთითება ძირითადი ნაწარმოების სათაური, ხოლო შემდეგ - განყოფილების სათაური.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები . საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე

Библиография . Теория . Методология . Методика.

2.2.4. ძირითადი სათაური შეიძლება იყოს თემატური ან ტიპიური (ე.ი. შედგენილი მხოლოდ დოკუმენტის სახის აღმნიშვნელი სიტყვისაგან). ტიპიურს მიაკუთვნებენ ასევე სათაურს, რომელშიც დოკუმენტის სახის აღმნიშვნელ სიტყვას წამმდვარებული აქვს ორგანიზაციის სრული ან მოკლე დასახელება.

*შრომები
საქართველოს ბიბლიოთეკა
პოეზია და პროზა
ქართული პროზა
Электронный журнал
Библиография*

ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ალტერნატიულ სათაურს, მათთან დაკავშირებული კავშირით "ან". ზოგიერთი ენის გრამატიკული წესების შესაბამისად კავშირის "ან" წინ ან ორივე მხრიდან იწერება მძიმე.

*რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან
Путь к успеху, или курс бизнеса*

2.2.5. თუ ძირითადი სათაური მოიცავს გრამატიკულად განუყოფელ ცნობათა ნაწილს, რომლებიც სხვა შემთხვევაში წარმოადგენენ აღწერილობის დამოუკიდებელ ელემენტებს, ჩანაწერში მიეთითება სათაურთან ერთად, და შემდეგ აღწერილობაში ეს ცნობები არ მეორდება.

შექსპირის პოემები თაბუკაშვილის თარგმანებში

Альбом иллюстраций к поэме Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре»

2.2.6. ინფორმაციის ძირითად წყაროში, ძირითად სათაურთან აზრობრივად დაკავშირებული ქრონოლოგიური და გეოგრაფიული მონაცემები, აღწერილობაში მიეთითება ძირითადი სათაურის შემდეგ და მისგან გამოიყოფა მძიმით, თუ წყაროში არ არის სხვა ნიშნები.

*საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის მასალები, თბილისი, 2000
China and Tibet, XVII-XX cent.*

2.2.7. თუ ძირითადი სათაური შედგება პირის სახელისგან ან ორგანიზაციის დასახელებისაგან ან მოიცავს ორივეს, მაშინ ის ასევე მიეთითება აღწერილობაში.

მიხეილ ჯავახიშვილი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2.2.8. გრძელი ძირითადი სათაური დაიშვება შემოკლდეს სათაურის ნაწილის გამოტოვების გზით, თუ არ დამახინჯდება აზრი. გამოტოვება აღინიშნება ნიშნით - მრავალწერტილით.

2.2.9. ძირითად წყაროში ძირითადი სათაურის არ არსებობის შემთხვევაში. სათაური შეიძლება ნასესხები იყოს სხვა წყაროებიდან, ამასთან ეს აღნიშნული უნდა იყოს შენიშვნებში. თუ შეუძლებელია ძირითადი სათაურის დადგენა რაიმე წყაროს მიხედვით, ის შეიძლება ჩამოყალიბდეს. ორივე შემთხვევაში სათაური ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

[ძველი თბილისი]

[სამხედრო სიმღერები]

2.3. ძირითადი სათაურის შერჩევა:

2.3.1. თუ ინფორმაციის ძირითად წყაროში არის სათაურის რამდენიმე ვარიანტი ერთი და იმავე ენაზე ან ერთი და იმავე გრაფიკით, ძირითად სათაურად შეირჩევა პოლიგრაფიული ხერხით გამოყოფილი ან თანმიმდევრულად განლაგებული სათაურებიდან პირველი. დანარჩენი ცნობები თავსდება სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში.

*ო, რა კარგი იყო ...
ძნელი გზა*

(პირველ შემთხვევაში სათაურად აღებულია თავფურცელზე მითითებულ ნაწარმოებთაგან პირველი, მეორე შემთხვევაში კი – პოლიგრაფიული საშუალებით გამოყოფილი სათაური)

2.3.2. ინფორმაციის წყაროში სრული და შემოკლებული ფორმების სათაურების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობენ ზემოხსენებული წესების მიხედვით. რთულ შემთხვევებში უპირატესობას ანიჭებენ სრულ ფორმას.

ისა

(ამ შემთხვევაში ძირითად სათაურად მიღებულია შემოკლებული ფორმა, რომელიც მითითებულია პირველ წყაროში. აქვეა აღნიშნული სათაურის სრული ფორმა : ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია)

Forum fur Bibliothek und Information

(ძირითად სათაურად მიღებულია სათაურის სრული ფორმა, წყაროში მითითებულია შემოკლება : BuB)

2.3.3. ინფორმაციის წყაროში თემატური და ტიპიური სათაურების არსებობის შემთხვევაში, სათაურის პოლიგრაფიული გამოყოფა და თანმიმდევრული მოყვანა წყაროში არ მიიღება მხედველობაში.

კინემატოგრაფია

(ინფორმაციის წყაროში მითითებულია ასევე : დოკუმენტები და ფაქტები)

2.3.4. თუ ნაწარმოების კრებულის ძირითად წყაროში მითითებულია კრებულის საერთო და მასში შემავალი ნაშრომების სათაურები, ძირითად სათაურად შეირჩევა საერთო სათაური, ხოლო ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები მოიყვანება შენიშვნებში.

ქართული პროზა

Зарубежный детектив

(ორივე მაგალითის შემთხვევაში თავფურცელზე კრებულის საერთო სათაურთან ერთად მითითებულია კრებულში მოთავსებული ნაწარმოების სათაურები და ავტორები. ძირითად სათაურად შერჩეულია საერთო სათაური. ცალკეული სათაურები კი მიეთითება შენიშვნებში)

2.3.5. თუ ძირითად წყაროში მოთავსებულია სათაური სხვა ენაზე, დანარჩენი ბიბლიოგრაფიული ცნობები და ტექსტის ენა სხვა ენაზე (წერილობითი, სასიძღვრო), მაშინ ის მოიყვანება იმ ენაზე, რომელიც მოთვსებულია ძირითად წყაროზე. ამ შემთხვევაში დაშვებულია სათაურის ტრანსკრიფცია, თუ ეს აუცილებელია.

Volume of scientific works

(აღწერილობის სხვა დანარჩენი ბიბლიოგრაფიული ცნობები მითითებულია ქართულ ენაზე).

2.3.6. თუ ძირითად წყაროში სათაური მოყვანილია რამდენიმე ენაზე და (ან) განსხვავებული გრაფიკით, ნაწარმოებთა შერჩევა შემდეგი სახით ხდება.

2.3.6.1. თუ ტექსტის ენაზე არის სათაური, ის მიეთითება ძირითად სათაურად.

ორნიშნა საავტორო ტაბულები

(წყაროში ტექსტი ქართულ ენაზეა, პარალელური სათაური რუსულ ენაზე)

2.3.6.2. თუ არის სათაური და ტექსტი რამდენიმე ენაზე, ძირითადად მოიყვანება საერთო აღწერილობისათვის შერჩეულ ენაზე არსებული სათაური.

Forum fur Bibliothek und Information

(ტექსტი და საგამომცემლო ცნობები აღწერილობის ობიექტში გერმანულ და ინგლისურ ენებზეა, აღწერილობა შედგენილია გერმანულ ენაზე)

ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები

(ტექსტი და საგამომცემლო ცნობები აღწერილობის ობიექტში მითითებულია ქართულ და ინგლისურ ენაზე. აღწერილობა შედგენილია ქართულ ენაზე).

2.3.6.3. თუ უცხო ენის შესასწავლ სახელმძღვანელოში არის სათაური შემსწავლელთა ენაზე, ის მოიყვანება ძირითად სათაურად.

გერმანული ენის გრამატიკა

(წყაროში – პარალელური სათაური მითითებულია გერმანულად. სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართულენოვანი მოსწავლეებისათვის)

3. მასალის ზოგადი აღნიშვნა

3.1. მასალის ზოგადი აღნიშვნა განსაზღვრავს მასალის ფართო კლასს, რომელსაც განეკუთვნება აღწერილობის ობიექტი.

3.2. მასალის ზოგადი აღნიშვნის ტერმინები მოყვანილია ქვევით მითითებულ სიაში (შესაბამისი ეკვივალენტით ინგლისურ ენაზე):

- ვიდეოჩანაწერი (videorecording)
- ხმისჩამწერი (sound recording)
- იზომასალა (graphic)
- რუქები (cartographic material)
- კომპლექტი (kit)
- კინოფილმი (motion picture)
- მიკროფორმა (microform)
- მულტიმედია (multimedia)
- ნოტები (music)
- საგანი (object), სამგანზომილებიანი ხელოვნური ან ბუნებრივი

ობიექტი

- ხელნაწერი (manuscript)
- ბრაილის შრიფტი (braille)
- ელექტრონული რესურსები (electronic resource)

3.3. მასალის ზოგადი აღნიშვნა მიეთითება ძირითადი სათაურის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში ბიბლიოგრაფირების დაწესებულების ენაზე და (ან) გრაფიკით. მასალის ზოგად აღნიშვნაში სიტყვა არ მოკლდება.

თბილისი [რუქა]

ლუვერი [ალბომი]

Зимние прёзы [Ноты]

Bach. Scherzo [ელექტრონული რესურსი]

3.4. თუ დოკუმენტი განთავსებულია რამდენიმე ფიზიკურ მატარებელზე და განეკუთვნება მასალათა სხვადასხვა კატეგორიას, მიეთითება მასალის ზოგადი აღნიშვნა, რომელიც მიჩნეულია აღწერილობის ძირითად ობიექტად. ცნობები დანარჩენ მატარებელზე შეიძლება მითითებული იყოს ფიზიკური დახასიათების სფეროში ან შენიშვნების სფეროში.

ქართული მულტიპლიკაციური ფილმები [ელექტრონული რესურსი]: ნაწ.

1 ... – 2 ოპტ. დისკი (DVD): ხმოვანი, ფერადი.

Jurasska Park [ელექტრონული რესურსი]: მხატვრ. ფილმი . – 2 ელექტრ.

ოპტიკ. დისკი (DVD); ხმოვანი, ფერადი.

3.5. თუ აღწერილობის ობიექტი წარმოადგენს დოკუმენტის განსაკუთრებულ სახეს (რუქა, ნოტები, იზომასალები და ა.შ.), მოთავსებული სპეციფიკურ მატარებელზე (ელექტრონული რესურსი, მიკროფორმა და ა.შ.), მაშინ უპირატესობა ენიჭება ამ მატარებლის მასალის ზოგად აღნიშვნას.

ძველი თბილისი [ელექტრონული რესურსი] : თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ელექტრონული რუქა

ნახევარსფეროები [რუქა] / შემდგ.: ვ.ა.ტუგულო - 1:65000000 - : სააქც. საზ-გა. ზაკკნიგა - 1გ. : ფერადი ; 35X70 - - ფიზიკურ-პოლიტიკური რუკა. - : 60კაპ., 3000ც.

Тбилиси : Туристская схема / Ред.: В.Н. Бухрашвили, Е.Н. Кротова ; Текст: Г.Г. Вахрамишвили ; Фото.: С.А. Алайск - Тбилиси : Картфабрика #8, 1979г. - 1л. : ц. ; 84X99см. - : 43коп., 19100экз.

4. პარალელური სათაური

4.1. პარალელური სათაური, რომელიც ძირითადი სათაურის ეკვივალენტია სხვა ენაზე ან სხვა გრაფიკით, აქვს ჩანაწერში აღნიშვნის იგივე ფორმები და წესები, როგორც ძირითად სათაურს. პარალელურ თავსათაურს წამმდვარებული აქვს ტოლობის ნიშანი.

სამეცნიერო შრომების კრებული = Volume of scientific works

ორნიშნა საავტორო ტაბულეები [ცხრილი] = Авторские таблицы двужначные

Большая фантазия на польской темы [звукозапись] = Wielka fantazja na tematy polskie

4.2. პარალელურ სათაურად განიხილება ასევე ორიგინალის სათაური, რომელიც ინფორმაციის ძირითად წყაროში მოთავსებულია სხვა ენაზე, ან ტრანსლიტერაციით.

4.3. ინფორმაციის ძირითად წყაროში არსებული რამდენიმე პარალელური სათაური მოიყვანება ინფორმაციის ძირითად წყაროში მითითებული თანმიმდევრობით და გამოიყოფა ერთმანეთისაგან ტოლობის ნიშნით. პარალელური სათაურების რაოდენობის აღნიშვნა ჩანაწერში განისაზღვრება ბიბლიოგრაფიული დაწესებულების მიერ.

ალმანახი = Альманах

Hegedverseny [ხმისჩამწერი] Violinkoncert = Ciolin concerto = Концерт для скрипки

4.4. ინფორმაციის ძირითად წყაროში მითითებული პარალელური სათაური, რომელიც არ აღინიშნება სათაურისა და პასუხისმგებლობის სფეროში, ან ცნობები მათი არსებობის შესახებ შეიძლება გადატანილი იქნეს შენიშვნებში.

Совет Туркменистаны = Soviet Turkmenistan

5. სათაურთან დაკავშირებული ცნობები

5.1. ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს, შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ხსნის ძირითად სათაურს, მათ შორის სხვა სათაურის, ცნობების სახის, ჟანრის, ნაწარმოების დანიშნულების და სხვ. შესახებ.

5.2. ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს, მოჰყავთ იმ ფორმითა და თანმიმდევრობით, როგორც მოცემულია ინფორმაციის ძირითად წყაროში ან პოლიგრაფიული საშუალებებით გამოყოფის შესაბამისად.

5.3. ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს, წამმდვარებული აქვს ნიშანი ორწერტილი.

კვირის წირვები : მოთხრობა

ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს : პიესა

Три сестры : Пьеса

5.4. თითოეულ არაერთგვაროვან ცნობებს, რომლებიც ეხება სათაურს, ასევე წამმდვარებული აქვს ნიშანი ორწერტილი.

საქართველო : პირველი რვეული : კავკაზია

დედა ენა : ნაწ.2 : საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ სკოლებში

სახმარებელი

5.5. სათაურთან დაკავშირებულ ერთგვაროვან ცნობათა ჯგუფს შორის, ცალკეული ცნობები ერთმანეთისაგან გამოიყოფა იმავე ნიშნებით, რომლებიც არსებობს ინფორმაციის ძირითად წყაროში. წყაროში ნიშნების არ არსებობის შემთხვევაში მათ გამოყოფენ წერტილით.

Lingua Match [ელექტრონული რესურსი] : უცხო ენები საქმიანი ადამიანებისათვის და მოგზაურთათვის : English, German, Russia, French, Italian, Spanish

თხზულებათა სრული კრებული : მოგონებანი . პორტრეტის უფლება . გენეალოგია

Скоморщина : Скоморщины . Шутки . Небылицы

ინფორმაციის ძირითად წყაროში მითითებული ქრონოლოგიური და გეოგრაფიული მონაცემები მოიყვანება შესაბამისი წესების დაცვით.

5.6. თუ სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში არსებობს მათთან გრამატიკულად დაკავშირებული ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც განეკუთვნება აღწერილობის შემდეგ ელემენტებს, ისინი მოიყვანება სათაურთან დაკავშირებულ ცნობების სფეროში და შემდეგ აღარ მეორდება.

ლირიკა : თხზულებანი მურმან ლებანიძისა

5.7. თუ სათაურთან დაკავშირებული ცნობები მოცემულია რამდენიმე ენაზე, შეირჩევა ძირითადი სათაურის ენასთან შესაბამისი ცნობები, ან ამ კრიტერიუმის არარსებობის შემთხვევაში, პირველი. დანარჩენი ცნობები შეიძლება მოყვანილ იქნეს წამმდვარებული ტოლობის ნიშნით ან საერთოდ გამოიტოვოს.

5.8. ძირითადი სათაურის გახსნისა და განმარტებისათვის აუცილებელი ცნობები, შეიძლება ჩამოყალიბდეს გამოცემის ანალიზის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მათ ჩასვავენ კვადრატულ ფრჩხილებში.

Traviata [ნოტები] : [ოპერა]

გედების ტბა [ელექტრონული რესურსი] : [ბალეტი] . – 1 ოპტიკური დისკი (DVD)

6. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

4.2. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები შეიცავენ ინფორმაციას პირთა ან ორგანიზაციათა შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალური ან მხატვრული ნაწარმოების შექმნაში და წარმოადგენს აღწერილობის ობიექტს.

4.3. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები ჩაიწერება იმ ფორმით, როგორც ისინი მითითებულია ინფორმაციის ძირითად წყაროში, განმარტებებით. პირთა ან ორგანიზაციათა მიერ დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული ცნობები მიეთითება შენიშვნების სფეროში.

ლიტერატურული თბილისი "მეგზური" / ავტ.-შემდგ. ბორის კანდელაკი;

რედ. გ. ბუხნიკაშვილი; მხატვ. თ. სამსონაძე

4.4. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები შეიძლება შედგეს პირთა სახელების და (ან) ორგანიზაციათა დასახელებისაგან, ნაწარმოების შექმნაში მათი მონაწილეობის კატეგორიის დამაზუსტებელი სიტყვების თანხლებით. თუ ინფორმაციის ძირითად წყაროში არ არის პირთა სახელები ან ორგანიზაციის დასახელება და მათი დადგენა არ ხერხდება, ისინი შეიძლება მოიცავდნენ გაწეული

სამუშაოს შესახებ ინფორმაციის გამომხატველ სიტყვას ან ფრაზებს (მაგალითად, ილუსტრირებულია მხატვართა ჯგუფის მიერ).

ლექსები / შემდგ. : მედეა ასათიანი, მანანა ასათიანი ; რედ. ლია ნადარეიშვილი ; მხატვ. შოთა ნიორაძე

4.5. პასუხისმგებლობის შესახებ პირველ ცნობებს წამდღვარებული აქვს ნიშანი დახრილი ხაზი; ცნობათა შემდეგი ჯგუფები ერთმანეთისგან გამოიყოფა წერტილ-მძიმით. პასუხისმგებლობის დონის მიუხედავად, ცნობათა მოყვანის თანმიმდევრობა განისაზღვრება მათი პოლიგრაფიული გაფორმებით ან თანმიმდევრობით ინფორმაციის ძირითად წყაროში.

/ ივანე ლოლაშვილი ; რედ. სოლომონ ხუციშვილი

4.6. თუ პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები ნასესხებია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან, ისინი მიეთითება ლოგიკური თანმიმდევრობით: თავდაპირველად – პირის სახელი ან ორგანიზაციის დასახელება, რომლებმაც ყველაზე მეტი ინტელექტუალური და მხატვრული შინაარსის წვლილი შეიტანეს ნაწარმოების შექმნაში, შემდეგ კი ცნობები დანარჩენი პირებისა და ორგანიზაციების შესახებ.

/ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ; შემდგ. გურამ ახალაია ; რედ. კობა ნარჩენაშვილი

(ინფორმაციის წყაროს თავფურცელზე მითითებულია ორგანიზაციის დასახელება, დანარჩენი ინფორმაცია მოთავსებულია დოკუმენტის სხვადასხვა ადგილზე)

/ ავტ. ი. მელიქიშვილი ; რედ. ბესიკ საბაძე ; მხატვ. შოთა ნიორაძე

(ყველა ცნობა მოთავსებულია დოკუმენტის სხვადასხვა ადგილზე)

4.7. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომელშიც ასახულია სათაო ორგანიზაცია თავისი დანაყოფებითა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებით, ჩანაწერში მიეთითება იმ სახითა და თანმიმდევრობით, როგორც მოცემულია ინფორმაციის ძირითად წყაროში და ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით.

/ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი , ისტორიის ფაკულტეტი

/ Российская Академия Наук , Институт Языкознания

4.8. ინფორმაციის ძირითად წყაროში ერთმანეთთან გრამატიკულად დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები და სათაურთან დაკავშირებული ცნობები, საგამომცემლო ცნობები, აღწერილობაში მოიყვანება როგორც ცნობათა ერთიანი ჯგუფი იმავე სახითა და თანმიმდევრობით, როგორც წყაროშია მოცემული.

სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი : რომანი ლ. არდაზიანისა გამოცემული ი. მელიქიშვილისა და ჩარკვიანისაგან

4.9. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების რაოდენობა განისაზღვრება ბიბლიოგრაფიული დაწესებულების მიერ. თუ ინფორმაციის ძირითადი წყარო შეიცავს ცნობებს ერთი, ორი ან სამი პირის და (ან) ორგანიზაციის შესახებ, რომელნიც ასრულებენ ერთი და იგივე ფუნქციას ან გააჩნიათ პასუხისმგებლობის ერთი და იგივე დონე, მაშინ მონაცემები მათ შესახებ აუცილებლად მიეთითება პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროში, მიუხედავად იმისა, მოყვანილი იქნება თუ არა სათაურში.

/ გოგი წერეთელი

(პასუხისმგებლობის ცნობებში მოყვანილი პირის სახელი, გამოყენებულია ასევე ჩანაწერის თავსათაურად)
/ ი. მელიქიშვილი, გ. ჩარკვიანი
(ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ცნობებში მითითებულ პირთა სახელთაგან პირველი გამოყენებულია ასევე თავსათაურად)
/ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. მწიგნობართა ასოციაცია
(პასუხისმგებლობის ცნობებში მითითებული ორგანიზაციის დასახელება გამოყენებულია ასევე ჩანაწერის თავსათაურად)

4.10. ოთხი ან მეტი პირის და (ან) ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ის შეიძლება შეიზღუდოს თითოეული ჯგუფიდან პირველის მითითებით და ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში სიტყვა “და სხვ.” [და სხვ.] ან [et. al.].

*/ შოთა ნიორაძე [და სხვ.]
/ დავით კაკაბაძე [და სხვ.]; რედ. ირაკლი აბაშიძე [და სხვ.]
(ზემოხსენებულ მაგალითებში სიტყვა [და სხვ.], [et. al.], [и др.] ნიშნავს, რომ ძირითად წყაროში მითითებული იყო სამზე მეტი სახელი)*

4.11. ძირითად წყაროში, პასუხისმგებლობის შესახებ პარალელური ცნობების რამდენიმე ენაზე არსებობის შემთხვევაში, აღწერილობაში მიეთითება ცნობები აღწერილობისათვის არჩეულ ენაზე.

ამ ენაზე ცნობების არ არსებობის შემთხვევაში მოიყვანება პასუხისმგებლობის პირველი ცნობები. ცნობები სხვა ენებზე გამოიტოვება.

*მესამე თაობა : თანამედროვე ავსტრიული ლიტერატურა = Die dritte Generation : Österreichische Gegenwartsliteratur / შემდგ. მზია გალდავაძე
(წყაროში პარალელური ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მითითებულია გერმანულ ენაზე)*

5. აღწერილობის ობიექტი შეიძლება დაიყოს კრებულებად ან დოკუმენტის კომპლექტებად, რომელთა ნაწარმოები მოთავსებულია ერთ მატარებელზე და კრებულები ან დოკუმენტის კომპლექტები, რომელთა ნაწარმოები მოთავსებულია სხვადასხვა მატარებელზე.

5.1. საერთო სათაურის გარეშე კრებულის აღწერილობის შედგენისას, რომელთა ყველა ნაწარმოები მოთავსებულია ერთ მატარებელზე, ბიბლიოგრაფიული ცნობები სათაურისა და პასუხისმგებლობის სფეროში თავსდება შემდეგი წესებით :

5.2. თუ საერთო ძირითადი სათაური არ ფორმულირდება, სფეროში თანმიმდევრულად მიეთითება ძირითად წყაროში მოთავსებული ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები მათთან დაკავშირებული ცნობებით; ცნობათა თითოეული ჯგუფი ერთმანეთისგან გამოიყოფა წერტილ-მძიმეთი – თუ ნაწარმოების კრებულს ერთი ავტორი ჰყავს, ან წერტილით – თუ ნაწარმოებთა ავტორები სხვადასხვანი არიან ან ავტორი არ არის ცნობილი. ცნობათა ჯგუფს შორის გამოიყენება მოცემული სფეროს ელემენტისათვის განკუთვნილი ნიშანი.

6.3. თუ საერთო სათაურის გარეშე კრებულში შედის ნაწარმოები გამოცემის სხვადასხვა განმეორების მითითებით, ეს ცნობები თავსდება სათაურის სფეროში შესაბამისი ნაწარმოების ყველა ცნობების შემდეგ და წინ წაემძღვარება მძიმე.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია , 33-ე გამოც. ; ქართული მწერლობის დასაწყისი , 23- ე გამოც. / გრიგოლ ბარამიძე, გიორგი ჯაკობია

6.4. მთლიანად კრებულთან დაკავშირებული გამოცემის ცნობები მოყავთ ბოლო ნაწარმოების შესახებ ცნობების შემდეგ გამოცემის სფეროში ცნობების მითითების წესების მიხედვით.

*ძველი ქართული ლიტერატურა / გრიგოლ ბარამიძე : რედ. კოლეგია:
ხუტა ბერულავა [და სხვ.]. – 33-ე გამოც.*

6.5. კრებულში შესულ ნაწარმოებთა ცნობების რაოდენობა მოყავთ სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროში ბიბლიოგრაფირების დაწესებულების გადაწყვეტილების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ სამისა.

6.6. საერთო სათაურის გარეშე კრებულის ან დოკუმენტის კომპლექტის აღწერილობისას სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროში გამოიყენება შემდეგი წესები:

6.7. სხვადასხვა მატარებელზე საერთო სათაურის გარეშე კრებულის ან დოკუმენტის კომპლექტის აღწერილობისას შეიძლება გამოიყოს მათგან ერთი, როგორც ძირითადი (ნაწარმოების მნიშვნელობის შესაბამისად, პოლიგრაფიული გაფორმებით), მაშინ მისი სათაური მიიჩნევა ძირითადად, რომლის შემდეგ მოთავსდება სხვა ცნობები ამ ნაწარმოების შესახებ. დანარჩენ ნაწარმოებთა შესახებ ინფორმაცია (სათაურები, მათთან დაკავშირებული ცნობებთან ერთად) შეიძლება მოთავსებულ იყოს ფიზიკური დახასიათების სფეროში, როგორც თანმხლები მასალები ან ასახული იყოს მეორე დონეზე როგორც რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი დოკუმენტის შესახებ ცნობები.

თავი 13. გამოცემის სფერო

1. სფერო მოიცავს ინფორმაციას მოცემული გამოცემის ცვლილებებისა და თავისებურებების შესახებ ამავე ნაწარმოების გამოცემასთან დაკავშირებით.

2.1. გამოცემის შესახებ ცნობები

2.2. გამოცემის შესახებ ცნობები მოიცავს ძირითად წყაროში არსებული ფორმულირებითა და თანმიმდევრობით.

2.2. გამოცემის შესახებ ცნობები შეიცავს სიტყვას «გამოცემა», მის შემცვლელ სიტყვებს «ვერსია», « ვარიანტი », « გამოშვება », « რედაქცია », « რეპრინტი » და ა.შ. ან მათ ეკვივალენტს სხვა ენაზე, ასევე სხვა ტერმინებს, რომლებიც განასხვავებენ მოცემულ გამოცემას წინა გამოცემისაგან.

. – *შესწ. გამოც.*

. – *გადამუშ. ვარიანტი*

. – *დამატ. გამოშვ.*

. – *გადმობეჭდ. 1995 წ. გამოც-დან*

2.3. რიგითი ნომერი, მითითებული ციფრული ან სიტყვიერი ფორმით, ჩაიწერება არაბული ციფრებით, შესაბამისი დაბოლოების დამატებით ან წერტილით გრამატიკული წესების შესაბამისად.

. – *მე-8 გამოც.*

. – *22-ე რედ.*

. – *მე-4 გადამუშ. და შესწ. გამოც.*

2.4. ცნობები გამოცემის შესახებ შეიძლება ფორმულირებულ იქნეს, თუ ცნობილია, რომ არსებობს არსებითი განსხვავებანი წინა გამოცემისაგან.

. – *[ახალი გამოშვ.]*

. – *[გადამუშ. ვერსია]*

3. მოცემულ გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ ჩაიწერება გამოცემის სფეროში, თუ ისინი ეხება მხოლოდ ნაწარმოების გამოცემის კონკრეტულ ცვლილებებს.

. – *მე-10 შესწ. ვარიანტი / რედ. ე. ხელაძე*

. – *ახალი გამოშვ. / სარედ. კოლ. : ლ. გალდავაძე [და სხვ.]*

4. გამოცემის შესახებ დამატებითი ცნობები.

თუ ინფორმაციის ძირითად წყაროში არსებობს ცალკე ფორმულირებული ცნობები მოცემული ხელახალი გამოცემის გადაბეჭდვის შესახებ, მაშინ ისინი შეიძლება მითითებულ იქნეს წინა გამოცემის სფეროს ცნობების შემდეგ და გამოიყოს მათგან მძიმით.

. - მე-7 გამოც. / გადამუშ. გ. ჩარკვიანის მიერ , დაბეჭდ.

ცვლილებებით.

10. თუ გამოცემის სფეროს ცნობები ობიექტში წარმოდგენილია რამდენიმე ენაზე, შეირჩევა ისინი, რომლებიც შეესაბამება აღწერილობის ენას, ხოლო ამ კრიტერიუმების არ არსებობის შემთხვევაში – პირველი.

თავი 14. სპეციფიკურ ცნობათა სფერო

1. სფერო გამოიყენება სპეციფიკურ მატარებელზე მოთავსებულია განსაკუთრებული სახის ობიექტების აღწერილობისას. მათ განეკუთვნება კარტოგრაფიული, სანოტო დოკუმენტები, სერიალური და სხვა გრძელდებადი, ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტების ცალკეული სახეები, ელექტრონული რესურსები, მიკროფორმები.

2. სფერო შეიძლება განმეორდეს, ამასთან პირველი მიეთითება სფერო, რომელიც ეხება დოკუმენტის თემატურ შინაარსს, ბოლოს – სფერო, რომელიც ეხება დოკუმენტის სერიალურობას.

3. თუ დოკუმენტი წარმოადგენს ასევე ელექტრონულ რესურსს, მაშინ განმეორებადი სფეროებიდან პირველი მიეთითება კარტოგრაფიული დოკუმენტის შესახებ სპეციფიკური ცნობები, შემდეგ მეორე სფერო – ცნობები ელექტრონული რესურსების სახის შესახებ, ხოლო მესამე სფერო – ცნობები ნუმერაციის შესახებ.

ლადო ასათიანი [electronic resource] : ბიოგრაფია, პოეზია, ზარათები და ჩანაწერები. - თბილისი : მწერალთა კავშირი, 2003. - computer disk ; 3 1/2 in. - System requirements: IBM PC.

State library agencies data FY 1997 on disk [electronic resource] - Washington,DC 20208-5652 : US Depart. of education, July,1999 - computer disk ; 3 1/2 in - - System requirements: IBM PC

თავი 15. საგამომცემლო ცნობების სფერო

1. სფერო მოიცავს ცნობებს აღწერილობის ობიექტის პუბლიკაციის ადგილისა და დროის, გავრცელებისა და დამზადების შესახებ.

2.გამოცემის, გავრცელების ადგილი

2.1.გამოცემის ადგილის და ა.შ. დასახელება მიეთითება იმ ფორმითა და იმ ბრუნვაში, როგორც მითითებულია ძირითად წყაროში, განსაზღვრული არტიკლი რჩება.

. - ქუთაისი

. - თბილისი

. - Munchen

2.2.თუ ძირითად წყაროში მითითებულია დღეისათვის მიღებული, ლათინიზებული გამოცემის ადგილის მოკლე ან გამოგონილი დასახელება, ის აისახება აღწერილობაში, შემდეგ კი, შეძლებისდაგვარად ემატება თანამედროვე ან რეალური დასახელება კვადრატულ ფრჩხილებში.

. - ტფილისი [თბილისი]

. - ფაზისი [ფოთი]

. - Ревель [Таллин]

. - N. Y. [New-Yourk]

2.3.თუ მითითებულია გამოცემის რამდენიმე ადგილი, მიეთითება დასახელება პოლიგრაფიული საშუალებით გამოყოფილი ან ძირითად წყაროში პირველად მითითებული. უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს ქვეყნის გამოცემის ადგილს, სადაც მდებარეობს ბიბლიოგრაფირების დაწესებულება. გამოტოვებულ ცნობებს აღნიშნავენ კვადრატულ ფრჩხილებში შემოკლებით [და სხვ.] ან [etc].

. – თბ. [და სხვ.]

. – London [ect.]

2.4. შეიძლება მითითებული იქნეს მეორე და ბოლო გამოცემის ადგილების დასახელებები, ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით გამოყოფილი.

. – თბ. ; თელავი

. – London ; Paris

2.5. გამოცემის ადგილის დასახელებაზე შეიძლება დამატებული იყოს ქვეყნის, რეგიონის, შტატის და ა. შ. დასახელება, თუ აუცილებელია დაზუსტდეს გამოცემის ადგილი ან განსხვავებულ იქნეს ის მოსახელესაგან. ცნობები მოყავთ მძიმით, ფრჩხილების გარეშე, თუ ის არის ძირითად წყაროში, ან კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ისინი ნასესხებია ინფორმაციის სხვა წყაროებიდან.

. – წესი (საქართველო)

. – Boston , Mass.

. – Белогорск [Кемер. обл.]

2.6. თუ აღწერილობის ობიექტში გამოცემის ადგილი მითითებული არ არის, ის შეიძლება დადგინდეს გამომცემლის (გამომცემელი ორგანიზაციის) ადგილმდებარეობის მიხედვით. გამოცემის ადგილის დასახელება მიეთითება კვადრატული ფრჩხილების გარეშე.

. – თბილისი : თბილისის სახ. უნ-ტის გამ-ბა

2.7. თუ გამოცემის ადგილი ზუსტად არ არის დადგენილი, მიეთითება კვადრატულ ფრჩხილებში, კითხვის ნიშნით, სავარაუდო ადგილი.

. – [თელავი ?]

. – [თბილისი ?]

2.8. გამოცემის ადგილის შესახებ ცნობების არ არსებობის შესახებ შეიძლება მოყვანილ იქნეს ქვეყნის დასახელება ან კვადრატულ ფრჩხილებში შემოკლებით [ა. გ.] [ნ.მ.] – «ადგილის გარეშე» ან მისი ეკვივალენტი ლათინური ფორმის [s.l.] – “sine loco”.

. – [საქართველო]

. – [B.M.]

3. სახელი (დასახელება) გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.

3.1. გამომცემლის, გამავრცელებლის და ა. შ. სახელი (დასახელება) მიეთითება გამოცემის ადგილის შემდეგ, რომელსაც იგი ეკუთვნის და გამოიყოფა ორწერტილით. ცნობები მიეთითება იმ სახით, როგორც მითითებულია ინფორმაციის ძირითად წყაროში, რჩება სიტყვა ან ფრაზები, რომლებიც მიუთითებენ ფუნქციებს, პირის ან ორგანიზაციის მიერ შესრულებული (საგამომცემლოს გარდა – სიტყვა «გამომცემლობა», «საგამომცემლო სახლი», «საგამომცემლო ჯგუფი» და ა.შ. გამოიტოვება დამახასიათებელი დასახელების არ არსებობისას). ცნობები გამომცემლის საკუთრების ფორმის შესახებ (AO, AOO, Ltd, Inc. და სხვ.), როგორც წესი გამოიტოვება.

ინფორმაციის წყაროში:

გამომცემლობა "განათლება"

გამომცემლობა "ნაკადული"

ხანაწერში:

: განათლება

: ნაკადული

3.2. გამოცემის სახელი (დასახელება) და ა. შ. მიეთითება, მკითხველისათვის მიღებული და გასაგები შემოკლებული ფორმით. თუ წინა სფეროებში ის შევიდა სრული ფორმით, მოცემულ სფეროში შეიძლება შემოკლდეს.

. - თბ. : ინ-ტის გამ-ბა

3.3. თუ გამომცემელი ფიზიკური პირია (მეწარმე, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს), აღწერილობაში მოყავთ მისი გვარი და ინიციალები, ინფორმაციის ძირითად წყაროში მითითებული ფორმითა და ბრუნვით.

. - თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-მა, 2007

. - თბ. : ე. ხელაძის სტ.

3.4. საგამომცემლო ფილიალის (განყოფილების) დასახელება მიეთითება გამომცემლის სახელით (დასახელებით) და გამოყოფენ მძიმით. მეტად მცირე დანაყოფები (ქვეგანყოფილებები, ბიუროები) გამოიტოვება.

. - თბ. : სახელმწიფო გამ-ბა, მხატვრ. ლიტ-ის განყ-ბა

3.5. ინფორმაციის ძირითად წყაროში ორი და მეტი გამომცემლის შესახებ ცნობების არსებობისას, აღწერილობაში შეიძლება მოყვანილ იქნეს თითოეული მათგანი. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მათი რაოდენობა, მოყავთ მითითებული სახელი (დასახელება), პოლიგრაფიული საშუალებებით გამოყოფილი. დანარჩენის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოყვანილ იქნეს შენიშვნებში ან გამოიტოვოს.

. - თბ. : მეცნიერება : განათლება

ცნობების რამდენიმე ჯგუფის არსებობისას, რომლებიც მოიცავენ გამოცემის ადგილსა და მასთან დაკავშირებულ გამომცემლისა და სტამბის სახელს, ისინი მიეთითება თანმიმდევრულად და გამოიყოფა ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით. ჯგუფების რაოდენობა შეიძლება შეიზღუდოს.

4. ცნობები გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. ფუნქციების შესახებ

4.4. გამომცემლის და ა.შ. სახელთან შეიძლება კვადრატულ ფრჩხილებში დამატებულ იქნეს მისი ფუნქციების განმარტება, თუ ამ ცნობების დადგენა შესაძლებელია. მაგალითად, [გამომცემელი], [გამავრცელებელი], [მომწოდებელი]. ცნობები ემატება თუ წინა სფეროებში არ არის მითითებული.

. - თბ.: გრ. ჩარკვიანის მალაზია [გამავრცელებელი]

. - London : Harvard Univ. Press [distributed]

4.5. სახელი (დასახელება), რომელიც მითითებულია ობიექტის საგამომცემლო ცნობებში და შეუძლებელია დადგინდეს პირის ან ორგანიზაციის ფუნქცია, აღწერილობაში ათავსებენ გამომცემლად.

4.6. ცნობები გამომცემლის და ა.შ. ფუნქციის შესახებ ფაკულტატურია.

5. გამოცემის, გავრცელების და ა. შ. თარიღი

ა) გამოცემის თარიღად მიეთითება აღწერილობის ობიექტის გამოქვეყნების წელი. ინფორმაციის წყაროში რომაული ციფრებით მითითებული გამოქვეყნების წელი ჩანაწერში აღინიშნება არაბული ციფრებით, მას წინ უძღვის მძიმე.

, 2000

, 1753

, 2006

ბ) თუ ინფორმაციის წყაროში მითითებულია წელთაღრიცხვა, საზოგადოდ მიღებულისაგან განსხვავებით (გრიგორიანული კალენდრით), ის ასევე მიეთითება სფეროში, ხოლო შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში მიეთითება თანამედროვე წელთაღრიცხვა.

, 4308 [ე.ი. 1975]

გ) თუ ობიექტზე მითითებულია მცდარი თარიღი, ის ასევე აისახება აღწერილობაში, ხოლო შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში – სწორი თარიღი.

, 1891 [ე.ი. 1981]

დ) თუ გამოცემის თარიღი უცნობია და არ მოხერხდა მისი დადგენა, მის ადგილას მიეთითება საავტორო უფლების, დამზადების (ბეჭდვის) თარიღი ან ცენზურის მიერ დაშვების თარიღი განმარტებებით.

, ბეჭდ. 1990

, ცენზ. 1818

ე) თუ ინფორმაციის ძირითად წყაროში აღწერილობის ობიექტის პუბლიკაციასთან დაკავშირებული თარიღები არ არსებობს, მიეთითება გამოცემის სავარაუდო თარიღი შესაბამისი განმარტებებით, თუ ეს აუცილებელია. აღნიშვნა [წ. გ.] – “წელის გარეშე” არ მოჰყავთ.

, [1977 ?]

, [1941 ან 1942]

, [ok. 1900]

, [1908 და 1913 შორის]

, [199 -]

, [18--]

, [17--?]

ვ) გამოუქვეყნებელი მასალებისათვის გამოცემის თარიღად მიეთითება წარმოების თარიღი (შექმნის, ჩაწერის, დამზადების და ა. შ.)

6. დოკუმენტის დამზადების შესახებ ყველა ცნობა ან ზოგიერთი მათგანი (თარიღის ჩათვლით), მიეთითება თუ ისინი განსხვავდებიან საგამომცემლო ცნობებისაგან და აუცილებელია ბიბლიოგრაფიული დაწესებულებისათვის.

თავი 16. ფიზიკური დახასიათების სფერო

1. ფიზიკური დახასიათების სფერო მოიცავს ფიზიკური ფორმის აღნიშვნას, რა ფორმითაც წარმოდგენილია აღწერილობის ობიექტი, მოცულობას და, აუცილებლობის შემთხვევაში, დოკუმენტის ზომას, მის ილუსტრაციებს და თანმხლებ მასალებს, რომელიც წარმოადგენს აღწერილობის ობიექტის ნაწილს.

2. მასალის სპეციფიკური აღნიშვნა და მოცულობა

მოცემულ ელემენტში მიეთითება ცნობები ფიზიკურ ერთეულთა (არაბული ციფრებით) რაოდენობის შესახებ და მასალის სპეციფიკური აღნიშვნა. ცნობები მასალის სახის შესახებ აღინიშნება

ბიბლიოგრაფიული დაწესებულების ენაზე.

. – 5 რუკა

. – 2 ელექტ. ოპტიკ. დისკი (CD-R)

. – 2 მფიში

. – 5 გრფ.

2.1. ცნობები პაგინაციის შესახებ მოყავთ იმ ციფრებით (რომაული ან არაბული) და ასოებით, რომელიც გამოყენებულია აღწერილობის ობიექტზე; დაუთვლელი ფურცლები და გვერდები ჯამდება და ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში პაგინაციის ბოლოს.

. – 102 გვ. , 12 გვ. ილ.

. – 189, [1]გვ., [8] ფურც. ილ.

. – V, 215, 15 გვ.

. – CCXCIX გვ. ილ.

. – [20]ცალკ. ფურც. ილ.

თუ ნუმერაცია განხორციელებულია არაბულისაგან და რომაულისაგან განსხვავებული ციფრული აღნიშვნებით, აღწერილობაში მიეთითება გვერდების რაოდენობა არაბული ციფრებით. გვერდების ნუმერაციის ხერხები შეიძლება აღნიშნული იყოს შენიშვნებში.

3. აუცილებლობის შემთხვევაში, მრგვალ ფრჩხილებში შეიძლება მიითითებული იყოს აღწარმოების დრო, კადრების რაოდენობა და ა. შ.

- . – 1 DF. (70 კადრი) : შავ-თეთრი
- . – 2 ელექტრ. ოპტიკ. დისკი (CD-I) : ხმ. , ფერ.
- . – 325 გვ. : ფერ. ილ.
- . – 1 კ. : ფერ.
- . – 1 ხმოვ. დისკი (56 წთ.) : ციფრული, სტერეო
- . – 1 მოდელი (4 საგანი) : პოლისტიროლი

4. ზომები

4.1. ხმოვანი დოკუმენტების ზომები, მიითითებულია თუ ისინი განსხვავდება სტანდარტული ზომებისაგან, წამმღვარებელი აქვთ ნიშანი წერტილ-მძიმე.

- . – 86 გვ. : ილ. ; 30x20 მმ
- . – 1 კ. : ფერ. ; 44 x 52 სმ. , აწყ. 22 x13 სმ
- . – 3 რულონი მფ. ; 35 მმ.
- . – 1 ხმოვანი დისკი (56 წთ.) : ციფრული, სტერეო ; 12 სმ

4.2. თუ აღწერილობის ობიექტი კონტეინერშია მოთავსებული, შეიძლება მიითითებულ იქნეს მისი ზომები ობიექტის ზომების შემდეგ, ან მხოლოდ კონტეინერის ზომები.

- . – 3 ელექტრ. ოპტიკ. დისკი (CD -R) : ხმოვ. , ფერადი ; კონტეინერში 15 x15 სმ.

5. თანმხლები მასალები

5.1. სფეროს ბოლო ელემენტია თანმხლები მასალების შესახებ ცნობები, ნიშანი პლუსით წამმღვარებელი. არაბული ციფრებით მიეთითება ფიზიკურ ერთეულთა რაოდენობა და მისი დასახელება (მასალის სპეციფიკური აღნიშვნის გამოყენებით), ასევე ცნობები მოცულობის და (ან) თანმხლები მასალების ზომების შესახებ.

- . – 130 გვ. : ფერ. ილ. + 5 რუქა
- . – 24 [1] ს. : ძვ. ილ. ; 21 სმ.

5.2. თანმხლებ მასალებზე შეიძლება შედგენილი იქნეს აღწერილობა როგორც დამოუკიდებელ ობიექტზე (მასში აუცილებელი ბიბლიოგრაფიული ცნობების არსებობის შემთხვევაში) მისი კერძო სათაურით, ნაწარმოების საფუძველზე აღწერილობასთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია დართული გამოცემაზე "აკრიანი – მარტომყოფი – მარტყოფი – 4500 : (ბუნება, წარსული, ყოფა-ცხოვრება)" / აკაკი მათაიშვილი ; [რედ. ღვთისაგარ არჩემაშვილი] . – თბ. : სამთავისი , 1998 . – 304 გვ. ; 20 სმ.

თანმხლები მასალა შეიძლება იყოს ასახული მრავალდონიანი აღწერილობის მე-2 დონეზე.

თავი 17. სერიების სფერო

1. სფერო მოიცავს ცნობებს მრავლნაწილიან დოკუმენტზე, რომლის ცალკეული გამოშვება წარმოადგენს აღწერილობის ობიექტს.

2. სფერო მოიცავს სერიასთან დაკავშირებულ სათაურის ელემენტებს და ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე სერიის და ნომრის სტანდარტულ ნომერს, რომლითაც ობიექტი აღინიშნება მოცემულ სერიაში.

3. სერიის ძირითადი სათაური მიეთითება აღწერილობის ობიექტის ძირითადი სათაურის მოყვანის წესების შესაბამისად.

- . – *(მსოფლიო პოეზიის საგანძური)*
- . – *(საზღვარგარეთული დეტექტივი)*
- . – *(Историки по истории Грузии , 68)*

4. სერიის პარალელური სათაური აღინიშნება ამ სფეროში მიღებული ნორმების შესაბამისად.

- . – *(საზღვარგარეთული დეტექტივი = Зарубежный детектив)*

5. სერიის სათაურთან დაკავშირებული ცნობები, მიეთითება მიღებული ნორმების შესაბამისად. ინფორმაციის წყაროში არსებული ცნობები სერიის ხელახალი გამოცემის შესახებ ასევე თავსდება აღწერილობის ამავე ელემენტში, წამმდვარებული აქვს ორწერტილი.

- . – *(საქართველოს საზოგადოება "ცოდნა". სერია 7: N 1)*
- . – *(Великие писатели в романах : Жюль Верн, 1828-1905)*

6. სერიის სფეროში ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მიეთითება თუ ის აუცილებელია იდენტიფიკაციისათვის, დანარჩენ შემთხვევაში მათ ათავსებენ სერიის სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფეროში ან შენიშვნების სფეროში.

7. თუ აღწერილობის ობიექტი შედის სერიაში ქვესერიით, ძირითადი სათაური შედგება სერიის სათაურისაგან (ზოგადი სათაური) და ქვესერიის სათაური (დამოკიდებული სათაური), ერთმანეთისაგან გამოიყოფა წერტილით, რომლის შემდეგ მიეთითება სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროს დანარჩენი ელემენტები.

8. თუ ქვესერიის სათაური დამოუკიდებელია სერიის სათაურისაგან და შეუძლია უზრუნველყოს ქვესერიის იდენტიფიკაცია, ძირითად სათაურად მიეთითება ქვესერიის სათაური, ხოლო სერიის სათაური აღინიშნება შენიშვნების სფეროში.

9. სერიის ან ქვესერიის (ISSN) საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, აღინიშნება თუ ის მიითითებულია ინფორმაციის წყაროში. ნომერი მიეთითება სტანდარტული ფორმით, აბრევიატურის ISSN-ის შემდეგ, რომელსაც მოყვება ინტერვალი და მიეთითება ციფრთა ორი ჯგუფი დეფისით გამოყოფილი. ნომერს წინ უძღვის ნიშანი - მძიმე.

, ISSN 0201-7636

, ISSN 0131-6044

10. ინფორმაციის წყაროში სერიის ISSN და ქვესერიის ISSN არსებობისას, აღინიშნება ქვესერიის ISSN, ხოლო სერიის ISSN გამოიტვივება.

11. თუ სერიის სფეროში ათავსებენ ცნობებს მრავალტომეული გამოცემის შესახებ, ISSN ნაცვლად ათავსებენ ISBN, რომელიც მინიჭებულს აქვს მთლიანად მრავალტომეულის გამოცემას.

, ISBN 5-250-00513-6

12. სერიის გამოშვების ნომერს ჩაწერენ არაბული ციფრებით და, როგორც წესი, იმ ფორმით, როგორც ის მიითითებულია აღწერილობის ობიექტზე. მას წამმდვარებული აქვს ნიშანი წერტილ-მძიმე.

; გამოშვ. 7.

; N 38/1998

სერიების სფეროში შეიძლება მოთავსებული იყოს ცნობები მრავალნაწილიანი (მრავალტომეული, მრავლფურცლიანი, მრავალსერიანი) დოკუმენტის ნებისმიერი სახის – წიგნის, რუქის, კინოფილმის ელექტრონული რესურსების და ა. შ. შესახებ. ძირითად

სათაურად მიეთითება მრავალნაწილიანი დოკუმენტის საერთო სათაური, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს აღწერილობის ობიექტი. დანარჩენი ზოგადი ცნობები მრავალნაწილიანი დოკუმენტის შესახებ ამ შემთხვევაში ასევე თავსდება სერიის სფეროში ნაშრომში ასახული წესების შესაბამისად.

თავი 18. შენიშვნების სფერო

1. შენიშვნების სფერო მოიცავს დამატებით ინფორმაციას აღწერილობის ობიექტის შესახებ, რომელიც არ იყო მოყვანილი აღწერილობის სხვა ელემენტებში. სფეროში მოყვანილი ცნობები ზუსტდება ინფორმაციის ნებისმიერი წყაროდან და ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

2. თითოეულ შენიშვნას წამმდვარებული აქვს ნიშანი წერტილი და დეფისი (-) ან თითოეულ შენიშვნას იწყებენ ახალი ხაზიდან. შესავალ სიტყვას შენიშვნების ძირითადი შინაარსისაგან გამოყოფენ ორი წერტილით ინტერვალის გარეშე.

ვინ დიდი და ვინ პატარა: [ლექსები, პოემები, თარგმანები უმც. ასაკის ბავშვებისათვის]. – ყდა და თავურცელი ქართ., რუს., ინგლ. ენ შენიშვნა და განმარტებანი გვ. 381–396.

3. შენიშვნების სფერო მთლიანად ფაკულტატურია, თუმცა ზოგიერთი ობიექტის აღწერილობისას ცალკეული შენიშვნები აუცილებელია, მაგალითად, შენიშვნა მოიცავს სისტემურ მოთხოვნებს ელექტრონული რესურსების და სხვ. აღწერილობისას.

გოგი ხარაბაძე [აუდიოჩანაწერი] : ვეფხისტყაოსანი / პროდიუს.: მერაბ სანოძე, გიორგი ხარაბაძე ; მხატვ. დიზაინ. კოტე ჯაფარიძე ; კომპ. გრაფ. ლუკა გოცირიძე ; ხმ. რეჟის.: გ. ქუთათელაძე (ერიკ), ა. ბერმენიშვილი, ლ. ლაზარიშვილი ; პროექტ. კოორდ. გ. ქეშაძე. - თბ. : პეტეტი, 2006 : სანო სტუდია. - 6 კომპაქტ-დისკი (CD-ROM) ; 12 სმ. - მოთავსებულია 23 კომპაქტ-დისკთან ერთად ერთ კაბრაში.

Energy Information Administration [electronic resource] - Washington, DC 20585 : The National Energy Information Center, 1999-2001. - 1 CD-ROM ; 4 3/4 in - - System requirements: PC; Windows 3.1 or higher

4. შენიშვნების ტექსტი არ რეგლამენტირდება, შენიშვნებში აღწერილობის ფრაგმენტების შემცველი სფეროები და ელემენტები აღინიშნება პირობითი პუნქტუაციით, ნიშანი წერტილისა და დეფისის გარდა, რომელიც იცვლება წერტილით.

.- ნოტების ორიგინ. ფოტოასლი გამოცემიდან:...

5. შენიშვნების აღნიშვნის თანმიმდევრობა შეესაბამება აღწერილობის სფეროებისა და ელემენტების თანმიმდევრობას, რომელსაც ეხება შენიშვნა.

5.1. შესაძლებლობის შემთხვევაში ერთიანდება ორი და მეტი შენიშვნა.

.- ტექსტი ქართ. ენაზე, პარალ. ლათ. ტრანსკრიპციით

5.2. შენიშვნების შემდეგ, რომელიც ეხება სფეროებსა და ელემენტებს, მიეთითება საერთო ხასიათის შენიშვნები, მთლიანად აღწერილობის ობიექტის შესახებ.

6. სფეროებისა და ელემენტების შენიშვნები.

6.1. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროს შენიშვნები.

6.1.1. აღსაწერი ობიექტი მოიცავს შენიშვნებს ნაწარმოების ენის, თარგმნის ან ადაპტაციის შესახებ, ასევე ორიგინალის შესახებ, საიდანაც გაკეთებულია თარგმანი.

.- კომენტარები და რეზიუმე ინგლ. ენაზე

.- ტექსტი ფრანგულ ენაზე

.- რუსულიდან სუბტიტრებით

6.1.2. ძირითადი სათაურის წყაროს შესახებ შენიშვნა კეთდება თუ სათაური მითითებული არ არის ინფორმაციის წყაროში.

- .– სათაური მოყვანილია ტექსტის პირველ გვერდზე
- .– სათაური დადგენილია წყაროდან: ...

ჭაჭავაძე ილია

[*ლექსები და პოემები*] - თბ. : საბჭოთა მწერალის გამ-ბა და სტ., 1948 - 176გვ. ; 15სმ. - თავფურცელზე და ყდაზე სათაური არ არის, აღწერილია შმუცტიტულის მიხედვით.

6.1.3. აღწერილობის ობიექტში არსებული სათაურის ვარიანტების შესახებ შენიშვნები.

- .– სხვა სათაური:

6.1.4. შენიშვნები სათაურის შესახებ შეიძლება მოიცავდეს თვით პარალელურ სათაურს ან ცნობებს მათი არსებობის შესახებ სხვა ენებზე.

„ რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. – პარალელური სათაური : კაკო ყაჩაღი

6.1.5. სათაურთან დაკავშირებული ცნობების შესახებ შენიშვნები, რომელიც განსხვავდება ან ავსებს ცნობებს, მიეთითება სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფეროში.

- . – ტექსტის ბოლოს ავტორის შენიშვნა: ზოგიერთი სიმღერის კილო ევროპულია
- . – კრებულში შესულია ვოკალური ნაწარმოებები ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“
- . – ტექსტში ჩართულია ქართული ხალხური მუსიკის მიმოხილვა

6.1.6. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების შენიშვნები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ავტორის, სხვა პირის ან ორგანიზაციის სახელის (დასახელების) სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესახებ და ა. შ., ინფორმაციის წყაროს შესახებ, ავტორის (თუ ეს სხვა წყარო არ არის) შესახებ, ასევე ცნობები პირთა და (ან) ორგანიზაციათა შესახებ, რომლებიც წინა სფეროში არ არის მითითებული და ა.შ.

- .– ავტორის ნამდვილი გვარი დადგენილია ჟურნალიდან: ...
- .– ავტორები არიან აგრეთვე: ლ.ირემაშვილი, ე.გეგეშიძე, ნ.კალაძე
- .– ფაქს.გამოც. მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ.შარაძემ

6.2. სპეციფიკური ცნობების სფეროს შენიშვნები შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას მასალის სახის ან პუბლიკაციის ტიპის შესახებ.

- .– პარტიტურა მოცემულია შემოკლ. სახით
- .– ელექტრონული მასალის ზომა დადგენილი არ არის

6.3. საგამომცემლო ცნობების სფეროს შენიშვნები შეიძლება მოიცავდეს დამატებით ცნობებს გამოცემის ადგილის, საგამომცემლოს ან პუბლიკაციის თარიღის შესახებ, ამ მონაცემთა სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროში და ა. შ.

- .– გამოცემის წელი დადგენილია სხვა წყაროებიდან:...
- .– გამოცემის წელი წიგნის ყუსზე აღნიშნულია შეცდომით: 1897
- .– საგამომცემლო ცნობები ამოღებულია ეტიკეტიდან

6.4. ფიზიკური დახასიათების სფეროს შენიშვნები შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას პაგინაციის, ილუსტრაციის, მოცულობისა და ზომის შესახებ, თანმხლები მასალების და ა. შ. შესახებ. ამ ჯგუფის შენიშვნებს მიეკუთვნება შენიშვნა სისტემური მოთხოვნებისა და მისაწვდომობის რეჟიმის შესახებ.

- .- ძველი არაბული პაგინაცია
- .- გაფერადებულია აკვარელით და გუაშით
- .- შემხვედრი პაგინაცია

6.5. სერიის სფეროს შენიშვნა შეიძლება ასახავდეს ინფორმაციას სერიის პუბლიკაციის ისტორიის, მისი დამფუძნებლების შესახებ, სერიის სათაური სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესახებ და ა. შ.

- .- სერიის პარალელური თავსათაური ინგლ., გერმ.
- .- სერიის საერთო სათაური: მსოფლიო ლიტერატურის ბიბ-კა

შენიშვნა შეიძლება ხსნიდეს აღწერილობის ობიექტის შინაარსს, და მოთავსებული იყოს კრებულის ან დოკუმენტის კომპლექტის რამდენიმე მატარებელზე, მოახდინოს ინფორმირება ბიბლიოგრაფიული სიის, მაჩვენებლის ან საცნობარო აპარატის სხვა კომპონენტების აღწერილობის ობიექტში არსებობის შესახებ და ა.შ.

- .- შინაარსი: პოლკოვნიკ პლატოვის გულახდილი მოთხრობები ნათესავებისა და ნაცნობების შესახებ/ ს.მსტისლავსკი. პრაპორჩიკის ჩანაწერები/ლ.ოსკინი

- .- ბიბლიოგრაფია გარეკანის მე-3 გვერდზე (15 დასახ.)
- .- დანართში ჩართულია სიმფონიის ნოტების ვარიანტები

თავი 19. სტანდარტული ნომრის (ან მისი ალტერნატივების) სფერო და მისაწვდომობის პირობები

1. სფეროში აღინიშნება აღწერილობის ობიექტის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი: წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) ან სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN). ან ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ნომერი, რომელიც მინიჭებული აქვს აღწერილობის ობიექტს. სტანდარტული ნომრები მიეთითება მიღებული საერთაშორისო მასშტაბის აბრევიატურით და პირობითი პუნქტუაციით – წერტილითა და დეფისით (-).

- . – ISBN 2-252-01969-7.
- . – ISSN 0201-7636.

თუ საერთაშორისო ნომერი არ არის, შეიძლება მითითებული იქნეს სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი.

2. თუ რამდენიმე ნომერია, მიეთითება ის ნომერი, რომელიც ეხება აღსაწერ ობიექტს. თუ ეს ძნელია განისაზღვროს, ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში აღინიშნება ინფორმაციის წყაროში არსებული ყველა საერთაშორისო სტანდარტული ნომერი.

შეიძლება მითითებული იყოს მთლიანად მრავალტომეული გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი და ტომის ნომერი, ასევე თანმხლები მასალის სტანდარტული ნომერი. ასეთ შემთხვევაში ნომრებს ახლავს დამატებითი განმარტებანი, მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული.

- . – ISBN 5-94799-211-6. – ISBN 5-9479-212-4 (ტ.1)

3. თუ ცნობილია, რომ ნომერი არასწორია, აღწერილობაში მიუთითებენ სწორ ნომერს, თუ მისი დაზუსტება შესაძლებელია. არასწორი ნომერი აღინიშნება იმ სახით, როგორც მითითებულია ინფორმაციის წყაროში, მრგვალ ფრჩხილებში განმარტებით ”შეცდომა”.

- . – ISBN 5-7990-0074-9. – ISBN 5-7990-074-9 (შეცდომა)

4. საკვანძო სათაურია – სათაური, რომელიც ადგენს იდენტიფიკაციისათვის და რეგისტრაციისათვის სერიალური გამოცემის ISSN მინიჭების პროცესში, თუ ის მითითებულია ან ადვილია მისი დაზუსტება ISSN შემდეგ წამმდგარებული ტოლობის ნიშნით.

- . – ISSN 0340-0352 = IFLA journal

5. ხელმისაწვდომობის პირობები მოიცავს ინფორმაციას ფასის ან ობიექტზე მისაწვდომობის სხვა პირობების შესახებ მოკლე ცნობებს. მათ წინ უძღვის ნიშანი ორწერტილი.

: 25 ლ.

: უფასო

: გაქირავება

6. დამატებითი ცნობები მიეთითება მრგვალ ფრჩხილებში აუცილებელ განმარტებად სფეროს ნებისმიერ ელემენტთან.

. - ISBN 0-387-08266-2 (V.S.)

. - ISBN 3-540-08266-2 (Germany)

მრავალნაწილიანი დოკუმენტი – ერთდონიანი აღწერილობის გამოყენების თავისებურებანი

1. მრავალდონიანი დოკუმენტის ერთდონიანი აღწერილობა

1.1. მრავალდონიანი დოკუმენტის ერთდონიან აღწერილობას ადგენენ დასრულებულ მრავალნაწილიან დოკუმენტზე ან ცალკეულ ფიზიკურ ერთეულთა ნაკრებზე ქვემოთ მითითებული წესების შესაბამისად, ამასთან მოცულობის შესახებ ცნობები – დოკუმენტის ტომების (გამოშვების, ნომრების) რაოდენობა – აუცილებელია და ყველა მომდევნო დონეებზე, ამ შემთხვევაში გამოიყოფა.

ქართული მწერლობა : 30 ტომად / [შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე ;

სარედ. კოლ.: ა. ბაქრაძე და სხვ.]. - თბ. : ნაკადული, 1987 - ; 20სმ.

ცალკეულ ტომზე (გამოშვებაზე, ნომერზე), აუცილებლობის შემთხვევაში შეადგენენ ერთდონიან ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას მრავალნაწილიანი დოკუმენტის საერთო სათაურით ან ტომის (გამოშვების, ნომრის) კერძო სათაურით ქვემოთ მითითებული წესების შესაბამისად.

1.2. მრავალდონიანი დოკუმენტის, ტომის (გამოშვების, ნომრის) საერთო სათაურით აღწერილობის შედგენისას ძირითად სათაურად მიეთითება მრავალდონიანი დოკუმენტის ტომის (გამოშვების, ნომრის) საერთო სათაური, რიგითი ნომერი და კერძო სათაური (თუ ასეთი აქვს) და გამოიყოფა წერტილებით.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 2. საქართველო IV-X სს /

[სარედ. კოლ.: გ. მელიქიშვილი (მთ. რედ.), ი. ანთელავა, ვ. დონდუა და

სხვ.] ; საქ. სსრ მეცნ. აკად., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის სამეცნ. საბჭო - თბ. : საბჭ.

საქართველო, 1970. - 670გვ. : 37ფ.ილ. - საძიებლები: გვ. 646-665.

1.3. კერძო სათაურით ტომის (გამოშვების, ნომრის) აღწერილობის შედგენისას, ძირითად სათაურად მიეთითება მრავალდონიანი დოკუმენტის ტომის (გამოშვების, ნომრის) კერძო სათაური. ცნობები მთლიანად მრავალნაწილიანი დოკუმენტის შესახებ აღინიშნება სერიის სფეროში.

საქართველო IV-X საუკუნეებში / რედ. შ. მესხია . - 1973. - 670 გვ.

(საქართველოს ისტორიის ნარკვევები / [სარედ. კოლ.: გ. მელიქიშვილი

(მთ. რედ.), ი. ანთელავა, ვ. დონდუა და სხვ.]; საქ. სსრ მეცნ. აკად., ივ.

ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის

სამეცნ. საბჭო ; ტ. 2) : ილ., 37ფ. ილ. - საძიებლები: გვ. 646-665.

განყოფილება 3. მრავალდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის წესები

**თავი 20. ძირითადი დებულებანი. მრავალდონიანი ბიბლიოგრაფიული
აღწერილობის სტრუქტურა და შემადგენლობა**

1. მრავალდონიანი აღწერილობა წარმოადგენს თავის მხრივ ცნობათა ერთობლიობას ცალკეულ ფიზიკურ ერთეულთა შესახებ, გაერთიანებულს საერთო სათაურით, სადაც დადგენილია იერარქიული კავშირი, ფორმატის საშუალებით შესაბამისი კავშირის ველებით.

1.1. მრავალდონიან აღწერილობას ადგენენ მრავალდონიან დოკუმენტზე, რომელიც შედგება ორი ან მეტი ცალკეული ფიზიკური ერთეულისაგან, და დოკუმენტთა შემადგენელ ნაწილებზე. პირველ დონეზე (ზოგადი ნაწილი) აღინიშნება მთლიანად დოკუმენტისათვის საერთო ცნობები, მეორეზე და მომდევნო დონეებზე (სპეციფიკაცია) ცნობები, რომლებიც ეხება თითოეულ ცალკეულ ფიზიკურ ერთეულს – დოკუმენტის ტომს (გამოშვებას, ნომერს), დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს ან დოკუმენტთა ჯგუფს.

1.2. ცალკეულ ფიზიკურ ერთეულზე, ასევე დასრულებულ ჯგუფზე მთლიანად შეიძლება შედგენილი იყოს ერთდონიანი აღწერილობა, შედგენილი მხოლოდ პირველი დონისაგან.

2. მრავალდონიანი აღწერილობის სტრუქტურა და შემადგენლობა

2.1. მრავალდონიანი აღწერილობის სფეროებისა და ელემენტების სქემა. პირველი დონე (ზოგადი ნაწილი).

ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური : სათაურთან დაკავშირებული ცნობები / პასუხისმგებლობის შესახებ პირველი ცნობები . – ცნობები გამოცემის შესახებ . – სპეციფიკური ცნობები . – გამოცემის პირველი ადგილი : გამომცემლის , გამავრცელებლის და ა.შ. სახელი. [გამომცემლის, გამავრცელებლის და ა.შ. ფუნქციის შესახებ ცნობები] , გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღი. (დამზადების ადგილი : დამამზადებლის სახელი, დამზადების თარიღი) . – მასალის სპეციფიკური აღნიშვნა და მოცულობა : სხვა ცნობები ფიზიკური დახასიათების შესახებ ; ზომები + ცნობები თანმხლები მასალების შესახებ . – (სერიისა და ქვესერიის ძირითადი სათაური = სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური : ცნობები დაკავშირებული სერიის ან ქვესერიის სათაურთან , სერიალური დოკუმენტის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN) ; სერიის ან ქვესერიის გამოშვების ნომერი) . – შენიშვნა . – სტანდარტული ნომერი (ან მისი ალტერნატივა) = საკვანძო სათაური : მისაწვდომობის პირობები და (ან) ფასი (დამატებითი ცნობები სფეროს ელემენტებზე).

მეორე დონე (სპეციფიკაცია)

აღნიშვნა და რიგითი ნომერი ტომის (გამოშვების, ნომრის) : ძირითადი სათაური [მასალის ზოგადი აღნიშვნა] = პარალელური სათაური : სათაურთან დაკავშირებული ცნობები / ცნობები გამოცემის შესახებ / სპეციფიკური ცნობები . – გამოცემის პირველი ადგილი ; გამომცემლის , გამავრცელებლის და ა.შ. სახელი , გამოცემის, გავრცელების და ა.შ. თარიღი . – მასალის სპეციფიკური აღნიშვნა და მოცულობა : სხვა ცნობები ფიზიკური დახასიათების შესახებ ; ზომები + ცნობები თანმხლები მასალების შესახებ . – (სერიისა და ქვესერიის ძირითადი სათაური : ცნობები დაკავშირებული სერიის ან ქვესერიის სათაურთან , სერიალური დოკუმენტის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN) : მისაწვდომობის პირობები და (ან) ფასი (დამატებითი ცნობები სფეროს ელემენტებზე) . – მაჩვენებლები . შინაარსი.

2.2. აღწერილობა, რომელიც შეესაბამება მრავალდონიანი აღწერილობის მეორე დონეს, მოყავთ პირველი დონის აღწერილობის შემდეგ ახალი ხაზიდან – ცნობები ტომების (გამომშვებების, ნომრების) შესახებ.

2.3. მეორე დონის აღწერილობა მოიცავს ჩამონათვალს ტომების და ა. შ. ფიზიკურ ერთეულთა შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მოცემული დოკუმენტის მაჩვენებლებთან და შინაარსთან. ასევე სხვა ბიბლიოგრაფიული ცნობები მრავალნაწილიანი დოკუმენტის შესახებ მოყავთ აღწერილობის მეორე დონის ბოლოს.

2.4. აღწერილობის მეორე დონეში დაშვებულია ჩაიწეროს ცნობები შემოკლებული ფორმით. ამასთან გამოიტოვება ყველა ან ცნობათა ნაწილი ტომების შესახებ, გარდა ტომის ნომრისა და საერთაშორისო სტანდარტული ნომრის (ISBN ან სხვ.) ტომების (გამომშვებების, ნომრების) შესახებ ცნობები. მეტად მოკლე ფორმას წარმოადგენს ძირითადი რიგითი ერთეულის მითითება.

3. მრავალდონიანი აღწერილობის ობიექტი

3.1. საერთო სათაურით გაერთიანებული ობიექტი, რომელიც შედგება ორი ან მეტი ცალკეული ფიზიკური ერთეულისაგან – ტომებისაგან (გამომშვებებისაგან, ნომრებისაგან), გაერთიანებული საერთო სათაურით. მათ განეკუთვნება გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მრავალნაწილიანი დოკუმენტი ნებისმიერ ფიზიკურ მატარებელზე.

3.1.1. მრავალტომეული მონოგრაფიული დოკუმენტი, როგორცადაც განიხილება არაპერიოდული ტექნიკური დოკუმენტები, რომლებშიც წინასწარ გათავალისწინებულია ტომთა გარკვეული რაოდენობა: თხზულებათა კრებული, რჩეული ნაწარმოები, ცალკეული ნაწარმოები და ა.შ. ტომის ქვეშ იგულისხმება ცალკეული ფიზიკური ერთეული, აღნიშნული როგორც ტომი, ნაწილი, გამოშვება, კრებული, რვეული და ა.შ.

3.1.2. სერიალური და სხვა გრძელდებადი რესურსები, რომელთა გრძელდებადობა წინასწარ არ არის დადგენილი, გამოდის რეგულარულად ან მასალის დაგროვების შესაბამისად, დანომრილი და (ან) დათარიღებული ერთნაირი სათაურით: გაზეთები, ჟურნალები, დანომრილი ან დათარიღებული კრებულები, ბიულეტენი, წელიწდეულები, სერიები, განახლებადი დოკუმენტები და ა.შ.

3.1.3. სანოტო, კარტოგრაფიული, აუდიოვიზუალური, საარჩევნო, ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტები; ელექტრონული რესურსები, გამოქვეყნებული ორ და მეტ ნაწილად ორ და მეტ მსგავს ან სხვადასხვა ფიზიკურ მატარებელზე (მათ შორის მულტიმედია).

3.1.4. მიკროფორმათა კომპლექტი

3.1.5. მრავალნაწილიანი დოკუმენტის მაჩვენებლები და დანართები, დამოუკიდებელი სათაურებით, გამოცემული ცალკეულ ფიზიკურ ერთეულად.

3.1.6. მრავალნაწილიანი დოკუმენტის ფიზიკური ერთეულის შემადგენელი ნაწილის ობიექტები, რომელშიც შედის ეს ნაწილი და აგრეთვე მაჩვენებლები და დანართები დამოუკიდებელი სათაურებით, რომლებიც მრავალნაწილიანი დოკუმენტის ტომისაგან (გამომშვებისაგან, ნომრისაგან) ფიზიკურად არ არიან გამოყოფილნი.

4. ინფორმაციის წყაროები

4.1. მრავალდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს მთლიანად აღწერილობის ობიექტი. აღწერილობა შეიძლება შედგენილი იქნეს ტომების ჯგუფების მიხედვით ან თითო-თითო ტომის (გამომშვების, ნომრის) მიხედვით. მრავალდონიან აღწერილობას შეადგენენ მრავალნაწილიან დოკუმენტზე,

რომელიც გამოქვეყნებულია ერთი სათაურით.

4.2. მრავალტომიანი ან სერიალური დოკუმენტების მრავალდონიანი აღწერილობისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს არსებულ ტომთაგან (გამოშვებათაგან, ნომერთაგან) პირველი.

4.3. თუ მრავალდონიანი აღწერილობის შედგენისას ერთი ტომის (გამოშვების, ნომრის) ან ჯგუფის მიხედვით და ცნობათა ხასიათის მიხედვით ძნელია დადგინდეს, ეხება თუ არა მთლიანად აღწერილობის ობიექტს ან მხოლოდ ერთ ტომს, ცნობები მიეთითება აღწერილობის პირველ დონეზე.

4.4. სათაურის შეცვლის დროს აღწერილობის ადგენენ თითოეულ დოკუმენტზე შეცვლილი სათაურით. აუცილებლობის შემთხვევაში დგება ერთიანი აღწერილობა ყველა ტომის მითითებით.

5. აღწერილობის ენა

5.1. ყველა დონის აღწერილობაში აღწერილობის ენა, როგორც წესი უნდა შეესაბამებოდეს ენას, რომელზედაც გამოქვეყნებულია გამოცემა.

5.2. თუ ტომები (გამოშვებები, ნომრები) გამოქვეყნებულია სხვადასხვა ენაზე, მაშინ პირველი დონის აღწერილობა შედგება უმრავლესი ტომების ან პირველად შემოსული ტომის ენაზე.

თავი 21. ელემენტთა აღნიშვნის თავისებურებანი აღწერილობის პირველ დონეზე

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო

1.1. ძირითად სათაურად აღწერილობაში პირველ დონეზე იწერება აღწერილობის ობიექტის საერთო სათაური. ტომის კერძო სათაური მიეთითება აღწერილობაში მეორე და მომდევნო დონეებზე.

1.1.1. მრავალნაწილიანი დოკუმენტის ძირითადი სათაური შეიძლება იყოს: თემატური, შედგენილი ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან (მათ შორის ორგანიზაციის დასახელებაც), ასევე აბრევიატურები, დოკუმენტის იდენტიფიკაციისათვის.

ნარკომანია

საქართველოს შსს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო)

ტიპიური, შედგენილი დოკუმენტის სახის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან: შრომები, სავიოლინო კონცერტი, ელექტრონული ჟურნალი, ბიულენეტი, კატალოგი.

1.1.2. თუ აღწერილობის ობიექტის სათაური პირველ ტომში განსხვავდება შემდეგი ტომების სათაურისაგან, ძირითად სათაურად მიეთითება პირველ ტომში მითითებული სათაური, რომლითაც გამოვიდა ტომთა უმრავლესობა. ძირითადი სათაურისაგან განსხვავებული სათაური, მიეთითება აღწერილობის პირველი დონის შენიშვნებში, თუ ყველა ტომი შემოვიდა ერთდროულად, ან შენიშვნების სფეროში მეორე დონეზე და შემდეგ დონეებზე.

1.1.3. თუ ძირითად სათაურში ან მასთან დაკავშირებულ ცნობებში შედის რიგითი ნომერი, მაშინ ის მიეთითება აღწერილობის მეორე დონეზე, ძირითად სათაურში ან მასთან დაკავშირებულ ცნობებში. ნომრის ნაცვლად პირველ დონეზე წერენ მრავალწერტილს.

ინფორმაციის წყაროში:

სამუშაო რეგული N 1 მათემატიკაში

აღწერილობაში:

სამუშაო რეგული ... მათემატიკაში

1.1.4. თუ აღწერილობის ობიექტი შედგება ორი და მეტი ცალკეული ფიზიკური ერთეულისაგან – ტომისაგან და არ გააჩნია ფორმულირებული საერთო სათაური, ხოლო თითოეული ტომის სათაური შედგება მუდმივი ნაწილებისაგან და ცვალებადი ქრონოლოგიური აღნიშვნისაგან, მაშინ ძირითად სათაურად აღწერილობის პირველ დონეზე მიეთითება მუდმივი ნაწილი.

1.1.5. თავფურცელზე ორი ფორმის სათაურისა და გამოსახული აბრევიატურის არსებობისას, აღწერილობაში ძირითად სათაურად აღინიშნება სათაური, რომელიც გამოყოფილია შრიფტით ან ფერით. ამ ნიშნების არ არსებობის შემთხვევაში – პირველი. სხვა შემთხვევებში უპირატესობას ანიჭებენ სრულ ფორმას.

1.1.6. მასალის ზოგადი აღნიშვნის შერჩევასა უპირატესობას ანიჭებენ მრავალნაწილიანი დოკუმენტის მატერიალური მატარებლის აღნიშვნას:

მე-20 საუკუნის არქიტექტურული ენციკლოპედია [ელექტრონული რესურსი]

1.1.7. თუ შეუძლებელია დადგინდეს მასალის დომინირებული კატეგორია აღწერილობის ობიექტისათვის მთლიანად, აღწერილობის პირველ დონეზე მოყავთ პირველად შემოსული ტომის მასალის ზოგადი აღნიშვნა, ხოლო აღწერილობის მეორე დონეზე – ტომთა ნომერთა შესაბამისი მასალის ზოგადი აღნიშვნა.

1.2. პარალელური სათაურები აღწერილობაში აღინიშნება პირველ დონეზე ძირითადი სათაურის ორივე ნაწილის შემდეგ.

1.3. სათაურთან დაკავშირებული ცნობები მიეთითება, როგორც წესი, თანმიმდევრობით.

1.4. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში აღწერილობის პირველ დონეზე მოყავთ ავტორთა, რედაქტორთა, სხვა პირთა სახელები და ორგანიზაციის დასახელება, თუ მათ მიღებული აქვთ მონაწილეობა აღწერილობის ობიექტის ყველა ტომის მომზადებაში.

2. გამოცემის სფერო

ელემენტები გამოცემის სფეროში მიეთითება მე-13 თავში მოცემული წესების შესაბამისად. პირველი დონის აღწერილობაში მიეთითება აღწერილობის ყველა ობიექტისათვის მთლიანად ან უმრავლესი ტომისათვის საერთო ცნობები.

3. სპეციფიკურ ცნობათა სფერო

3.1. ორი ან მეტი ტომისაგან შემდგარი აღწერილობის ობიექტის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას, მოცემულ სფეროში აღწერილობის პირველ დონეზე მოყავთ სპეციფიკური ცნობები, საერთო აღწერილობის ობიექტისათვის მთლიანად. იმ შემთხვევაში, როცა აღწერილობის ობიექტი შედგება ჯგუფისაგან ან ცალკეული ტომებისაგან, განსხვავებული მასალის ტიპისა ან დოკუმენტის სახისაგან, სპეციფიკური ცნობები მიეთითება შესაბამის აღწერილობებში მეორე და მომდევნო დონეებზე.

4. საგამომცემლო ცნობების სფერო

4.1. გამოცემის, გავრცელების ადგილად თვლიან ქალაქს ან სხვა დასახელებულ პუნქტს, რომელიც მითითებულია გამომცემლის იურიდიულ მისამართში, ხოლო ამ ცნობათა არ არსებობის შემთხვევაში – მრავალნაწილიანი დოკუმენტის გამომშვები რედაქციის ადგილმდებარეობა.

4.1.1. თუ ყველა ტომი (გამომშვება, ნომერი) გამოქვეყნებული იყო ერთ ქალაქში და ერთი გამომცემლის და ა. შ. მიერ, მაშინ აღწერილობაში პირველ დონეზე მიუთითებენ გამოცემის ადგილს, გამომცემლის სახელს (დასახელებას) და ა. შ.

4.1.2. თუ აღწერილობის ობიექტის ტომების უმრავლესობა გამოდიოდა ერთ ქალაქში, ერთი გამომცემლის და ა. შ. მიერ, ხოლო ცალკეული ტომები მომზადებული იყო სხვადასხვა ქალაქებში (სხვა გამომცემელთა მიერ), მაშინ ცნობები უმრავლესი ტომის შესახებ მოყავთ აღწერილობის პირველ დონეზე, ხოლო ცვლილებები აღწერილობაში მეორე დონეზე.

4.1.3. მრავალნაწილიანი დოკუმენტის სრული კომპლექტის აღწერილობის შედგენისას მიეთითება პუბლიკაციის პირველი და ბოლო ტომების (გამომშვებების, ნომრების) თარიღები ერთმანეთთან დაკავშირებული ნიშნით – დეფისით, ან ერთი თარიღი, თუ ყველა ტომი გამოქვეყნებულია ერთი წლის განმავლობაში.

*ქართული მწერლობა : 30 ტომად / [შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე ;
სარედ. კოლ.: ა. ბაქრაძე და სხვ.] - თბ. : ნაკადული, 1987-2007; 20სმ.*

4.1.4. დაუსრულებელი მრავალნაწილიანი დოკუმენტის, რომელიც აგრძელებს გამოსვლას, აღწერილობის შედგენისას მიეთითება პირველი ან გამოშვების ადრეული წლები და შემდეგ დეფისი.

წერეთელი აკაკი.

*რჩეული ნაწარმოებები : 5 ტომად / შემდგ.: გურამ გვერდნითელი ; რედ.:
ემზარ კვიციანიშვილი]. - თბ. : საქართველო, 1988 - ; 21სმ.*

ტ. 4 : პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. - 1990. - 403გვ.

ჯავახიშვილი ივანე

*თხზულებანი : 12 ტომად / [მთ. სარედ. კოლ.: მ. ლორთქიფანიძე (მთ.
რედ.) და სხვ.]; საქ. მეცნ. აკად., თსუ. - თბ. : მეცნიერება : თბილ. უნ-ტის
გამ-ბა, 1979 - ; 21 სმ.*

*ტ. 4 : [საქართველოს ეკონომიური ისტორია / ... გამოსაც. მოამზადეს პ.
გუგუშვილიმა და ვ. ჩანტლაძემ]. - 1996. - 512გვ. - ISBN 5-511-00690-4.*

5. ფიზიკური დახასიათების სფერო

5.1. ცნობები სპეციფიკური აღნიშვნის შესახებ (ცნობები ფიზიკური ფორმის შესახებ), მოცულობის მითითებით, ცნობები ილუსტრაციების არსებობის შესახებ მიეთითება აღწერილობაში პირველ დონეზე, თუ ისინი წარმოადგენენ ერთნაირს ყველა ან უმრავლესი ტომისათვის.

ცნობები ფიზიკურ ერთეულთა რაოდენობის შესახებ ფიქსირდება აუცილებლობის შემთხვევაში დასრულებული მრავალნაწილიანი დოკუმენტების აღწერილობაში.

. - 4 ტ.

. - 3 ელექტრ. ოპტ. დისკი (CD-ROM)

5.2. ცნობები ზომების შესახებ მოყავთ აღწერილობის პირველ დონეზე თუ ის ერთნაირია ყველა ტომისათვის. ცნობები ზომების შეცვლის შესახებ ცალკეულ ტომებში აღნიშნავენ აღწერილობაში მეორე დონეზე

5.3. აღწერილობის ობიექტის თანმხლებ მასალებს განიხილავენ როგორც ტომთაგან ერთ-ერთს. მის შესახებ ცნობები მოყავთ აღწერილობაში მეორე დონეზე.

6. სერიების სფერო

6.1. სერიის სფეროში აღწერილობის პირველ დონეზე მიეთითება ზოგადი ცნობები მრავალნაწილიანი დოკუმენტების შესახებ, თუ აღწერილობის ობიექტის ყველა და უმეტესი ტომი (გამოშვება, ნომერი) შედის მრავალნაწილიანი დოკუმენტის შემადგენლობაში.

. - (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა; ტ. 63. სერია 1)

6.2. სერიის გამო შვების ნომერს მიუთითებენ აღწერილობაში პირველ დონეზე, თუ ის წარმოადგენს საერთოს მთლიანად აღწერილობის ობიექტისათვის. თუ აღწერილობის ობიექტის თითოეული ტომი წარმოადგენს სერიის ან ქვესერიის დამოუკიდებელ გამოშვებას, მაშინ ნომერი მიეთითება აღწერილობაში მეორე დონეზე. ნომრის ნაცვლად აღწერილობაში პირველ დონეზე დაისმება მრავალწერტილი.

. - (ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბ-კა ...)

7. შენიშვნების სფერო

7.1. შენიშვნების სფეროში აღწერილობის პირველ დონეზე მიეთითება ცნობები, რომლებიც დაკავშირებულია აღწერილობის მთლიან ობიექტთან ან უმრავლეს

ტომთან .

7.2. შენიშვნების სფეროში აღინიშნება ცნობები მრავალნაწილიანი დოკუმენტის ისტორიის შესახებ: ცნობები, დაკავშირებული აღწერილობის ელემენტებთან და სფეროებთან; ცნობები მრავალნაწილიანი დოკუმენტის სტრუქტურისა და სხვა განსაკუთრებულობის შესახებ, რომელიც სხვა სფეროში არ არის ასახული.

7.3. ცნობები შენიშვნების სფეროში მიეთითება გარკვეული თანმიმდევრობით. სერიალური გამოცემისათვის თავდაპირველად მიეთითება ცნობები პერიოდულობის შესახებ, თუ ისინი არ შედის ცნობათა შემადგენლობაში და დაკავშირებულია სათაურთან. ელექტრონული რესურსებისათვის პირველად მიეთითება შენიშვნები სისტემური მოთხოვნების ან მისაწვდომობის რეჟიმის შესახებ.

შემდეგ განათავსებენ შენიშვნებს სფეროებთან და ელემენტებთან აღწერილობაში თანმიმდევრობის შესაბამისად, შემდეგ – შენიშვნა ტექსტის ენის, ტექსტის ნაწილის შესახებ; დოკუმენტის სხვა ენებზე არსებობის შესახებ; ბიბლიოგრაფიული სიების არსებობის შესახებ; ფიზიკური სტრუქტურის, პოლიგრაფიული თავისებურების შესახებ.

8. სტანდარტული ნომრის (ან მისი ალტერნატივების) და მისაწვდომობის პირობების სფერო

8.1. სტანდარტული ნომრის და (მისი ალტერნატივის) და მისაწვდომობის პირობების სფეროში აღწერილობაში პირველ დონეზე მოყავთ წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) და საერთაშორისო სტანდარტული ნომერი სერიალური გამოცემისა (ISSN), ან სხვა საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, თუ ის მითითებულია დოკუმენტში, ან მისი ალტერნატივა (მაგალითად, ელექტრონული რესურსების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი), ან სხვა სტანდარტული ნომერი, რომელიც მინიჭებულია დადგენილი წესებით გარკვეული სახის დოკუმენტზე, ასევე ცნობები მისაწვდომობის პირობების შესახებ, თუ ის წარმოადგენს საერთოს ყველა ტომისათვის.

8.2. ტომის (გამოშვების, ნომრის) სტანდარტული ნომერი და ცნობები პასუხისმგებლობის და ტირაჟის შესახებ, თუ ისინი განსხვავდებიან საერთოსაგან, აღინიშნება აღწერილობაში მეორე დონეზე.

8.3. ISBN, ISSN, სხვა საერთაშორისო სტანდარტული ნომერი ან მისი ალტერნატივა აღინიშნება მრავალნაწილიან დოკუმენტებზე მითითებული ფორმით.

. - ISSN 0201-2930.

8.4. სფეროს ელემენტთა განმარტებისათვის შეიძლება მოყვანილ იქნეს მრგვალ ფრჩხილებში დამატებითი ცნობები (ცნობები დაყდავების შესახებ, სტანდარტული ნომრის დაზუსტება და ა. შ.).

თავი 22. ელემენტთა მითითების თავისებურებანი აღწერილობის მეორე დონეზე

1. სფეროს პირველ ელემენტს წარმოადგენს ტომის (გამოშვების, ნომრის) რიგითი ნომერი. ტომის აღნიშვნის არსებობისას, თვეთა დასახელება და ა.შ. მოყავთ, როგორც წესი, შემოკლებული ფორმით (მაგ. : "ტ." , "გამომ." , "თვე") რიგით ნომერს მიუთითებენ არაბული ციფრებით ან ასოებით (თუ ინფორმაციის წყაროშია მითითებული და კატალოგიზატორს არ ძალუძს გაშიფროს არაბული ციფრებით).

ინფორმაციის წყაროში:

ტომი 6
წიგნი მეხუთე
ფურცელი 15
კრებული III
volume 4

აღწერილობაში:

ტ. 6
წ. 5
ფ. 15
კრებ. 3
Vol. 4

1.1. თუ აღწერილობის ობიექტში არ არსებობს ტომის აღნიშვნა, აღწერილობაში მიეთითება მხოლოდ რიგითი ნომერი. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა აღწერილობის ობიექტზე ადრე არსებობდა აღნიშვნა, ხოლო შემდეგ გამოტოვებულ იქნა, ან თუ ის მოყვანილია ინფორმაციის მთავარ წყაროში, ის შეიძლება მითითებული იყოს კვადრატულ ფრჩხილებში.

28

[გამომ.] 63

1.1.2. თუ ტომი (გამომშვება, ნომერი) იყოფა გამოშვებებად და ა.შ., არ წარმოადგენს ცალკეულ ფიზიკურ ერთეულს, ნუმერაცია აღინიშნება იმ თანმიმდევრობით, როგორც არის გამოცემაში და გამოყოფენ მძიმით.

ნაწ. 5, თავი 39

წ. 3, განყ. 8

ტ. 6, ნაწ. 1

1.1.3. თუ ერთ ტომში გაერთიანებული ორი ან მეტი გამოშვება და ა. შ. არ წარმოადგენს ცალკეულ ფიზიკურ ერთეულს, მაშინ მათი ნომრები, მიეთითება მიყოლებით, დეფისის შემდეგ. გამოტოვებულ ცალკეულ ტომებს აღნიშნავენ მძიმით.

ინფორმაციის წყაროში:

აღწერილობაში:

კრებული 7

კრებ. 7-8

კრებული 8

გამომშვება 15,16,17,19

გამომ. 15-17, 19

იმ შემთხვევებში, როდესაც თითოეულ გაერთიანებულ ტომს აქვს თავისი კერძო სათაური, ის ჩაიწერება შესაბამისი წესების დაცვით;

1.1.4. აღნიშვნებისა და რიგითი ნომრების არ არსებობის შემთხვევაში აღწერილობაში მეორე დონეზე, აღინიშნება გამოცემაში არსებული ასოითი და სხვა აღნიშვნები.

სექცია A

სექცია B

1.1.5. თუ ტომთაგან ერთში არ არის ნუმერაცია, მაშინ სფეროს დასაწყისში მიეთითება პირობითი ციფრული აღნიშვნა კვადრატულ ფრჩხილებში.

[13]

1.2. იმ შემთხვევაში თუ ტომს გააჩნია კერძო სათაური, ის მოყავთ ძირითად სათაურად ტომის ნომრისა და აღნიშვნის შემდეგ. ძირითად სათაურს წამძღვარებული აქვს ორი წერტილი.

1.2.1. თუ ტომი, რომელსაც გააჩნია კერძო სათაური, შეიცავს რაიმე ნაწარმოებს, მაშინ ნომრის წინ სვავენ მძიმეს, ხოლო მისი სათაურის წინ – წერტილს.

1.2.2. თუ აღწერილობის ობიექტის ცალკეული ობიექტი შეიცავს ორ ან მეტ ტომს და თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი კერძო სათაური, მაშინ მათი აღწერილობა შედგება საერთო სათაურის გარეშე, კრებულის აღწერილობის წესების გათვალისწინებით.

1.3. ტომთან (გამომშვებასთან, ნომერთან) დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები მიეთითება სათაურის შესახებ ყველა ცნობის ბოლოს, ხოლო სათაურის არ არსებობის შემთხვევაში –ტომის (გამომშვების) რიგითი ნომრის შემდეგ.

კოტეტიშვილი ვ.

რჩეული ნაწერები : 2 წიგნად / დ. გამეზარდაშვილის რედ. - თბ. : საბჭ. საქართველო, 1965.

საქართველო, 1965.

წ. 1 : ქართული ლიტერატურის ისტორია XIX ს. - 1965. - 639გვ.

2. გამოცემის სფერო

გამოცემის სფეროში აღწერილობებში მეორე დონეზე აღინიშნება ტომთან (გამომშვებასთან, ნომერთან) დაკავშირებული ცნობები.

3. სპეციფიკურ ცნობათა სფერო

მოცემული სფერო გამოიყენება აღწერილობაში მეორე დონეზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღწერილობის ობიექტი შედგება ცალკეული ტომისაგან.

4. საგამომცემლო ცნობების სფერო

ელემენტები საგამომცემლო ცნობების სფეროში აღწერილობების შედგენისას მეორე დონეზე მიეთითება მიღებული წესების შესაბამისად.

4.1. თარიღი არ მიეთითება აღწერილობის მეორე დონეზე, თუ ცნობილია, რომ ყველა ტომი გამოქვეყნებულია ერთი წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში წელს მიუთითებენ მხოლოდ აღწერილობის პირველ დონეზე.

4. ფიზიკურ დახასიათებათა სფერო

4.1. თუ პაგინაცია ან მოცულობის სხვა აღნიშვნა წარმოადგენს ტომის ზოგადი პაგინაციის ნაწილს ან აღწერილობის ობიექტის მოცულობის სხვა აღნიშვნას, მაშინ ჩანაწერში მეორე დონეზე მიეთითება ნომრები პირველი და ბოლო გვერდების (ფურცლების, სვეტები) ან მოცულობის სხვა აღნიშვნის, რომლებიც გაერთიანებულია ნიშნით - დეფისი.

ტ. 6. – გვ. 62 - 350.

4.2. ტომში ორმაგი ნუმერაციის (ორმაგი პაგინაცია) არსებობისას – აღწერილობის ობიექტის მთლიანად და მოცემული ტომის (გამომშვების, ნომრის) -ფიზიკური დახასიათების სფეროში მიეთითება ტომის მოცულობა, ხოლო აღწერილობის ობიექტის მოცულობა აღინიშნება შენიშვნების სფეროში.

4.3. ცნობები ტომის თანმხლები მასალების შესახებ აღინიშნება აღწერილობაში მეორე დონეზე საერთო წესების შესაბამისად, მოცულობისა და ილუსტრაციების შესახებ ცნობის შემდეგ და წამმღვარებული აქვს ნიშანი პლუსი.

ტ.1.- 1995.- 230 გვ. : ილ. + 1 ფ. რუკა

4.4. თუ თანმხლები მასალა გაფორმებულია როგორც დამოუკიდებელი ტომი, მაშინ ცნობები მის შესახებ მიეთითება აღწერილობაში მეორე დონეზე დასაწყისში ან ბოლოს წესების შესაბამისად.

5. სერიების სფერო

5.1. სერიის (ქვესერიის) გამოშვების ნომერი მიეთითება მეორე დონეზე, თუ აღწერილობის ობიექტის ყველა ტომი ერთი სერიის (ქვესერიის) გამოშვებას წარმოადგენს. ნომრის წინ დაისმება მრავალწერტილი და წერტილ-მძიმე.

ნაწ. 2: ევროპა.- 1976.- 20 გვ.: ილ.- (... ; № 3)

6. შენიშვნების სფერო

შენიშვნების სფეროში აღწერილობის მეორე დონეზე მიეთითება ცნობები, რომლებიც არ არის ჩართული აღწერილობის პირველი დონის შენიშვნების სფეროში, მაგრამ აუცილებელია ცალკეულ ტომთა დახასიათებისათვის.

ნაწ. 2.- 1990.- 120 გვ.: ილ.- ავტ. შემდგ.: კ.კველიძე, ალ. ბარამიძე, ნ. გოლეთიანი, დ. გამყრელიძე, ტ.ასათიანი, ს.ბერძენიშვილი

7. სტანდარტული ნომრის (ან მისი ალტერნატივის) და მისაწვდომობის პირობების სფერო

სტანდარტული ნომრის სფეროში, აღწერილობის მეორე დონეზე, აღინიშნება ტომის (გამოშვების) საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) ან სხვა საერთაშორისო ნომერი და ცნობები მისი მისაწვდომობის პირობების შესახებ.

წ. 2.– 2005.– 300 გვ.: ილ.– ISBN 5–505–003–06–0

თავი 23. მრავალდონიანი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის განსაკუთრებული შემთხვევები

1. ელექტრონულ კატალოგში სათაური და სხვა ცნობები, საერთო ტომების ჯგუფებისათვის, მიეთითება შენიშვნების სფეროში აღწერილობის პირველ დონეზე.

1.1. მრავალდონიანი აღწერილობის პირველი დონე შეიცავს ინფორმაციას თითოეული დანაყოფის, განყოფილებების, თითოეული ქვესერიის შესახებ და სხვ.

1.2. მრავალდონიანი აღწერილობის მეორე დონე შეიცავს ინფორმაციას თითოეული დანაყოფის, განყოფილების, თითოეული ქვესერიის და ა. შ. შესახებ; მეორე დონე იმდენია, რამდენიც დანაყოფი, განყოფილება, ქვესერია და ა. შ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 4 . ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სათაურის ფორმირების წესები

1. ძირითადი დებულებები

1.1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სათაური – არის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტი, ერთგვარად ფორმირებული ცნობების შემცველი და განკუთვნილია ბიბლიოგრაფიული ძიებისათვის.

1.1.1. სათაური შეიძლება შეიცავდეს პირის სახელს ან ორგანიზაციის დასახელებას, უნიფიცირებულ სათაურს, რომელიც აღნიშნავს დოკუმენტის სახეს, გეოგრაფიულ დასახელებას და ა. შ. ეს ცნობები თავის მხრივ წარმოადგენს სათაურის ძირითად ნაწილს, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დამატებულ იქნეს დამაზუსტებელი ცნობებით – მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით.

1.1.2. მაიდენტიფიცირებელ ნიშნად სათაურში შეიძლება მოყვანილ იქნეს: თარიღები, სპეციალობა, ტიტული, ადგილის დასახელება და სხვ.

1.2. ჩანაწერის სათაური გამოიყენება, სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში, ბიბლიოთეკების ტრადიციული და ისე ელექტრონული ფორმის კატალოგებში.

1.3. სათაურში ცნობათა მოყვანის სისრულეს განსაზღვრავს დაწესებულება, სადაც დგება ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი.

1.4. სათაური შეიძლება ასრულებდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი მისაწვდომობის წერტილების ფუნქციებს გარკვეულ საინფორმაციო მასივში.

1.5. ტრადიციული და მანქანური კატალოგიზაციის – ჩანაწერებში, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებში, სიებში, კომპიუტერის მონიტორის ეკრანზე და ა. შ., სათაური მიეთითება ბიბლიოგრაფიულის წინ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის მოწესრიგებისათვის და გაერთიანებისათვის.

1.6. სათაურში მოთავსებული ცნობებისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს მთლიანად დოკუმენტი და დოკუმენტის თანმხლები მასალები. ცნობები ასევე შეიძლება აღებული იქნას სხვა დოკუმენტებიდან (სხვადასხვა საცნობარო გამოცემებიდან, ავტორიტეტული ფაილებიდან, მეტამონაცემებიდან, web-სერვერებზე მოთავსებული ცნობები და ა. შ.).

1.7. სათაურის შედგენისას გამოიყენება პუნქტუაციის შემდეგი ნიშნები:

- . წერტილი
- , მძიმე
- / დახრილი ხაზი

() მრგვალი ფრჩხილები

; წერტილ-მძიმე

1.8. სათაურის ბოლოს იწერება წერტილი.

1.9. სათაურის ენა ემთხვევა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ენას, შეუძლებელია განსხვავდებოდეს მისგან.

1.9.1. ერთ ანბანურ რიგში ერთი და იგივე სათაური მიეთითება ერთ ენაზე და ერთი გრაფიკით. ერთ ანბანურ რიგში სხვადასხვა გრაფიკით გამოსახული ჩანაწერების გაერთიანების მიზნით სათაური შეიძლება მოყვანილ იქნეს ტრანსლიტერაციით, ტრანსკრიპციით. ტრანსლიტერაცია წარმოებს საერთაშორისო ან შესაბამისი ენების ტრანსლიტერაციის ნაციონალური სტანდარტების შესაბამისად.

1.9.2. ერთი ენიდან მეორეზე გადათარგმნილ დოკუმენტთა ჩანაწერებში, ბიბლიოგრაფიული დაწესებულების ამოცანების მიხედვით სათაური შეიძლება მოცემული იყოს: ენაზე, რომელსაც უმეტესად იყენებს ავტორი; ქვეყნის ენაზე, რომელსაც მიეკუთვნება ორგანიზაცია; ქვეყნის ენაზე, სადაც შექმნილი იქნა ნაწარმოები.

1.9.3. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები აღინიშნება სათაურის ენაზე. ისინი შეიძლება მითითებულ იქნეს ბიბლიოგრაფიის დაწესებულების ენაზე ან ლათინურ ენაზე.

1.10. ცნობები სათაურის შესახებ აღინიშნება სახელობით ბრუნვაში. თუ ცნობები ინფორმაციის წყაროს სათაურში მოყვანილია გრამატიკულად დაკავშირებული აღწერილობის სხვა ელემენტებთან, მათ გამოყოფენ და აღინიშნება სათაურში სახელობით ბრუნვაში.

1.10.1. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები მიეთითება სათაურის ძირითადი ნაწილის შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში. თუ მაიდენტიფიცირებელი ნიშნები რამოდენიმეა, მათ ერთმანეთისაგან განაცალკევებენ წერტილ-მძიმით.

1.10.2. ძირითად ნაწილში რიგითი ნომრები და რიცხვითი სახელები მიეთითება მოცემული განყოფილების შესაბამის პუნქტებში გადმოცემული წესების შესაბამისად. რიგითი ნომრებისა და რიცხვითი სახელების მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში არაბული ციფრები მიეთითება დაბოლოებების გარეშე.

1.11. ცნობების, სათაურისათვის მიუღებელი ფორმით (ვარიანტები პირთა სახელების, ორგანიზაციათა დასახელებების, ანონიმური კლასიკური ნაწარმოებთა დასახელებების სათაურთა, წმინდა წერილთა ტექსტების, ლიტურგიკული წიგნების, გეოგრაფიული დასახელებების და ა. შ.) ინფორმაციულ მასივში საჭიროა დაკავშირებულ იქნეს ერთმანეთთან მითითებითი სათაურების და საცნობარო ჩანაწერების საშუალებით.

2. თავსათაურის სახეები

2.1. თავსათაურში ჩართულ ცნობათა ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაურის შემდეგ სახეებს:

თავსათაური შეიცავს პირის სახელს;

თავსათაური შეიცავს ორგანიზაციის დასახელებას;

თავსათაური შეიცავს უნიფიცირებულ სათაურს;

თავსათაური შეიცავს დოკუმენტის სახის აღნიშვნას;

თავსათაური შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას.

2.2. აუცილებლობის შემთხვევაში ბიბლიოგრაფირების დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს თავსათაური, რომელიც შეიცავს სხვა ცნობებს, როგორც ავტორის სახელს, ასევე საგნობრივ რუბრიკას, საკლასიფიკაციო ინდექსს და ა.შ.

თავი 24. პირის სახელის შემცველი თავსათაურის ფორმა და სტრუქტურა

1. თუ თავსათაური შეიცავს პირის სახელს, ე.ი. მას აკისრია ინტელექტუალური, ან სხვა სახის პასუხისმგებლობა; თავსათაურში ასევე არის ცნობები მოცემული პირის შესახებ.

2. თავსათაურში მოყავთ პირის სახელი, რომელმაც შექმნა ინტელექტუალური ან მხატვრული ნაწარმოები: ტექსტების, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების, ელექტრონული პროგრამების და ა. შ. ავტორები. სათაურში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნებისმიერი პირის სახელი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ნაწარმოების ინტერპრეტაციაში ან დოკუმენტის შექმნაში: დირიჟორი, შემსრულებლები, რეჟისორები და ა.შ.; შემდგენლები, შემგროვებლები; ავტორები ჩანაწერის, დამუშავების, გადამამუშავების, კომენტარების, წინასიტყვაობების, შესავალი სტატიების, ბოლოსიტყვაობების და ა.შ.; რედაქტორები; მთარგმნელები; მხატვრები; ოპერატორები, მსახიობები, ხმის რეჟისორები და ა.შ.; ნებისმიერი სახელი, რომელზედაც საუბარია დოკუმენტში ("პერსონალია").

3. სათაურში მიეთითება ერთი პირის სახელი, რომლებიც დოკუმენტის შექმნაში მონაწილე პირთა რაოდენობის მიუხედავად, ინფორმაციის წყაროშია მითითებული. რამდენიმე პირის სახელის შესახებ ცნობების არსებობისას უპირატესობას ანიჭებენ პირის სახელს, რომელიც მითითებულია პირველი, ან გამოყოფილია რაიმე საშუალებით.

4. პირის სახელის შემცველი სათაური შეიძლება შედგეს მხოლოდ პირის სახელისაგან ან პირის სახელისა და მაიდენტიფიცირებელი ნიშნისაგან, რომელიც საშუალებას იძლევა მოცემული პირი განვასხვავოთ სხვებისაგან.

5. სათაურში პირის სახელის ნაცვლად შეიძლება მითითებული იყოს: გვარი, გვარი ინიციალებით, ფსევდონიმი, საკუთარი სახელი და (ან) ზედმეტი სახელი გვარის ნაცვლად.

5.1. პირთა გვარები შეიძლება იყოს მარტივი, შედგენილი, ყალბი შედგენილი, წინდებულებით, თავსართით, არტიკლებით და ა.შ.

მარტივი გვარები შედგება ერთი სიტყვისაგან: ჯავახიშვილი, ივანიძე, ბაქრაძე.

შედგენილი გვარები შედგება ორი და მეტი სიტყვისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია დეფისით, ნაწილებით ან მის გარეშე: ბაგრატიონ-გრუზინსკი, ალექსი-მესხიშვილი და სხვ.

5.1.1. ყალბი შედგენილი გვარები

ყალბ შედგენილ გვარებში დეფისით ერთიანდება ორი პირის გვარი: *ჭავჭავაძე-დადიანისა*, *ანჯაფარიძე-ერისთავისა*, *ერისთავი-ხოშტარია* და სხვ.

5.1.2. გვარები წინდებულებით, არტიკლებით, თავსართითა და ა.შ.

თავსართები, წინდებულები, არტიკლები წინდებულებით, ნაწილები მოყავთ გვარების წინ ან გვარებისა და საკუთარი სახელების შემდეგ ენის განსაკუთრებულობის შესაბამისად: *ლაბრუერი*, *ჟან დე*, *დე კუინსი*, *ტომას ლა გუმბ*, *ალექს*.

5.2. ფსევდონიმები შეიძლება იყოს:

გამოგონილი გვარი, გამოგონილი გვარი და ნამდვილი საკუთარი სახელი, გამოგონილი გვარი და საკუთარი სახელი, მაგ.: უიარალო (თეიმურაზ თათარიშვილი), შიო მღვიმელი (შიო ქუჩუკაშვილი), დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია); ორმაგი გვარი, რომლის ერთი ნაწილი წარმოადგენს ფსევდონიმს, ხოლო მეორე- ნამდვილ გვარს, საზოგადო სახელს.

კრიპტონიმი.

ერთ ფსევდონიმში შეიძლება გაერთიანებული იყოს რამდენიმე პირი (კოლექტიური ფსევდონიმი). მაგ.: Кукриниксы

5.3. საკუთარი სახელი ან ზედმეტი სახელი გვარის სახით აღინიშნება თავსათაურში პირთათვის, რომელთაც არ გააჩნიათ გვარები, ან ცნობილნი გახდნენ საკუთარი სახელებით, ზედმეტი სახელით ან მათი შერწყმით. მაგ.: *ჰომეროსი, ლეონარდო და ვინჩი, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, ბესიკი და სხვ.*

თავი 25. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები

1. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები გამოიყენება, იმ შემთხვევებში როცა აუცილებელია განსხვავდებოდეს პირთა ერთნაირი სახელების შემცველი სათაურები.

2. პირის სახელის შემცველ თავსათაურში მაიდენტიფიცირებელ ნიშნად მოიყვანება პირის ცხოვრების თარიღები, სიტყვები "მამა", "ვაჟი", „შვილიშვილი“, "დედა", "ქალიშვილი", "უფროსი", "უმცროსი", ტიტული, გვარები და ა.შ.

გამსახურდია კონსტანტინე (შვილიშვილი)

დიუმა ალექსანდრე (მამა)

3. თავსათაურში შეიძლება მითითებული იქნეს ერთი ან რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნები. მათი აღნიშვნის თანმიმდევრობა განსხვავებულია სხვადასხვა კატეგორიის პირისათვის. ასევე მიეთითება ცხოვრების თარიღები უკანასკნელ ნიშნად.

4. პირთა ცხოვრების თარიღები მოიყვანება არაბული ციფრებით, გამოიყოფა ნიშნით – დეფისი. თუ თარიღებიდან ერთ-ერთი არ არის მითითებული, მის ნაცვლად (დეფისამდე ან მის შემდეგ) ტოვებენ ინტერვალს.

თუ ცხოვრების ზუსტი თარიღების დადგენა შეუძლებელია, თარიღები შეიძლება მითითებულ იქნეს მიახლოებით სიტყვის "დაახლოებით" თანხლებით, ან შეიცვალოს საუკუნის მითითებით.

ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი (1871-1933) ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქ. სახალხო არტისტი (1925),

5. მაიდენტიფიცირებელ ნიშნად შეიძლება მოყვანილ იქნეს ცნობები სპეციალობის შესახებ, საპატიო ან სამხედრო წოდების, პირის თანამდებობის ან სამუშაო ადგილის შესახებ, მისი დაქვემდებარება ამა თუ იმ საზოგადოებრივი (პოლიტიკური) ორგანიზაციის შესახებ, საპატიო ან საგვარეულო წოდების და ა. შ. შესახებ ცნობები, რომლებიც მითითებულია პირის სახელთან ერთად მის ნაწარმოებებში ან ავტორიტეტულ საცნობარო წყაროებში.

თავი 26. პირის სახელის შემცველი თავსათაურის ენა

1. თავსათაურში პირის სახელი აღინიშნება ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ენაზე. დაშვებულია მიეთითოს პირის სახელი ტრანსლიტერაციით, იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე ტრანსკრიფციით, რომელშიც იმყოფება ბიბლიოგრაფიული დაწესებულება.

იმ შემთხვევაში, როცა თარგმანებში მითითებული ავტორის სახელი ტრანსკრიფცირდება სხვადასხვაგვარად, სათაურისათვის შეირჩევა ერთიანი, ნორმალიზებული ფორმა.

2. თუ ნაწარმოებებში პირის სახელი, რომელიც იყენებს ერთ ენაზე მეტს, წარმოდგენილია სხვადასხვა ენობრივი ფორმით, თავსათაურისათვის იყენებენ ფორმას ავტორის უმეტესი ნაწარმოების ენის შესაბამისად. განსაკუთრებულ შემთხვევაში არჩევენ სახელის მეტად ცნობილ ფორმას, რომელიც მითითებულია

3. სიტყვა "მამა", "დედა", "ვაჟიშვილი", "ქალიშვილი", "უმცროსი", წოდება და სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნები შეიძლება მოყვანილი იქნეს თავსათაურის ენაზე, ბიბლიოგრაფირების დაწესებულების ენაზე, ან ლათინურ ენაზე.

თავი 27. თავსათაურისათვის პირის სახელის ფორმის შერჩევა

1. პირის სახელი, რომელიც მოყვანილია სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა ფორმით, თავსათაურში მოიყვანება იმ ფორმით, რომლითაც მოცემულმა პირმა მოიპოვა მეტი პოპულარობა და რომელიც მითითებულია ავტორიტეტულ საცნობარო წყაროებში ან რომლითაც გამოქვეყნებულია მისი უმეტესი ნაწარმოები თუ ამის დადგენა შეუძლებელია, აღინიშნება პირის სახელის ფორმა, რომელიც მითითებულია დოკუმენტში.

2. თუ პირის სახელის ფორმების სხვადასხვაობა დაკავშირებულია დოკუმენტში დაშვებულ შეცდომებთან, თავსათაურში მიეთითება სწორი ფორმა. დოკუმენტზე აღნიშნული ცნობები პირის სახელის მცდარი ფორმის შესახებ ფიქსირდება შენიშვნების სფეროში.

3. თუ პირმა შეიცვალა გვარი და (ან) საკუთარი სახელი, თავსათაურში აღინიშნება მისი ახალი გვარი და (ან) საკუთარი სახელი, გამონაკლისის გარდა როცა მოცემული პირი ფართოდ გავრცელებულია ძველი გვარითა და (ან) საკუთარი სახელით.

4. თუ პირმა ნაწარმოების პუბლიკაციის დროს გამოიყენა ფსევდონიმი, თავსათაურში მიეთითება დოკუმენტში მითითებული ფორმით.

თუ პირმა მოიპოვა აღიარება ან გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები მხოლოდ ფსევდონიმით, თავსათაურში ფიქსირდება მისი ფსევდონიმი, და არა ნამდვილი სახელი, თუნდაც მისი დადგენა მოხერხდეს.

4.1. იმ შემთხვევაში, თუ ფსევდონიმი წარმოადგენს საზოგადო სახელს, თავსათაურში მიეთითება საკუთარი სახელი (ნამდვილი), თუ მისი დადგენა შეძლეს.

4.2. თუ პირი სარგებლობს რამდენიმე ფსევდონიმით და არ გამოქვეყნებულა საკუთარი (ნამდვილი) სახელით, ქვესათაურისათვის შეირჩევა მეტად ცნობილი ფსევდონიმი.

4.3. თუ პირი თავის ნაწარმოებს აქვეყნებდა საკუთარი სახელით და რამდენიმე ფსევდონიმით, მაგრამ ცნობილია ერთ-ერთი ფსევდონიმით, თავსათაურში მიეთითება ეს ფსევდონიმი.

4.4. თუ პირი აქვეყნებდა თავის ნაწარმოებს საკუთარი სახელით და ერთი ან რამდენიმე ფსევდონიმით, მაგრამ უმეტესად ცნობილია საკუთარი სახელით, თავსათაურში მიეთითება პირის საკუთარი სახელი.

4.5. თუ ერთი და იგივე ფსევდონიმს იყენებს რამდენიმე პირი, თავსათაურში მიეთითება მათი საკუთარი სახელები (ან სახელის ის ფორმა, რომლითაც პირი არის ცნობილი).

4.6. თუ დოკუმენტში პირის სახელის ნაცვლად მოყვანილია კრიპტონიმები და (ან) სხვა შემოკლებული აღნიშვნები – ინიციალები, ასოთა შეთანხმება, ვარსკვლავები და ა.შ. – თავსათაურში მიეთითება პირის ნამდვილი სახელი, თუ მისი დადგენა მოხერხდება.

თავი 28. თავსათაურში პირის სახელის მითითების წესები

1. პირის სახელი მიეთითება სახელობით ბრუნვაში.

2. პირის გვარი მიეთითება თავსათაურის დასაწყისში და გამოიყოფა სახელისაგან (სახელებისაგან), სრული სახელისაგან და მამის სახელისაგან, ინიციალებისაგან მძიმით.

პუშკინი, ა.ს.

ჭავჭავაძე, ი.

ცვაიგი, შტეფან.

დასაშვებია მძიმე არ მიეთითოს:

პუშკინი ა.ს.

ჭავჭავაძე ი.

ცვაიგი შტეფან.

3. მარტივი გვარები, საკუთარი სახელები ან მეტსახელი გვარის მაგივრად იწერება თავსათაურში იმ სახით, როგორც მოცემულია დოკუმენტში.

4. შედგენილი, მათ შორის ორმაგი გვარები მიეთითება თავსათაურში სრულად და იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი მოცემულია დოკუმენტში.

ინფორმაციის წყაროში:

რომან გომეს დე ლა სერნა

თავსათაურში:

გომეს დე ლა სერნა, რომან

თუ პირი ცნობილი გახდა შედგენილი გვარის ერთი ნაწილით, თავსათაურში მიეთითება მხოლოდ ეს ნაწილი.

5. თუ ნაწარმოები შექმნილია ერთნაირი გვარის მქონე ორი ან სამი პირის მიერ და ეს გვარი ინფორმაციის წყაროში მითითებულია მრავლობით რიცხვში, თავსათაურში მიეთითება გვარი, საკუთარი სახელი (სახელები) და ერთი პირის მამის სახელი, რომელიც მითითებულია პირველად ან საკუთარ სახელთა ანბანის რიგის თანახმად, თუ პირის სახელის დადგენა შესაძლებელია.

თუ პირის სახელის დადგენა არ მოხერხდა, ცნობები თავსათაურში მიეთითება ისე, როგორც მოცემულია ინფორმაციის წყაროში.

6. თუ ინფორმაციის წყაროში მოყვანილია ყალბი შედგენილი გვარი, ორი პირის გვარისაგან შედგენილი, თავსათაურში მოიყვანება ერთი პირის გვარი, სახელი (სახელები) და მამის სახელი, რომელიც მითითებულია პირველად.

თუ ინფორმაციის წყაროში აღნიშნულია გვარი მრავლობით რიცხვში, და წარმოადგენს ოჯახის, დინასტიის გვარის, კლანის და ა. შ. საგვარეულო სახელს, ეს სახელი თავსათაურში მიეთითება შესაბამისი განმარტებით ("დინასტია", ან "ოჯახი") მაიდენტიფიცირებელი ნიშნით.

ბაგრატიონები (დინასტია)

რომანოვები (დინასტია)

ბურბონები (დინასტია)

8. თუ ფსევდონიმი არ შეიცავს საკუთარ სახელს, იგი თავსათაურში აღინიშნება იმ სახით, როგორც მითითებულია დოკუმენტში.

ვაჟა-ფშაველა

ელ გრეკო

თავი 29. თავსათაურში მმართველთა სახელების მოყვანის თავისებურებანი

1. მმართველთა სახელები (იმპერატორთა, მეფეთა, მმართველთა, ჰერცოგთა და ა.შ.) თავსათაურში მოიყვანება საკუთარი სახელის ფორმით.

1.1. მმართველთა ერთნაირი სახელები განირჩევა ერთმანეთისაგან რიგობითი რიცხვითი სახელებით, რომელიც თავსათაურში მიეთითება საკუთარი სახელის შემდეგ რომაული ციფრებით.

1.2. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში აღინიშნება ტიტული გეოგრაფიული ზედსართავი სახელით, რომელიც ჩამოყალიბებულია ქვეყნის ან სხვა ტერიტორიის

სახელისაგან, რომელზედაც ვრცელდება მმართველის ძალაუფლება; შეიძლება მოყვანილ იქნეს ცხოვრების თარიღები.

2. თავსათაურში მმართველთა სახელებს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმა:

- ა) მხოლოდ საკუთარი სახელი: თამარი (საქართველოს მეფე),
რუსუდანი (საქართველოს მეფე);
- ბ) საკუთარი სახელი რიგობითი რიცხვითი სახელის დამატებით:
დავით V (საქართველოს მეფე),
ლუდოვიკო XV (საფრანგეთის მეფე),
ელისაბედ II (ინგლისის დედოფალი),
ერეკლე II (საქართველოს მეფე);
- გ) საკუთარი სახელი და მამის სახელი ან მეორე საკუთარი სახელი
Алексей Михайлович (Царь рус.)

დ) საკუთარი სახელი და მეტსახელი:

- დავით აღმაშენებელი (საქართველოს მეფე)
- გიორგი ბრწყინვალე (საქართველოს მეფე)
- ვახტანგ შახნავაზი (ქართლ-კახეთის მეფე)
- ერეკლე ნაზარ-ალი ხანი (ქართლ-კახეთის მეფე)
- დავით ნარინი (საქართველოს მეფე)

ე) საკუთარი სახელი და გვარი:

- ბაგრატ ბაგრატიონი (საქართველოს მეფე)
- დავით ბაგრატიონი (საქართველოს მეფე)

ვ) საკუთარი სახელი რიგობითი რიცხვითი სახელით და მეორე სახელით, გვარით ან მეტსახელით:

- დავით IV აღმაშენებელი (საქართველოს მეფე)
- გიორგი V ბრწყინვალე (საქართველოს მეფე)

3. მმართველის რამდენიმე ფორმის სახელის არსებობისას თავსათაურისათვის შეარჩევენ საკუთარ სახელს რიცხვითი სახელით.

აშოტ I დიდი კურაპალატი

გიორგი II ავეიორგი

აშოტ I

გიორგი II

4. თუ რიცხვითი სახელი არ შედის მმართველის სახელის შემადგენლობაში, რამდენიმე სახელის ან მეტსახელის არსებობისას თავსათაურისათვის შეირჩევა ის, რომლითაც ხელისუფალი ცნობილია: *გიორგი ბრწყინვალე, დავით აღმაშენებელი*.

5. თუ ხელისუფალი ცხოვრების მანძილზე იცვლიდა ტიტულს, თავსათაურში მიეთითება უკანასკნელი.

6. საერთაშორისო და სათავადოების მმართველთა სახელები თავსათაურში მიეთითება საკუთარი სახელის ფორმით, რომლითაც მმართველი ცნობილია. საკუთარ სახელს შეიძლება შეუერთდეს ასევე მეტსახელი. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში ფიქსირდება ტიტული ("თავადი"), გეოგრაფიული ზედსართავი სახელი და ცხოვრების თარიღები.

7. უდიდეს თავადთა სახელები, რომლებიც განეკუთვნებიან სამეფო კარს, თავსათაურში აღინიშნება სახელისა და მამის სახელის ფორმით, ხოლო მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში მიეთითება ტიტული (უდიდესი თავადი) გეოგრაფიული ზედსართავის სახელითა და ცხოვრების თარიღებით.

თავი 30. თავსათაურში სასულიერო პირთა სახელების მოყვანის თავისებურებანი

1. სასულიერო პირთა სახელებს (პაპი, პატრიარქი, ეპისკოპოსი, მღვდელი და ა. შ.) ჩანაწერის თავსათაურში მიეთითება სასულიერო პირის საკუთარი სახელის

(აუცილებლობის შემთხვევაში რიცხვით სახელს), გვარის ან ზედმეტი სახელის ფორმით.

2. სასულიერო პირთა საკუთარ სახელთან რიცხვითი სახელი მიეთითება რომაული ციფრით.

3. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში შეიძლება მითითებულ იქნეს სასულიერო პირის საერო სახელი და ცხოვრების თარიღები, მისი სასულიერო წოდება, შეიძლება მოყვანილ იქნეს ასევე გეოგრაფიული ზედსართავი სახელიც, ღვთისმსახურებიდან წარმოქმნილი.

4. ფართოდ ცნობილი სასულიერო პირთა სახელები თავსათაურში აღინიშნება იმავე სახით, როგორც უმეტესადაა ცნობილი და დაკანონებული. მაგ.: ილია II , ეფრემ მცირე და ა. შ.

5. სასულიერო პირის სახელის მითითების ფორმა დამოკიდებულია სასულიერო მსახურების კატეგორიაზე, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან.

5.1. ხელმისაწვდომობის დამატებითი წყაროს უზრუნველსაყოფად მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში საერთო სახელთან ერთად შეიძლება მითითებულ იქნეს ღვთისმსახურის წოდება (მსახურების ბოლო მომენტში).

5.2. საერო გვარის შესახებ ცნობების არ არსებობის შემთხვევაში თავსათაურში აღინიშნება ღვთისმსახურების ბოლო მომენტში არსებული წოდება და გეოგრაფიული ზედსართავი სახელი, რომელიც მიუთითებს ღვთისმსახურების ადგილზე.

6. თავსათურში, რომელიც მოიცავს თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლის სახელს, აღინიშნება გვარი, სახელი (სახელები), მამის სახელი საერთო წესების მიხედვით.

7. თავსათაურში რომის პაპის სახელი მიეთითება მისთვის მინიჭებული საეკლესიო სახელის ფორმით და რიცხვითი სახელით. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში აღინიშნება მისი სასულიერო წოდება და ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები.

იოანე პავლე II (პაპი; 1920 -)

რომის პაპის სახელთან, რომელიც აღიარებული არ არის კათოლიკური ეკლესიის მიერ, მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში მიეთითება სიტყვა "ანტიპაპი" და პაპის ტახტზე აღზევების თარიღი.

ფელიქ V (ანტიპაპი 1439-დან 1449-მდე)

8. პირის სახელის ან სასულიერო წოდების შესახებ თუ არ არის სხვა ცნობები სიტყვების "მამა", "დედა", "და", "მმა" გარდა, მიღებული სასულიერო პირებისადმი მიმართვის ფორმად, ეს სიტყვები შეიძლება მოყვანილ იქნეს მაიდენტიფიცირებელ ნიშნებად. შეძლებისდაგვარად მათ უმატებენ სასულიერო პირის ცხოვრების თარიღებს.

9. თავსათაურში შეიძლება მოყვანილ იქნეს სასულიერო პირის მხოლოდ საკუთარი სახელი (სასულიერო ან საერო), თუ სხვა ცნობები არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს წარმოადგენს ცხოვრების თარიღები.

თავი 31. თავსათაურში სხვადასხვა ხალხის პირთა სახელების მოყვანის თავისებურებანი

1. პირთა უმრავლესობა, რომლებიც წერენ რუსულ ენაზე, შედგება გვარისაგან, საკუთარი სახელისაგან და მამის სახელისაგან. ისინი მიეთითება თავსათაურში საერთო წესების მიხედვით.

Достоевский Федор Михайлович

2. ნაწილაკები პირთა გვარებში, რომლებიც წერენ რუსულ ენაზე (ვან, ვან დერ, დე, დე ლა, ფონ, ფონ დერ და ა. შ., თავსათაურში აღინიშნება გვარის წინ დოკუმენტში მოცემული ფორმითა და თანმიმდევრობით.

ვან-დერ-ვარდენი, ვ.ლ.

დე ლა ნარტი, ვ.გ.

3. პირთა სახელები, რომლებიც წერენ სლოვენური ჯგუფის ენებზე (უკრაინულ, ბელორუსულ), ზოგიერთი თურქული ჯგუფის ენებზე (ალტაურ, ვენურ, ხაკურ, ჩუვაშურ, იაკუტურ) უმეტესად ფინო-უგორულ ენებზე (ვოლგისპირა, ჩრდილო და სხვა ხალხების ენებზე), ასევე მოლდავურ და სომხურ ენებზე, შედგება გვარისაგან, სახელისაგან, მამის სახელისაგან და თავსათაურში აღინიშნება საერთო წესების შესაბამისად.

Тичина, Павло Григорович (უკრ. ენ.)

Полкин, Эркемен Матынович

5. პირთა სახელები, რომლებიც წერენ ქართულ, ბურიატულ ენებზე, დაღესტანის, ჩრდ. კავკასიის ხალხთა, ირანული ჯგუფის ენებზე, თურქული ჯგუფის ენათა უმრავლესობაზე (ალტაური, ტივენური, ხაკის, ჩუვაშურისა და იაკუტურის გარდა), ასევე ფინურ, კარელიის, კალმიცის ენებზე, შეიცავენ სახელს, მამის სახელს და გვარს. თავსათაურში მიეთითება საერთო წესების შესაბამისად.

გამსახურდია, კონსტანტინე (ქართ. ენაზე)

Марданов, Раиф (ტატ. ენ.)

Толомбаев, Хасан (ბაშკ. ენ.)

6. დოკუმენტში საკუთარი სახელის სხვადასხვა ფორმის არსებობისას (ეროვნული – მამის სახელის გარეშე და რუსული საკუთარი სახელითა და მამის სახელით), თავსათაურში აღინიშნება ეროვნული ფორმა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ნაწარმოებთა უმეტესობა გამოქვეყნებულია სახელის რუსული ფორმით.

6. თუ სახელის ფორმის დადგენა შეუძლებელია, რომლითაც პირი მეტადაა ცნობილი, თავსათაურში აღინიშნება სახელი, რომელიც მითითებულია ინფორმაციის წყაროში.

7. ზოგიერთ ხალხთა პირის სახელში არსებული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს გვარს (ნათესაობას) – "ოღლი" (ვაჟი) და "კიზი" (ქალიშვილი) – ჩანაწერის თავსათაურში შენარჩუნებულია. საინფორმაციო მასივისათვის, სადაც ინიციალების ნაცვლად გამოყენებულია სრული სახელები. დანარჩენ შემთხვევებში ისინი შეიძლება გამოიტოვოს.

გამოიტოვება ასევე სიტყვა "ხანუმ", გარდა შემთხვევებისა, როცა ის წარმოადგენს სახელის ნაწილს.

8. ნაწილი "ტერ" თავსათაურში ფიქსირდება გვარის წინ დოკუმენტში მოცემული ფორმით.

Тер-Петросиан, Тер-Кеворков და ა. შ.

ნაწილი "ზადე" (заде) თავსათაურში აღინიშნება გვარის შემდეგ დოკუმენტში მოცემული ფორმით: Расул – заде, Меликзаде, Гасанзаде და სხვ.

9. პრეფიქსები, არტიკლები.

10. არტიკლები პირთა გვარებში, რომლებსაც წერენ რომანულ ენებზე, თავსათაურში მიეთითება გვარისა და საკუთარი სახელის შემდეგ.

10.1. არტიკლები პირთა გვარებში, რომლებსაც წერენ გერმანულ ენაზე, თავსათაურში აღინიშნება გვარისა და საკუთარი სახელის შემდეგ.

10.2. მარტივი გვარი, რომელიც არტიკლთან შერწყმული არ არის, თავსათაურში ჩაიწერება გვარისა (ინიციალებით) და სახელების შემდეგ.

11. პირთა საკუთარი სახელი (სახელები), რომლითაც ნაწარმოები წარმოდგენილია უცხოურ ენაზე, თავსათაურში აღინიშნება საერთო წესების შესაბამისად. თუ პირის სახელები სხვადასხვა ნაწარმოებში ფიქსირებულია არაერთგვაროვანი რაოდენობით და სხვადასხვა თანმიმდევრობით, თავსათაურისთვის მიიღება ის საკუთარი სახელები და იმავე თანმიმდევრობით, რომლითაც პირი ცნობილია. თუ პირი ცნობილია უმეტესად არსებულ საკუთარ სახელთაგან ერთით, თავსათაურში გვარის შემდეგ აღინიშნება მხოლოდ საკუთარი სახელი.

ინფორმაციის წყაროში:
Bernard Show, George Bernard Show

თავსათაურში:
Show, B.

თავი 32. ორგანიზაციის დასახელების შემცველი თავსათაურის ფორმა და სტრუქტურა

1. თავსათაური, რომელიც შედგება ორგანიზაციის დასახელებისაგან – წარმოდგენილია გარკვეული წესებით და ატარებს ინტელექტუალურ ან სხვა პასუხისმგებლობას მისი სახელით გამოქვეყნებულ დოკუმენტზე.

1.1. ორგანიზაციის დასახელება – სახელმწიფო დაწესებულების დასახელებისათვის, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის, საწარმოებისათვის და ა. შ. განმაზოგადებელი ტერმინი.

1.2. თავსათაურში ორგანიზაციის დასახელებას შეიძლება ახლდეს მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, რომელიც საშუალებას იძლევა განსხვავებულ იქნეს მოცემული ორგანიზაცია სხვა ორგანიზაციისაგან.

1.3. თავსათაურში აღინიშნება ორგანიზაციის დასახელება, რომელსაც აქვს ინტელექტუალური პასუხისმგებლობა ნაწარმოებზე, ან ორგანიზაციის დასახელება, რომლის სახელითაც ეს ნაწარმოებია გამოქვეყნებული. თავსათაურში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ორგანიზაციის დასახელება, რომელიც ასრულებს ავტორის, შემდგენლის ფუნქციას; იდეის ავტორის, რედაქტორის, გამომცემლის; გამავრცელებლის, დამაარსებლის; დამფინანსებლის და ა. შ.; ორგანიზაციის დასახელება, რომლის შესახებაც საუბარია დოკუმენტში ("პერსონალია").

2. მუდმივმოქმედი ორგანიზაციებია:

– სახელისუფლო ორგანოები: პარლამენტი (მაგ. ფედერალური ყრილობა, ფედერაციის საბჭო, სახელმწიფო დუმა; სამხარეო, საოლქო, საქალაქო დუმა, შეკრება), კონგრესი და ა. შ.;

– ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები: მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი, სამინისტრო, კომიტეტები, კომისიები, სამმართველოები, დეპარტამენტები, მუნიციპალიტეტები, პრეფექტურები, საკრებულოები, ადმინისტრაციები და ა. შ.;

– სასამართლო ხელისუფლების ორგანოები: სასამართლოები (მაგ.: უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო), პროკურატურა, სანოტარო და ა. შ.;

– სახელმწიფოს ხელმძღვანელები, უმაღლესი თანამდებობის პირები;

– სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სამსახურების ხელმძღვანელები;

– საელჩოები, საკონსულოები და ა. შ.;

– პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ახალგაზრდული, ქალთა და სხვა ორგანიზაციები, ასოციაციები,

ლიგები; პროფესიული კავშირები; სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები და საზოგადოებები: სამეცნიერო, ტექნიკური, სავაჭრო, საგანმანათლებლო, სპორტული, საქველმოქმედო და ა. შ.

– დაწესებულებები და საწარმოები: საფინანსო-საკრედიტო (ბანკები, შემნახველი საღაროები და ა. შ.); სამეურნეო, სამრეწველო, სატრანსპორტო, სავაჭრო; კოოპერაციული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები; ფაბრიკები, ქარხნები, ფირმები, გაერთიანებები, ტრესტები, სინდიკატები, აქციონერული საზოგადოება, სამრეწველო და სავაჭრო პალატები, ბირჟები, სტამბები, გამომცემლობები. წიგნსავაჭრო საწარმოები და ა. შ.;

– სამეცნიერო ორგანიზაციები და სასწავლო დაწესებულებები (აკადემიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, არქივები, ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღები, კლინიკები, ობსერვატორიები, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საცდელი სადგურები, უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებები და ა.შ.);

– კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გალერეები, თეატრები, კულტურის სახლები, ტექნიკის სახლები);

– სამხედრო დაწესებულებები, სამხედრო ნაწილები;

– საერთაშორისო ორგანიზაციები: OOH და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციები (იუნესკო და სხვ.), ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები (ლიგები, საბჭოები, გაერთიანებები, კომისიები, კავშირები, საზოგადოებები);

– რელიგიური და სეკლესიო ორგანიზაციები და საზოგადოებები: ეკლესიები, ტაძრები, სასულიერო საზოგადოებები, რელიგიური ორდენები, მონასტრები, მისიები, საძმობი და ა.შ.

– პროექტები, პროგრამები, სისტემები, ქსელები.

4. დროებით ორგანიზაციებს, რომლებსაც არსებობის განსაზღვრული პერიოდი აქვთ, წარმოადგენენ კონგრესები, ყრილობები, თათბირები, კონფერენციები, სესიები, სიმპოზიუმები, სემინარები, ექსპედიციები, დელეგაციები, გამოფენები, ბაზრობები, ფესტივალები, სპარტაკიადები, ოლიმპიადები, კვირეულები, ტურნირები, კონკურსები, რაიმე ღონისძიებათა დღეები და ა.შ.

5. ორგანიზაციის დასახელების მომცველ თავსათაურად პირობითად მიიჩნევა ასევე თავსათაურები, რომლებიც მოიცავენ საკანონმდებლო და ზოგიერთ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს (კონსტიტუციას, კანონებს, ხელშეკრულებებს, სამხედრო წესდებებს და დარიგებებს).

6. ორგანიზაციის დასახელების მომცველ თავსათაურში, ტერმინი "იურისდიქცია" გამოიყენება ტერიტორიის აღსანიშნავად, რომელზედაც ვრცელდება ორგანიზაციის სახელისუფლო და სხვა უფლებამოსილება.

7. თავსათაურში მიეთითება ერთი ორგანიზაციის დასახელება, მიუხედავად იმისა, თუ დოკუმენტის შექმნაში მონაწილე რამდენი ორგანიზაციაა მითითებული ინფორმაციის წყაროში.

8.რამდენიმე ორგანიზაციის შესახებ ცნობების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ორგანიზაციას, რომლის დასახელება მოყვანილია დოკუმენტში პირველი ან გამოყოფილია რაიმე ფორმით.

9.თავსათაური, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის დასახელებას, სტრუქტურით შეიძლება იყოს მარტივი ან რთული.

10.მარტივი თავსათაური შედგება ერთი რგოლისაგან. ის შეიცავს ორგანიზაციის დასახელებას, სტრუქტურული დანაყოფებისა და მოთავე ორგანიზაციის დასახელების გარეშე.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

11.რთული თავსათაური შეიძლება შედგეს ორი და მეტი რგოლისაგან. ის შეიცავს ორგანიზაციის დასახელებას სტრუქტურული ქვედანაყოფებით ან შედგება სათაო და ქვემდებარე ორგანიზაციის დასახელებისაგან.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარული ფაკულტეტი.

12.თავსათაურში, რომელიც შეიცავს ორგანიზაციის დასახელებას, იყენებენ პუნქტუაციის შემდეგ ნიშნებს:

- წერტილს – ორგანიზაციის დასახელებაში რგოლების გამოსაყენებლად;
- მძიმეს – სიტყვების წინ, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის ტიპს

13.პუნქტუაციის ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად თავსათაურში გამოიყენება ჩვეულებრივი გრამატიკული ნიშნები, რომელიც მითითებულია ორგანიზაციის დასახელებაში.

თავი 33. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები

1. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ორგანიზაციის ერთნაირი დასახელების მომცველი თავსათაურების განსხვავება ერთმანეთისაგან.

2. ორგანიზაციის დასახელების მომცველ თავსათაურში, მაიდენტიფიცირებელ ნიშნად შეიძლება მოყვანილ იქნეს გეოგრაფიული დასახელება, თარიღი, ნომერი, სახელმწიფოს მეთაური სახელი (სახელმწიფოს სუბიექტის), ნომერი, ასევე ჩამოთვლილ ნიშანთა შეთანხმება.

2.1. გეოგრაფიული დასახელება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქვეყნის დასახელებით, რომელსაც მიეკუთვნება ორგანიზაცია, ქალაქის ან ნებისმიერი სხვა ადგილის დასახელებით, სადაც მდებარეობს ორგანიზაცია ან მიმდინარეობდა კონფერენცია, ყრილობა, თათბირი და ა. შ.

2.2. ადგილის დასახელება მოიყვანება სახელობით ბრუნვაში, სიტყვა "ქალაქი", "დასახლება", "სოფელი" და სხვ., რომლებიც აღნიშნავენ ქალაქის დონის ადმინისტრაციულ ერთეულს.

ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (თბილისი)

Институт проблем Региональной экономики (Санкт-Петербург)

2.3. ორი გეოგრაფიული დასახელება, რომლებიც აღნიშნავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დანაყოფის ერთ დონეს (მაგ. ორი ქალაქის), ერთმანეთისაგან გამოყოფა დახრილი ხაზით.

მეცხოველეობის განვითარება საქართველოში (მცხეთა / თიანეთი).

2.4. თუ სამი და მეტი გეოგრაფიული დასახელებაა, მაიდენტიფიცირებელ ნიშნებად მიეთითება მხოლოდ პირველი სიტყვა, ემატება "და სხვ." ან " ect." (იმ ენათათვის, რომლებითაც სარგებლობენ ლათინები) ან მათი ეკვივალენტით სხვა ენებზე.

2.5. გეოგრაფიულ დასახელებას იყენებენ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში. თავსათაურში არ მიეთითება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს.

საქართველო. პარლამენტი.

თბილისი. საკრებულო.

ბ) თუ გეოგრაფიული დასახელება, რომელიც შედის ორგანიზაციის დასახელების შემადგენლობაში (მათ შორის შემოკლებული ფორმით), ემთხვევა იმ ადგილის დასახელებას, რომელშიც ის მდებარეობს ან დროებითი ორგანიზაციის ჩატარების ადგილს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ბათუმის დრამატიული თეატრი

ორგანიზაციის ადგილმდებარეობა მიეთითება, თუ ორგანიზაციის დასახელება არ შეიცავს ქალაქის ან სხვა დასახელებული პუნქტის დასახელებას:

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)

გ) თუ ორგანიზაციას აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსი და მისი საქმიანობა ატარებს საერთო სახელმწიფო, საერთო რესპუბლიკურ ან საერთაშორისო ხასიათს, რაც ასახულია დასახელებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს სპორტის ფედერაცია

2.6. თარიღი (თარიღები) თავის მხრივ წარმოადგენენ ორგანიზაციის დაარსების ან მუდმივად არსებობის წლებს, ან დროებითი ღონისძიებების ჩატარების წლებს: კონფერენციები, ყრილობები, სიმპოზიუმები და ა. შ.

3. ორგანიზაციის არსებობის აღმნიშვნელი ორი თარიღი გამოიყოფა დეფისით.

საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა (1924 – 2006)

3.1. დროებითი ორგანიზაციის ჩატარების თარიღი ყოველთვის მიეთითება, შემთხვევათა გარდა, როცა თარიღი შედის დროებითი ორგანიზაციის დასახელებაში როგორც განუყოფელი ნაწილი სრული ან შემოკლებული სახით.

თბილისის წიგნის ფესტივალი (4; 2002)

ან - თბილისის IV წიგნის ფესტივალი, 19-22 ივნისი: კატალოგი.-

თბ.: საქ. წიგნის გამომც. და გამავრც. ასოციაცია, 2002.

3.2. ერთი დასახელების ორი ან მეტი კონფერენცია, რომელიც შედგა ერთ ქალაქში და

ერთი და იმავე წელს, წელთან ერთად შეიძლება მითითებულ იქნეს ჩატარების თვე და რიცხვი.

3.3. ორგანიზაციის დასახელებაში ნომერი შეიძლება წარმოადგენილი იყოს ორგანიზაციის რიგობითი ნომრით, რომელიც ენიჭება ჩვეულებრივ ერთი ტიპის ან ერთი დასახელების ორგანიზაციებს ან დროებითი ორგანიზაციის რიგობითი ნომრით.

თბილისის საჯარო სკოლა (121)

თუ ორგანიზაციის რიგობითი ნომერი შედის მის დასახელებაში როგორც მისი განუყოფელი ნაწილი სრულად ან შემოკლებული სახით, თავსათაურის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში რიგობითი ნომერი არ მიეთითება.

3.4. სახელმწიფოს მეთაურის (სახელმწიფოს სუბიექტის) სახელი თავსათაურის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში აღინიშნება მონარქთა, პრეზიდენტთა და სხვა სახელმწიფოს მეთაურთა (სახელმწიფოს სუბიექტთა) სახელით გამოცემული.

საქართველო. პრეზიდენტი (2004 - ; მ. სააკაშვილი)

4. რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნების არსებობისას ისინი მოიყვანება შემდეგი თანმიმდევრობით: რიგითი ნომერი, თარიღი (თარიღები), გეოგრაფიული დასახელება.

წიგნის ფესტივალი (3; 2007; თბილისი)

5. თუ მაიდენტიფიცირებელი ნიშანი შედგება ორი (ან მეტი) კომპონენტისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ასრულებს დამაზუსტებელ ფუნქციებს (მაგალითად, დაბის და ოლქის დასახელება, ქალაქის და შტატის დასახელება, წელისა და თვის აღნიშვნა), მაშინ მეორე (და მომდევნოს) ამ მაიდენტიფიცირებელ ნიშანთა კომპონენტების წინ ისმება მძიმე.

ფილოსოფიის ინსტიტუტი (თბილისი). სამეცნიერო სესია (22; 1965)

XXII სამეცნიერო სესია, 1965 წლის 14, 15, 16 სექტემბერი : მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. - თბ. : მეცნიერება, 1965. - 20გვ.

თავი 34. თავსათაურის ენა, რომელიც ორგანიზაციის დასახელებას შეიცავს

1. ორგანიზაციის დასახელება თავსათაურში მიეთითება ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ენაზე.

2. თავსათაურში ორგანიზაციის დასახელება ასევე შეიძლება მოყვანი იქნეს:

- ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, რომელსაც ეკუთვნის ორგანიზაცია

- ენაზე, რომელიც ქვეყნის ოფიციალურ გამოცემებში ჭარბობს, რომელსაც მიეკუთვნება ორგანიზაცია;

- საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ საერთაშორისო ენაზე.

3. დასაშვებია თავსათაურში ცნობები მოყვანილ იქნეს სხვადასხვა ენაზე და (ან) სხვადასხვა გრაფიკით.

Gesellschaft fur Nephrologie (BRD). Joint scientific meeting (27; Berlin)

(პირველი რგოლი მოყვანილია გერმანულ ენაზე, მეორე ინგლისურ).

4. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები შეიძლება იყოს თავსათაურის ენაზე ან ბიბლიოგრაფიული დაწესებულების ენაზე.

5. ორგანიზაციის დასახელება, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, შეიძლება მოყვანილ იქნეს ეროვნულ ენაზე.

თავი 35. თავსათაურად ორგანიზაციის დასახელების ფორმის შერჩევა.

ორგანიზაციის დასახელება, დოკუმენტში ასახული და სხვა წყაროებში სხვადასხვა ფორმით ფიქსირებული, თავსათაურში აღინიშნება ოფიციალური ფორმით.

1. თუ ორგანიზაციის დასახელების ოფიციალური ფორმა დადგენილი არ არის, თავსათაურში აღინიშნება იმ ფორმით, რომელიც მითითებულია დოკუმენტში. თუ დოკუმენტში მითითებულია ორგანიზაციის რამდენიმე ფორმა, უპირატესობას ანიჭებენ ორგანიზაციის დასახელებას, რომელიც პირველია მითითებული, ან გამოყოფილია რაიმე ფორმით.

2. თუ ორგანიზაციამ განიცადა რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც შეიცვალა თავისი დასახელება, თავსათაურში აღინიშნება მისი უკანასკნელი დასახელება.

3. თუ ორგანიზაციას თავისი არსებობის პერიოდში სხვადასხვა დასახელება ჰქონდა, შეირჩევა ის, რომელიც მიღებულია მასალის პუბლიკაციის მომენტში.

3.1. თუ ცვლილება ეხება იურისდიქციის დასახელების შეცვლას, თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელება, რომელიც მიღებულია მასალის პუბლიკაციის მომენტში.

თავი 36. თავსათაურში ორგანიზაციის დასახელების მიითითების წესები

1. ორგანიზაციის დასახელება თავსათაურში აღინიშნება სახელობით ბრუნვაში ოფიციალური ფორმით.

2. ორგანიზაციის დასახელების ძირითადი ნაწილისათვის ცნობები თავსათაურში არ შეიძლება აღებულ იქნეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან ბიბლიოგრაფირების დაწესებულების მიერ.

3. ორგანიზაციის დასახელება წყაროში შეიძლება შეიცავდეს ცნობებს, რომლებიც თავსათაურში არ მიეთითება:

ა) ორდენტა დასახელება, რომლებითაც დაჯილდოებულია ორგანიზაცია; პირთა საპატიო , სამხედრო და სამეცნიერო წოდებები, რომელთა სახელიც მინიჭებული აქვთ ორგანიზაციას;

ბ) საზღვარგარეთული ორგანიზაციის დასახელებაში პირველი არტიკლი, თუ ის არ ეწინააღმდეგება ენის გრამატიკულ ნორმებს.

4. თავსათაურის ცნობების ჩაწერის ხერხები შეიძლება იყოს პირდაპირი და ინვერსირებული.

4.1. პირდაპირ თავსათაურში სიტყვათა თანმიმდევრობა ორგანიზაციის დასახელებაში ემთხვევა ინფორმაციის წყაროში არსებულ მონაცემებს. ინვერსირებულ თავსათაურში სიტყვათა თანმიმდევრობა განსხვავდება წყაროს მონაცემებისაგან: ცალკეული სიტყვები, რომლებიც შედის მის დასახელებაში, შეიძლება გადატანილ იქნას თავსათაურის დასაწყისში ან ბოლოში ან მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში; ორგანიზაციის დასახელებას შეიძლება დაემატოს დოკუმენტში არარსებული გეოგრაფიული გარემოება.

4.2. ორგანიზაციის დასახელებაში ინვერსიას აწარმოებენ შემდეგ შემთხვევებში:

4.3. ხელისუფლების ორგანოების დასახელება აღინიშნება თავსათაურში მეორე რგოლად იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

4.4. საკანონმდებლო დოკუმენტების (კონსტიტუციები, კანონები) სახეების დასახელებები, ასევე ხელშეკრულებებს, სამხედრო წესდებების უნიფიცირებული ფორმით, მიეთითება თავსათაურში მეორე რგოლად, იურისდიქციის დასახელების შემდეგ, რომელზედაც ვრცელდება ზემოდ დასახელებული დოკუმენტების უფლებამოსილება.

საქართველო. კონსტიტუცია (1995)

საქართველო. კანონები

4.5. თუ ორგანიზაციის დასახელება არ წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, იწყება სიტყვებით, რომლებიც აღნიშნავენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური განლაგების დონეს: "საქალაქო", "მუნიციპალური", "საოლქო", "სამხარეო", "რესპუბლიკური" და ა.შ., თავსათაურის დასაწყისში მიეთითება გეოგრაფიული გარემოება.

შიდა ქართლის სამხარეო-ადმინისტრაციული ცენტრი

ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

4.6. თუ ორგანიზაციის დასახელებას აქვს ინდივიდუალური დასახელება ბრჭყალებში ჩასმული, თავსათაურში ისინი მოიყვანება პირველ ადგილზე, შემდეგ მძიმე, რომელიც მიუთითებს ორგანიზაციის ტიპს, თუ ორგანიზაცია არ წარმოადგენს ზემდგომი ორგანიზაციის სტრუქტურულ დანაყოფს.

ინფორმაციის წყაროში:

საქ. ნებაყოფლობითი ფიზკ. – სპორტული საზოგადოება „მართვე“

თავსათაურში:

„მართვე“ ფიზკ. სპორტ. საზოგადოება

4.7. თუ ბრჭყალებში ჩასმულია ორგანიზაციისათვის მინიჭებული პირის სახელი, თავსათაურში ცნობები მიეთითება პირდაპირი თანმიმდევრობით.

ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი

4.8. თუ ორგანიზაციის დასახელებაში შედის რიცხვითი სახელი, რომელიც აღნიშნავს ორგანიზაციის რიგით ნომერს, ეს ნომერი მიეთითება მაიდენტიფიცირებელ ნიშნად.

ინფორმაციის წყაროში:

პროფესორ-მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენციის მასალები;

თავსათაურში: პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენცია (5; 1998)

4.9. რიგით ნომრებსა და რიცხვით სახელებს, რომლებიც ორგანიზაციის დასახელების შემადგენელი ნაწილია, მიეთითება იმ სახით, როგორც მოცემულია ინფორმაციის წყაროში.

5. სათაო ორგანიზაციის დასახელება ან მთლიანად ორგანიზაციის დასახელება აუცილებელია თავსათაურში მოყვანილ იქნეს პირველ რგოლად.

5.1. ქვესაუწყებო ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ორგანიზაციის დასახელება მეორე (და ბოლო) რგოლებში მიეთითება თანმიმდევრობით, გარკვეულ შემთხვევათა გარდა, როცა ეს დასახელება იწყება ან დასახელებაში ჩანს რიცხვითი სახელი, რომელიც აღნიშნავს მუდმივი ან დროებითი ორგანიზაციის ნომერს. ამ შემთხვევაში ნომერი აღინიშნება მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში.

ინფორმაციის წყაროში:

თავსათაურში:

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სტუდენტთა

თბილისის უნივერსიტეტის

მე-11 სამეცნიერო კონფერენცია

სამეცნიერო კონფერენცია (11; 2006)

6. თავსათაური, რომელიც შეიცავს დროებითი ორგანიზაციის დასახელებას, შეიძლება იყოს მარტივი ან რთული, პირდაპირი ან ინვერსიული თანმიმდევრობით. მიეთითება დროებითი ორგანიზაციის ღონისძიებების ჩატარების ნომერი, წელი და ადგილი, თუ ეს ცნობები მოყვანილია ინფორმაციის წყაროში.

ვილოსოფიის ინსტიტუტი (თბილისი). სამეცნიერო სესია (22; 1965)

6.1. დროებითი ორგანიზაციის ღონისძიების ჩატარების წელი და ადგილი არ მიეთითება მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში, თუ ისინი წარმოადგენენ ამ დროებითი ორგანიზაციის დასახელების შემადგენელ ნაწილს.

6.2. თუ დროებითი ორგანიზაციის თემატური დასახელება მოყვანილია სიტყვებით "თემაზე", "პრობლემაზე" და ა. შ., თავსათაურში ცნობები მოიყვანება თანმიმდევრობით.

ინფორმაციის წყაროში:

მასალები სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა თემაზე „ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ საქ.-ში“.

თავსათაურში:

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ საქ.-ში“ (2006; თბილისი)

6.3. ცნობები რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის, ორგანიზაციის ან პირის იუბილესადმი მიძღვნის შესახებ, რომელიც შედის დროებითი ორგანიზაციის დასახელებაში, თავსათაურში შენარჩუნდება იმ შემთხვევათა გარდა, როცა დროებით ორგანიზაციას აქვს რიგითი ნომერი ან მიძღვნასთან ერთად დასახელებაში შედის

მისი თემატიკაც. ამ შემთხვევაში თავსათაურში ცნობები მიძღვნის შესახებ მიეთითება.

ინფორმაციის წყაროში:

თბილისის სახ. უნ-ტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 160 წლისთავისადმი.

თავსათაურში:

თბილისის უნ-ტი. სამეც. კონფერენცია. მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი (1997).

6.4. თუ დროებითი ორგანიზაციის დასახელება ატარებს სტერეოტიპულ ხასიათს (კონგრესი, ყრილობა, თათბირი, კონფერენცია, სესია, სიმპოზიუმი, გამოფენა, დელეგაცია, ექსპედიცია, ბაზრობა, ფესტივალი, სპარტაკიდა, ოლიმპიადა, კვირეული, ტურნირი, კონკურსი და ა. შ.), შედგება რთული სათაური.

6.4.1. დროებითი ორგანიზაციის ჩატარების ადგილი არ მოიყვანება, თუ ის ემთხვევა სათაო ორგანიზაციის ადგილმდებარეობას.

თბილისის სახელმწიფო ეკონომიკის უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი. პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ-მკვლევართა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია 1999 წ. (2000).

მაგრამ:

საერთაშორისო სეისმოლოგთა საბჭო (თბილისი). გასვლითი სესია (1979; ავთხარა/მწვანე კონცხი)

თუ მუდმივმოქმედი ორგანიზაციის ადგილმდებარეობა დოკუმენტში მითითებული არ არის, დროებითი ორგანიზაციის დასახელების შემდეგ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში აღინიშნება ჩატარების ადგილი.

უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაცია. კონფერენცია (7;1980; თეირანი)

6.5. ერთი, ორი და მეტი მხატვრის პერსონალურ გამოფენათა დასახელება თავსათაურში მოიყვანება პირდაპირი ფორმით.

6.5.1. მხატვართა სახელები, რომლებიც შედის გამოფენის დასახელებაში, თავსათაურში მოიყვანება იმ თანმიმდევრობით, როგორც მოცემულია დოკუმენტში.

6.5.2. თუ დოკუმენტის დასახელება მოიცავს სამზე მეტი მხატვრის სახელებს, თავსათაურში დაშვებულია გამოიტოვოს მეოთხე და შემდეგი სახელები, და მათ ნაცვლად დაიწეროს სიტყვები ”და სხვ.”.

6.5.3. თავსათაურის ალტერნატიული ფორმა, რომელიც მოიცავს მხატვრის შემოქმედების პერსონალური გამოფენის დასახელებას. პირველ ადგილზე მიეთითება მხატვრის სახელი, წერტილი, შემდეგ სიტყვა ”გამოფენა” და მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომლებიც მოიცავს ცნობებს გამოფენის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ.

ინფორმაციის წყაროში:

ლ. გუდიაშვილის საიუბილეო (1991;

სამხატვრო გამოფენა: კატალოგი. თბილისი

თავსათაურში:

გუდიაშვილი, ლადო. გამოფენა

თბილისი).

თავი 37. თავსათაურში ორგანიზაციების დასახელებათა მითითების თავისებურებანი

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების დასახელებათა მომცველი თავსათაური სტრუქტურით არის რთული და შეიძლება ორი და მეტი რგოლისაგან შედგებოდეს.

პირველ რგოლად მიეთითება იურისდიქციის დასახელება, რომელზედაც ვრცელდება ხელისუფლების ორგანოს სახელისუფლო უფლებამოსილება. იურისდიქციის დასახელება შეიძლება მოიცავდეს ქვეყნის, ქალაქის ან სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის დასახელებას. იგი აღინიშნება ოფიციალურ ფორმაში, სიტყვათა შემოკლებათა გარეშე. მეორე და მომდევნო რგოლად აღინიშნება ხელისუფლების ორგანოს დასახელება.

2. საკანონმდებლო ხელისუფლება

2.1. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დასახელება თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

2.2. სამინისტროების, პარლამენტის, მთავრობის დასახელება თავსათაურში იწერება მეორე რგოლად იურისდიქციის დასახელების შემდეგ. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში, აუცილებლობის შემთხვევაში, მიეთითება წელი (წლები), მოწვევის თვე.

ინფორმაციის წყაროში:

საქართველოს პარლამენტის მეორე მოწვევის სხდომა

თავსათაურში:

საქართველო. პარლამენტი (1996-1999).

2.3. საერთო სახელმწიფო ან ქვემო დონის საერთო სახელმწიფო (რესპუბლიკა, შტატი, მიწა, პროვინცია, საგრაფო და ა. შ.) საკანონმდებლო ორგანოს სისტემაში შემავალი კომიტეტების, კომისიების, დეპარტამენტების, ფრაქციების და ა. შ. დასახელება მიეთითება თავსათაურში იურისდიქციისა და საკანონმდებლო ორგანოს დასახელების შემდეგ.

ინფორმაციის წყაროში:

საქართველოს პარლამენტის საპარლამენტათაშორისო ჯგუფი.

თავსათაურში:

საქართველო. პარლამენტი. საპარლამენტათაშორისო ჯგუფი.

2.4. უცხო ქვეყნების საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დასახელება ფიქსირდება თავსათაურში ანალოგიური წესებით. საზღვარგარეთის საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების პალატათა დასახელება თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ, რომელზედაც ვრცელდება მათი ძალაუფლება და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დასახელება.

ინფორმაციის წყაროში:

Congress

თავსათაურში:

USA. Congress

2.5. საქართველოს შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს დასახელება თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში ფიქსირდება მოწვევის წელი (წლები).

ინფორმაციის წყაროში:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო

თავსათაურში:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. მინისტრთა საბჭო.

2.5.1. მხარეების, ოლქების, ავტონომიური რეგიონების, ქალაქების საკანონმდებლო ორგანოს დასახელება თავსათაურში აღინიშნება იურისდიქციის დასახელების შემდეგ. იურისდიქციის შემადგენლობაში გეოგრაფიული სახელი არ მოკლდება. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში შეიძლება მიეთითოს მოწვევის წელი (წლები).

გორის რეგიონი. საკანონმდებლო ორგანო.

2.5.2. ადმასრულებელი ხელისუფლება

2.5.3. ხელისუფლება და ხელისუფლების დაწესებულებები

ხელისუფლების, სახელმწიფო კომიტეტების, კომისიების, სამინისტროების და ა. შ. დასახელება, რომლებიც შედის საერთო სახელმწიფო ან ქვემოთ საერთო სახელმწიფო დონის (რესპუბლიკები, შტატი, მიწა, საგრაფო, პროვინცია და ა. შ.) სახელისუფლო სისტემათა დაწესებულებებში, თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

საქართველო. ფინანსთა სამინისტრო.

რუსეთის ფედერაცია. ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2.5.4. ადგილობრივი ადმინისტრაციის, ქალაქების, რაიონთა, მუნიციპალიტეტის, პრეფექტურების დასახელებები და ა. შ. დასახელებები თავსათაურში ფიქსირდება იურისდიქციის დასახელების და რაიონის ან ადმინისტრაციული რეგიონების დასახელების შემდეგ.

ინფორმაციის წყაროში:

ქალაქ კასპის ცენტრალური

რაიონული

რაიონული ადმინისტრაცია

თავსათაურში:

კასპი.

ცენტრალური

ადმინისტრაცია.

2.5.5. კომიტეტების, სამმართველოების, ადგილობრივი ადმინისტრაციების, მუნიციპალიტეტების, სარაიონო ქალაქების პრეფექტურების, სოფლებისა და სხვ. დასახელებები, თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ, თუ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია, მთლიანად სათაო უწყებისა და ორგანიზაციის მოხსენების გარეშე.

ინფორმაციის წყაროში:

ქალაქ თბილისის აგრარულ

საკითხთა კომიტეტი

თავსათაურში:

თბილისი. აგრარულ საკითხთა

კომიტეტი.

2.5.6. საერთო სახელმწიფო ან ქვემოთ საერთო სახელმწიფო დონის (რესპუბლიკა, შტატი, მიწა, საგრაფო, პროვინცია და ა. შ.) სასამართლო ორგანოების დასახელება თავსათაურში ფიქსირდება იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

ინფორმაციის წყაროში:

საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლო

თავსათაური:

საქართველო. უზენაესი სასამართლო

საქართველო. საკონსტიტუციო

სასამართლო

3. კონსტიტუციის, კანონების, ხელშეკრულებების, სამხედრო წესდებების დასახელებების მომცველი თავსათაური

საკანონმდებლო და ზოგიერთი სხვა ოფიციალური დოკუმენტის (კონსტიტუციები, კანონები, ხელშეკრულებები, სამხედრო წესდებები) დასახელებებს თავსათაურში მიუთითებენ უნიფიცირებული ფორმით იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

3.1. კონსტიტუცია

დოკუმენტის სახის აღნიშვნა უნიფიცირებული ფორმით – სიტყვა “კონსტიტუცია” იწერება იურისდიქციის დასახელების შემდეგ. მაიდენტიფიცირებელ ცნობებში შეიძლება მითითებულ იქნეს კონსტიტუციის მიღების თარიღი.

საქართველო. კონსტიტუცია (1995)

3.2. კანონი

დოკუმენტის სახის აღნიშვნა უნიფიცირებული ფორმით – სიტყვა “კანონი” ფიქსირდება იურისდიქციის დასახელების შემდეგ. საქართველო. კანონები.

3.3. ხელშეკრულებები

დოკუმენტის სახის აღნიშვნა უნიფიცირებული ფორმით – სიტყვა “ხელშეკრულებები” ან მისი ეკვივალენტი უცხოურ ენაზე მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

საქართველო. ხელშეკრულებები.

საქართველო. კანონები.

3.4. სამხედრო წესდებები და მითითებები

დოკუმენტის სახის აღნიშვნა უნიფიცირებული ფორმით – სიტყვა ”სამხედრო წესდებები და მითითებები” ან მათი ეკვივალენტი უცხოურ ენებზე მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

საქართველო. სამხედრო წესდებები და დარიგებანი.

4. სახელმწიფოს მეთაურები, უმაღლესი თანამდებობის პირები

დოკუმენტთა ჩანაწერების თავსათაურში, რომლებიც გამოქვეყნებულია სახელმწიფოს, მთავრობის მეთაურთა თანამდებობების პირთა სახელით, პირველ რგოლად მიეთითება იურისდიქციის დასახელება, მეორედ- ტიტულის ან დაკავებული თანამდებობის დასახელება.

4.1. სახელმწიფოს მეთაურები

3.1.1. თავსათაურში იურისდიქციის დასახელების შემდეგ, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურს, მიეთითება ტიტულის ან მონარქის, პრეზიდენტის და სახელმწიფოს სხვა მეთაურთა მიერ დაკავებული პოსტის დასახელება.

3.1.2. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები შეიძლება მოიცავდეს მეფობის ან პოსტზე დანიშვნის წელს (წლებს) და პირის საკუთარ სახელს პირდაპირი ფორმით.

3.1.3. თუ ადგილი ჰქონდა მმართველობის ორ და მეტ ცალკეულ პერიოდებს, თითოეული პერიოდის დოკუმენტისათვის ცალკეული სათაურები მიეთითება.

3.1.4. თუ დოკუმენტი შედგენილია ერთი ქვეყნის რამდენიმე მეთაურისაგან სხვადასხვა პერიოდში, მაიდენტიფიცირებელი ნიშნები თავსათაურში არ მიეთითება.

ინფორმაციის წყაროში:

საქართველოს პრეზიდენტი, მ.საკაშვილი (საკაშვილი)

თავსათაურში:

საქართველო. პრეზიდენტი(2004-;მ.

3.2. უმაღლესი თანამდებობის პირები

3.2.1. თავსათაურში იურისდიქციის დასახელების შემდეგ, რომელზედაც ვრცელდება უმაღლესი თანამდებობის პირთა უფლებამოსილება, მიეთითება თანამდებობის პირის ოფიციალური სახელი.

3.2.1.1. თუ თანამდებობის პირი წარმოადგენს პრეზიდენტის უფლებამოსილ წარმომადგენელს ფედერალური ოლქებიდან, მხარეებიდან, მიწებიდან, რეგიონებიდან ერთ-ერთში, თანამდებობის აღნიშვნა ხდება იურისდიქციის დასახელებისა და სიტყვის ”პრეზიდენტი” შემდეგ.

საქართველო. პრეზიდენტი. უფლებამოსილი წარმომადგენელი აფხაზეთში.

4.3. სახელმწიფოს მეთაურები, რომლებიც შედიან საქართველოს (სხვა ქვეყნების) შემადგენლობაში.

4.3.1. დოკუმენტთა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების თავსათაურში, რომლებიც შედის საქართველოს (სხვა სახელმწიფოთა) შემადგენლობაში, პირველ რგოლად მიეთითება იურისდიქციის დასახელება, რომელსაც ეკუთვნის რესპუბლიკის მეთაური, მეორე რგოლად – დაკავებული თანამდებობის დასახელება.

4.3.2. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები შეიძლება შეიცავდეს თანამდებობაზე დანიშვნის წელს (წლებს) და საკუთარ სახელს პირდაპირ ფორმაში.

ინფორმაციის წყაროში:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური (2004 - ; ლევან ვარშალომიძე).

თავსათაურში:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. მეთაური

4.4. მხარეების, ოლქების, ქალაქების მეთაურები

დოკუმენტთა ჩანაწერთა თავსათაურებში, რომლებიც მოცემულია მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქების, ქალაქების მეთაურთა სახელებით, პირველ რგოლად მიეთითება იურისდიქციის დასახელება, რომელზედაც ვრცელდება მისი სახელისუფლო უფლებამოსილება, მეორე რგოლად – დაკავებული თანამდებობის დასახელება.

ინფორმაციის წყაროში:
თბილისის მერი

თავსათაურში:
თბილისი. მერი

5. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მთავარი სამსახურების დასახელებები თავსათაურში აღინიშნება იურისდიქციის დასახელების შემდეგ.

ინფორმაციის წყაროში:
საქართველოს სამხედრო კომისარიატი
კომისარიატი.

თავსათაურში:
საქართველო. სამხედრო

6. საელჩოების, საკონსულოებისა და ა.შ. დასახელებები თავსათაურში მიეთითება იურისდიქციის დასახელების შემდეგ, რომელსაც წარმოადგენს საელჩო, იმ ქვეყნის მითითებით სადაც მდებარეობს საელჩო.

ინფორმაციის წყაროში:
გერმანიის საელჩო საქართველოში.

თავსათაურში:
გერმანია. საელჩო საქართველოში.

7. საერთო სახელმწიფო ან ქვემოთ საერთო სახელმწიფო დონის (რესპუბლიკა, შტატი, მიწა, საგრაფო, პროვინცია და ა. შ.) წარმომადგენლობის, დელეგაციის სახელი, თავსათაურში ფიქსირდება წარმომადგენლობის ან დელეგაციის იურისდიქციის დასახელების შემდეგ, მათი ადგილმდებარეობის ქვეყნის მითითებით.

ინფორმაციის წყაროში:
საქართველოს დელეგაცია რუსეთში
რუსეთში (2005).

თავსათაურში:
საქართველო. დელეგაცია

8. პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (ახალგაზრდული, ქალთა და სხვა ორგანიზაციების, ასოციაციების, ლიგების, პროფესიული კავშირების, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები და საზოგადოებები: სამეცნიერო, ტექნიკური, სავაჭრო, საგანმანათლებლო, სპორტული, საქველმოქმედო და ა. შ.) დასახელებები თავსათაურში მიეთითება ერთ რგოლად პირდაპირი თანმიმდევრობით.

9. თუ ორგანიზაციის დასახელებაში ასახული არ არის მისი საერთო სახელმწიფო ხასიათი, მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში მიეთითება ქვეყნის (რესპუბლიკის) დასახელება, რომელსაც მიეკუთვნება.

სააქციო საზოგადოებათა კავშირი (საქართველო).
Общество анонимных алкоголиков (США).

9.1. მარტივი თავსათაური სათაო ორგანიზაციის დასახელების მოხსენების გარეშე შედგება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ დასახელება მოიცავს თემატიკას, რომელიც ასახავს კოლექტივის დასახელებას;
- ბ) თუ თემატიკასთან ერთად ჩამოთვლილ კოლექტივთა დასახელებები მოიცავს ცნობებს მათი საქმიანობის ტერიტორიული სფეროს შესახებ;
- გ) თუ დასახელება მოიცავს სიტყვას: "ცენტრალური", "ნაციონალური", "საერთაშორისო", "უწყებათაშორისი", "დარგთაშორისი", "კოორდინაციული", "პრობლემური", "მთავარი" და ა.შ.;

საქართველოს საპარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფი
საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი

დ) თუ დასახელება მოიცავს პირის სახელს, რომელიც მინიჭებული აქვს ორგანიზაციას.

9.2. ორგანიზაციების განყოფილებების, სექტორების, სექციების, ფილიალების დასახელებები თავსათაურში მიეთითება სათაო ორგანიზაციის დასახელების შემდეგ, თუნდაც მათი დასახელებები საკმაოდ ინდივიდუალური იყოს.

10. ინსტიტუტების, კოლეჯების, სკოლების, ფაკულტეტების, კათედრების დასახელებები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, და აღნიშნავენ მხოლოდ კვლევის სფეროს, თავსათაურში ფიქსირდება სათაო ორგანიზაციის დასახელების შემდეგ.

11. სამეცნიერო, სასწავლო ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაციების უწყებაში შემავალი, მათ შორის ხელისუფლების ორგანოს სისტემაში შემავალი ლაბორატორიების, ობსერვატორიების, კლინიკების, კლინიკური საავადმყოფოებისა და ჰოსპიტლების დასახელებები თავსათაურში მიეთითება სათაო ორგანიზაციის დასახელების შემდეგ.

ინფორმაციის წყაროში:

საქართველოს შსს მთავარი კლინიკური ჰოსპიტალი

თავსათაურში:

საქართველო. შინაგან საქმეთა სამინისტრო. მთავარი კლინიკური ჰოსპიტალი.

12. მარტივი თავსათაური სათაო ორგანიზაციის დასახელების მითითების გარეშე შედგება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დასახელება მოიცავს თემატიკას, რომელიც გამოხატულია სათაო ორგანიზაციის დასახელებაში;

ბ) თუ დასახელებაში თემატიკასთან ერთად არის სიტყვები: "ცენტრალური", "ტერიტორიული", "დარგობრივი", "სპეციალური", "პრობლემური", "ნაციონალური" ან პირის სახელი, რომელიც მინიჭებული აქვს ორგანიზაციას, რეკომენდირებულია შედგეს რთული თავსათაური;

გ) თუ დასახელება თემატიკის გარდა მოიცავს ცნობებს ტერიტორიის შესახებ, რომელზედაც ვრცელდება ქვესაუწყებო ორგანიზაციის საქმიანობა.

ინფორმაციის წყაროში:

საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია.

თავსათაურში:

ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია (აბასთუმანი).

13. მარტივი თავსათაური სათაო ორგანიზაციის მითითების გარეშე დგება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დასახელებაში არის ცნობები საქმიანობის ხასიათისა და მიმართულების შესახებ;

ბ) თუ საქმიანობის ხასიათისა და მიმართულების შესახებ ცნობების გარდა არის ტერიტორიის შესახებ ცნობები, რომელზედაც ეს საქმიანობა ვრცელდება;

14. სამეცნიერო, სასწავლო ან სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის დაქვემდებარებაში, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების, მუზეუმების, არქივების, საზოგადოებების, ბაღების, ზოოლოგიური პარკებისა და ნაკრძალების დასახელებები თავსათაურში მიეთითება სათაო ორგანიზაციის დასახელების შემდეგ, თუ მათ გააჩნიათ სტერეოტიპული ხასიათი და არ ატარებენ ინდივიდუალიზირებულ ნიშნებს.

ინფორმაციის წყაროში:

გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი

თავსათაურში:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. ნიორაძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი (მცხეთა)

თავი 38. თავსათაური, რომელიც შეიცავს უნიფიცირებულ სათაურს

1. თავსათაური, რომელიც მოიცავს უნიფიცირებულ სათაურს, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ანონიმური კლასიკური ნაწარმოებების სახით (ხალხური ეპოსი, ისტორიული ან სამართლის ძეგლები); უნიფიცირებულ სათაურად შეიძლება მივიჩნიოთ საავტორო ნაწარმოებები, რომელთაც გააჩნიათ ტიპური სიტყვები (თხზულებათა კრებულები, რჩეული და ა. შ.).

2. თავსათაური, რომელიც შეიცავს უნიფიცირებულ სათაურს, სტრუქტურის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. მარტივი სათაური, რომელიც მოიცავს უნიფიცირებულ სათაურს, შედგება ერთი რგოლისაგან, რთული – ორი და მეტი რგოლისაგან. რთული სათაურის რგოლებს ერთმანეთისაგან გამოყოფენ წერტილით.

ბიბლია. ძველი აღთქმა. მეორე კანონი.

3. თავსათაური, რომელიც შეიცავს უნიფიცირებულ სათაურს, შეიძლება შევსებულ იქნეს მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით. მაიდენტიფიცირებელი ნიშნები გამოიყენება თავსათაურთა გასარჩევად, რომელთაც აქვთ იდენტური უნიფიცირებული სათაური.

4. თავსათაურში შეიძლება მითითებულ იქნეს რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნები – გამოცემის თარიღი და ადგილი, აღწერილობის ობიექტის ენა.

4.1. თუ აღწერილობის ობიექტი წარმოადგენს ფაქსიმილურ გამოცემას, მაიდენტიფიცირებელ ნიშნებში შეიძლება მითითებულ იქნეს ორიგინალის პუბლიკაციის წელი.

ქართული ანბანი ლოცვებითურთ (1629; რომი).

გოგებაშვილი იაკობ.

აკიდო ანუ კრებული საყმაწვილო მოთხრობათა. - ქუთაისი : სარანგი, 1992 : პოლიგრ. საწ. გაერთ. - 64გვ. ; 20სმ. - - ფაქს. გამოცემა: თბ., სტ. მ. შარაძისა და ამხ., 1901.

4.2. რომაულ-კათოლიკური ეკლესიების ლიტერატურული წიგნების უნიფიცირებულ სათაურთან, რომლებიც განკუთვნილია ცალკეული ეპარქიების, ეკლესიების, მონასტრების, რელიგიური ორდენებისათვის და ა.შ. მაიდენტიფიცირებელ ნიშნებთან შეიძლება დამატებულ იქნეს: ეკლესიის, მონასტრის და ა.შ. დასახელება, რელიგიური ორდენის დასახელება.

4.3. მუსიკალური ნაწარმოების ერთი ან რამდენიმე ტიპის დასახელების უნიფიცირებული სათაურის მომცველი თავსათაურის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებად მოიყვანება ცნობები შესრულების საშუალებების შესახებ (ცალკეული ინსტრუმენტები, ინსტრუმენტთა სტანდარტული კომბინაციები, ხმები, ანსამბლები, ორკესტრები, გუნდები და ა.შ.), ნაწარმოების რიგითი ნომერი, ტონალობა.

სონეტები (ფორტეპიანო)

სონეტები (ვიოლინო)

სონეტები (ვიოლინო, ვიოლინჩელო)

კვარტეტი (სიმებიანი)

კვარტეტი (ფორტეპიანო)

4.4. თუ ცნობები შესრულების საშუალებების შესახებ, ნომრიანი მაიდენტიფიცირებელი ელემენტები და ტონალობა საკმარისი არ არის, ან

მიუწვდომელია ორი ან მეტი ნაწარმოების გასარჩევად, მაშინ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებად ემატება შემდეგი ცნობები (უპირატესობის რიგით).

- მუსიკალური ნაწარმოების დასრულების წელი;
- ორიგინალური პუბლიკაციის წელი;
- სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნები (მაგალითად, შექმნის ადგილი, გამომცემლის სახელი – პირველის ან აუცილებლობის შემთხვევაში მომდევნოსი)

5. თუ თავსათაური, რომელიც მოიცავს უნიფიცირებულ სათაურს, წარმოდგენილია ნაწარმოებში სხვადასხვა ენობრივი ფორმით, მაშინ ისინი იწერება ნაწარმოების ორიგინალის ენაზე იმ ფორმით, რომლითაც მან მიიღო მეტი აღიარება ან მითითებულია ნაციონალურ ბიბლიოგრაფიაში და რუსულ ენაზე, თუ არსებობს ამ ნაწარმოების თარგმანი.

5.2. უნიფიცირებული სათაური გამოიყენება ჩანაწერის თავსათაურში ბიბლიისა და უცხოურ ენებზე ლიტურგიკული ნაწარმოების გამოცემებისათვის, ასევე ძველ ბერძნულ ენაზე დაწერილი ორიგინალებისათვის.

5.3. თუ დოკუმენტი მოიცავს ტექსტს სამ და მეტ ენაზე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშვნა “პოლიგლოტი”.

Biblia. N.T. Acta Apostolorum (პოლიგლოტი; 1602)

თავი 39. ხალხური ეპოსი. ანონიმური კლასიკური ნაწარმოებები

1. ანონიმური კლასიკური ნაწარმოებისათვის, რომელიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა სათაურებით უნიფიცირებულ სათაურად იყენებენ ანონიმური კლასიკური ნაწარმოების მეტად ცნობილ სათაურს.

ინფორმაციის წყაროში:

არაბული ზღაპრები

შეკრეზადას ზღაპრები

თავსათაურში:

ათას ერთი ღამე.

თავი 40. წმინდა წერილები

1. ბიბლიის უნიფიცირებული სათაური

1.1. საეკლესიო ენებზე ბიბლიის სრული გამოცემების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური მოიცავს სიტყვას ”ბიბლია”, დასავლეთ ევროპულ ენებზე – ”Biblia” (ლათინურ ენზე).

1.2. ბიბლიის ნაწილები

ძველი და ახალი აღთქმის დასახელება შემოკლებული სახით აღინიშნება თავსათაურის მეორე რგოლად, რომელიც მოიცავს სათაურს ”ბიბლია”.

ბიბლია. ძველი აღთქმა

ბიბლია. ახალი აღთქმა

1.3. ძველი და ახალი აღთქმის ცალკეულ წიგნთა ან წიგნთა ჯგუფის გამოცემების (ზოგიერთ შემთხვევაში ნაწყვეტების) ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური, მესამე რგოლად შესაბამისი წიგნის დასახელებას ან წიგნთა ჯგუფის დასახელებას.

ბიბლია. ძველი აღთქმა. წინასწარმეტყველები.

ბიბლია. ახალი აღთქმა. მარკოსის სახარება.

1.3.1. უნიფიცირებულ სათაურში რიცხვითი სახელი სიტყვიერი ფორმით გამოიყენება, თუ ის წარმოადგენს წიგნის ან წიგნთა ჯგუფის განუყოფელ ნაწილს.

ბიბლია. ძველი აღთქმა. ხუთი გრაგნილი.

1.3.2. წიგნთა იდენტიფიკაციისათვის, რომლებიც ქმნიან ნუმერაციის რიგს, გამოიყენება რიგითი რიცხვითი სახელი და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სათაურში მიეთითება არაბული ციფრებით დაბოლოებების გარეშე.

ბიბლია. ახალი აღთქმა. პავლე კორინთელებთან. 2.

1.4. თუ აღწერილობის ობიექტს წარმოადგენს ბიბლიის სხვადასხვა ნაწილები (ნაწყვეტები), ისინი იდენტიფიცირდება უნიფიცირებული თავსათაურის ვერსიის შესაბამისად.

1.4.1. თუ დოკუმენტი მოიცავს ბიბლიიდან ან მისი ცალკეული ნაწილების რჩეულ ტექსტებს, უნიფიცირებულ სათაურში ბოლო რგოლად ემატება სიტყვა "რჩეული" ან მისი ეკვივალენტი ლათინურ ენაზე "Electa".

2. წმინდა წერილებისათვის უნიფიცირებულ სათაურად იყენებენ სათაურს, რომლითაც ის მეტადაა ცნობილი და იდენტიფიცირდება რელიგიური ჯგუფის საცნობარო წყაროებში, რომელსაც მიეკუთვნება წერილი.

ყურანი.

ტალმუდი.

Трипиката.

თუ ასეთი წყარო მიუწვდომელია, გამოიყენება საერთო ხასიათის ცნობარი.

ინფორმაციის წყაროში:

მუჰამედის ყურანი

წმინდა ყურანი

თავსათაური:

ყურანი

2.1. არაქრისტიანული სარწმუნოების წმინდა წერილების უნიფიცირებული სათაურის მომცველ თავსათაურში შეიძლება მოყვანილ იქნეს შესაბამისი წმინდა წერილების თავები, ნაწილები, განყოფილებები, ტრაქტატები, კრებულები, შემადგენელი ნაწილები.

თავი 41. ლიტურგიკული წიგნები

1. მართმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკული წიგნები

1.1. უცხოური მართლმადიდებლური ეკლესიის ლიტურგიკული წიგნების უნიფიცირებული სათაური, რომლებიც გამოქვეყნებულია საეკლესიო ქართულ ენაზე, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სათაურში მიეთითება ქართულ ენაზე.

ინფორმაციის წყაროში:

ტიპიკონი

თავსათაურში:

საეკლესიო წესდება

1.2. თუ დოკუმენტი მოიცავს რჩეულ ტექსტებს ლიტურგიკული წიგნებიდან, უნიფიცირებულ სათაურში ბოლო რგოლად ემატება სიტყვა "რჩეული" ან მისი ეკვივალენტი ლათინურ ენაზე "Electa".

2. რომაულ-კათოლიკური ეკლესიების ლიტურგიკული წიგნების უნიფიცირებული სათაური მიეთითება ლათინურ ენაზე:

ინფორმაციის წყაროში:

Werktags-Taschenmessbuch

სათაურში:

Missale

თავი 42. ავტორიანი ნაწარმოებები სათაურების სხვადასხვა ვარიანტებით

1. სათაურის სხვადასხვა ვარიანტის მქონე ავტორიანი ნაწარმოების უნიფიცირებულ სათაურად მიეთითება სათაურის ცნობილი ფორმა

დანიელ დეფო

ინფორმაციის წყაროში:

რობინზონ კრუზოს ცხოვრება

და საოცარი თავგადასავალი

ჩანაწერში:

რობინზონ კრუზო.

2. მუსიკალური ნაწარმოების უნიფიცირებული სათაურის ფორმის შერჩევასა, გამოიყენებენ ორიგინალურ სათაურს, რომელიც მოცემულია კომპოზიტორის მიერ, ან თარგმნილია ქართულ ენაზე.

ბახი, იოჰან სებასტიან.

ინფორმაციის წყაროში:

ორღანისათვის ექვსი დიდი პრელუდია

ჩანაწერში:

პრელუდიები და ფუგები

და ფუგა

2.1. თუ მუსიკალური ნაწარმოების სხვა სათაურმა ჰპოვა დიდი აღიარება, ის გამოიყენება უნიფიცირებულ სათაურად.

ვერდი, გუზეპე.

ინფორმაციის წყაროში:

ნაბუქოდონოსარი

ჩანაწერში:

ნაბუკო

2.2. თუ მუსიკალური ნაწარმოების სათაური ძალზე დიდია, იყენებენ მოკლე სათაურს, რომლითაც ნაწარმოებმა მოიპოვა დიდი აღიარება.

2.3. აღწერილობის ობიექტზე, რომელიც წარმოადგენს თხზულებათა სრულ კრებულს ჩანაწერის თავსათაურის შედგენისას, უნიფიცირებულ სათაურად შედგება ტიპიური სიტყვა "თხზულებათა კრებული".

ვაჟა-ფშაველა

ინფორმაციის წყაროში:

თხზულებათა სრული კრებული

ჩანაწერში:

თხზულებათა კრებული

2.4. რამდენიმე ჟანრის სამი და მეტი ნაწარმოების ნაწყვეტების მომცველი აღწერილობის ობიექტზე ჩანაწერის თავსათაურის შედგენისას უნიფიცირებულ სათაურად ირჩევენ სათაურს "რჩეული".

2.5. ერთი ავტორის ერთი ჟანრის კრებულისაგან შემდგარი აღწერილობის ობიექტის ჩანაწერის თავსათაურის შედგენისას, უნიფიცირებულ სათაურად შეარჩევენ ერთს შემდეგი ტიპიური სათაურების ფორმათაგან – პიესები, მოთხრობები, იგავები, პოემები, ლექსები.

2.6. თუ აღწერილობის ობიექტი შედგება ერთი ავტორის სამი და მეტი ნაწარმოებისაგან, მაგრამ ეს არ არის მისი მთელი შემოქმედება, რაც მის მიერ არის შექმნილი, ან ერთ ჟანრში შექმნილი ერთი ავტორის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებისაგან, უნიფიცირებულ სათაურში ტიპიურ სიტყვებთან უმატებენ სიტყვას „რჩეული“.

კალანდაძე, ანა

ინფორმაციის წყაროში:

რჩეული ლექსები

ჩანაწერში:

ლექსები. რჩეული

3.5. თუ მუსიკალური ნაწარმოების ამსახველი დოკუმენტის სათაური აღნიშნავს მუსიკალური ნაწარმოების ჟანრს, ტიპს და ა. შ. უნიფიცირებულ სათაურად იყენებენ ჟანრის დასახელებას. უნიფიცირებული სათაური მიეთითება მრავლობით რიცხვში (მაგალითად: ბალადები, სონეტები, დუეტები) იმ შემთხვევათა გარდა, როცა დოკუმენტი მოიცავს მოცემული ტიპის მხოლოდ ერთ ნაწარმოებს.

3.6. თუ დოკუმენტში, რომელსაც ჰყავს კომპოზიტორი და აქვს კერძო სათაური, ამასთანავე მოიცავს ასევე ნაწარმოების ტიპის დასახელებას, უნიფიცირებულ სათაურად იყენებენ მუსიკალური ნაწარმოების ტიპის დასახელებას.

თავი. 43. დოკუმენტის სახის აღმნიშვნელი თავსათაურის შედგენის წესები

1. სტანდარტიზაციაში ნორმატიული დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური მოიცავს:

- დოკუმენტის ინდექსს (ГОСТ, OCT, TY, ИСО)
- ციფრული, ასოითი ან ასოით-ციფრული აღნიშვნა
- დამტკიცების წელი

თავსათაურში ასევე მიეთითება ასოები " E " და „ჰ“, რომლებიც ასახავენ ობიექტის სტანდარტიზაციის ექსპერტული პროდუქციის კუთვნილებას.

მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკატორი : საქართველოს ეროვნული

კლასიფიკატორი სეკ 003-2003 (ისო 3166-3:1999) - თბ. : საქ.

სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახ.
დეპარტამენტი, 2003 - 55გვ.

*ГОСТ 7.53- 2001. Издания. Международная стандартная нумерация книг
.- Взамен ГОСТ 7.53-86; введ. 2002-07-01.- Минск: Межгос. совет по
стандартизации, метрологии и сертификации; М.: Изд-во стандартов, сор.
2002.- 3 с.*

1.1. ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმატივებისა და ნორმების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშვნები, შეიცავს:

- დოკუმენტის ინდექსს;
- დოკუმენტის ციფრულ, ასოით ან ასოით-ციფრულ აღნიშვნას;
- დამტკიცების წელს.

1.2. საპატენტო დოკუმენტების (პატენტები, განაცხადები, საავტორო მოწმობები) ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების თავსათაურები შეიცავს:

- საპატენტო დოკუმენტის სახის აღნიშვნას (პატენტები, განაცხადები, საავტორო მოწმობები);

- საპატენტო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერს;
- დოკუმენტის გამომცემი ქვეყნის დასახელებას;
- საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსს (საწარმოო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსი ან სასაქონლო და სამომსახურეო საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსი).

ასეთი სახის საპატენტო დოკუმენტების აღნიშვნა, როგორცაა „პატენტი“ და „საავტორო მოწმობა“ მიეთითება შემოკლებული ფორმით: „პატ.“, „საავტ. მოწმ.“.

ქვეყნის დასახელება, რომელმაც დოკუმენტი გამოსცა, მიეთითება ოფიციალური ფორმით.

საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსს წინ უძღვის მძიმე.

*Пат. 2187888 Российская Федерация, МПК 7 Н 04 В 1/38, Н 04 J 13/00.
Приемопередающее устройство / Чугаева В. И.; заявитель и
патентообладатель Воронеж. науч.-ислед. ин-т связи.- № 2000131736/09;
заявл. 18.12.00; опубл. 20.08.02, Бюл. № 23 (II ч.).- 3 с.: ил.*

თავი 44. სათაური, რომელიც გეოგრაფიულ დასახელებას შეიცავს

1. თავსათაური, რომელიც შეიცავს გეოგრაფიული ტერიტორიის დასახელებას ფორმდება იმ თანმიმდევრობით, გარკვეული წესების შესაბამისად (აკვატორიები, ციური სხეულები, ნებისმიერი არამიწიერი სივრცეები და ა.შ.), რომელთა შესახებ ცნობებს შეიცავს დოკუმენტი.

2. თავსათაურში წარმოდგენილი ცნობების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ გეოგრაფიული დასახელებების შემცველ შემდეგი სახის თავსათაურებს:

2.1. თავსათაური, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიულ ერთეულს, რომელზედაც ვრცელდება სახელწიფო ორგანიზაციის (სამთავრობო, სასამართლო ან სხვა ორგანოს) იურისდიქცია. ტერიტორიის დასახელებას მიუთითებენ თავსათაურის პირველ რგოლად შესაბამისი ორგანიზაციის დასახელებით.

2.2. თავსათაური, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზედაც ვრცელდება კანონი, ხელშეკრულება, სამხედრო წესდება და ა.შ. ტერიტორიის დასახელებას ასევე მიუთითებენ თავსათაურის პირველ რგოლად .

2.3. თავსათაური, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც ასახულია კარტოგრაფიულ მასალაში (დოკუმენტში), შეადგენენ მარტივ თავსათაურს, რომელშიც მიუთითებენ ტერიტორიის დასახელებას (ტერიტორიული თავსათაური).

2.4. თავსათაური, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიას და რომლის აღწერილობასაც შეიცავს დოკუმენტი, ასევე შედგება მარტივი თავსათაური, რომელშიც მიეთითება ტერიტორიის დასახელება (პერსონალის სახესხვაობა).

3. ტერიტორიის დასახელება თავსათაურში შეიძლება მოყვანილ იქნეს განზოგადებული სახით.

ინფორმაციის წყაროში:

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

ოკეანეების რუკა

Карта движения планет

თავსათაურში:

მსოფლიო

მსოფლიო ოკეანე

Звездное небо

4. აუცილებლობის შემთხვევაში გეოგრაფიულ დასახელებას ამატებენ განმარტებულ გეოგრაფიულ ტერმინს. გეოგრაფიული დასახელებისა და განმარტებული ტერმინის გამოსაყოფად იყენებენ მძიმეს.

ქსანი, სოფ.;

ქსანი, მდ.

4.1. თავსათაურში ტერიტორიის (ცალკეული ობიექტის) გეოგრაფიულ დასახელებას შეიძლება წინ უძღოდეს მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომელთა რანგშიც მიეთითოს მოცემული ტერიტორიის (ობიექტის ადგილმდებარეობისა და დროის დასაზუსტებლად) სხვადასხვა განმარტებითი სიტყვები.

5. თავსათაურს, რომელიც შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, ადგენენ ბიბლიოგრაფიის შემდგენი დაწესებულების ენაზე.

6. თავსათაურში გეოგრაფიული დასახელება არ მოკლდება; დამატებითი ცნობები შეიძლება მოცემულ იქნეს საერთოდ მიღებული შემოკლებების წესების შესაბამისად.

7. თავსათაურში ტერიტორიის დასახელება მიეთითება მოცემული ნაწარმოების გამოქვეყნების პერიოდისათვის არსებული ფორმით.

8. თავსათაურში გეოგრაფიული დასახელება მიეთითება ინვერსიით, თუ ის იწყება ტერმინით.

განყოფილება 5. ხელმისაწვდომობის წერტილის შერჩევა

თავი 45. ძირითადი დებულებანი. ხელმისაწვდომობის წერტილების სახეები

1. დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წერტილის შერჩევა ნიშნავს ამ დოკუმენტზე (სათაური ან თავსათაური) ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაცემების შერჩევას, რომელთაც საინფორმაციო მასივში საძიებო ელემენტის, ხოლო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის მოწესრიგებისას მარჯონიშებელი ელემენტის როლი უნდა შეასრულონ. ხელმისაწვდომობის წყაროები იყოფა ძირითად და დამატებითად.

2. ძირითადი ავტორიტეტული (ნორმალიზებული) ხელმისაწვდომობის წყარო არის თავსათაური, რომელიც შეიცავს ავტორის სახელს ან ორგანიზაციის დასახელებას, რომელსაც დოკუმენტის შემადგენელი ნაწარმოების ინტელექტუალური და მხატვრული გამოხატვის მიმართ ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება.

3. ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად შეიძლება გამოყენებული იქნეს თავსათაურის სხვა ფორმები (დოკუმენტის დანიშნულების სახე, დოკუმენტში ასახული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება), დოკუმენტის უნიფიცირებული, შედარებით ცნობილი და განზოგადებული სათაური.

4. ხელმისაწვდომობის დამატებით წერტილად შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სათაურები და თავსათაურები.

5. თავსათაურები შეიცავენ თანაავტორებისა და სხვა პასუხისმგებლობის პირების სახელებს: შემდგენლები, გადამმუშავებლები, ადაპტორები, სპექტაკლის მუსიკის ავტორები და ა. შ. ლიბრეტოს ავტორები, შემსრულებლები, რედაქტორები, რეჟისორები, მთარგმნელები, ილუსტრატორები, ავტორ-პროგრამისტები, პროდიუსერები, მხატვარ-მულტიპიკატორები და სხვ. და აგრეთვე რეალურად არსებული პირები, რომლებზედაც ლაპარაკია დოკუმენტის ტექსტში.

5.1. თავსათაურები, რომლებიც ორგანიზაცია-თანაავტორებისა და სხვაგვარი პასუხისმგებლობის ორგანიზაციების დასახელებებს შეიცავენ.

6. ელექტრონული მასივებისათვის ხელმისაწვდომობის წერტილის ფორმირება ხდება შესაბამის ველებში. ბარათული მასივისათვის ძირითადი და დამატებითი ხელმისაწვდომობის წერტილი მოთავსდება ცალკე სტრიქონზე ჩანაწერის დასაწყისში ან გამოიყოფა პოლიგრაფიული საშუალებებით.

7. ხელმისაწვდომობის წერტილის შერჩევა ხდება, როგორც წესი, დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე, მისი სახის განსაზღვრის და აგრეთვე გამოცემის მონაცემების შემადგენლობისა და განლაგების არსებობის შემთხვევაში. დოკუმენტის სახის დადგენა ხდება თვით დოკუმენტში მის შესახებ არსებული კონკრეტული ცნობების საფუძველზე.

თავი 46. ხელმისაწვდომობის წერტილად პირის სახელის შერჩევა

1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც პირის სახელის შემცველი თავსათაურით იწყება, ნიშნავს, რომ ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად აირჩევა ნაწარმოების შემქმნელის სახელი, რომელიც დოკუმენტშია მოხსენიებული ან დადგენილია სხვა წყაროებით.

2. ერთი ავტორი

2.1. პირის სახელის შემცველი თავსათაურის ქვეშ შედგება ჩანაწერი შემდეგ საავტორო დოკუმენტებზე, იმის მიხედვით, ჩანაწერის ობიექტში ავტორის (ავტორების) სახელები მითითებულია თუ დადგენილია სხვა წყაროებით:

- ტექსტობრივი საავტორო ნაწარმოებები (მხატვრული ნაწარმოებები, მონოგრაფიები, სტატიები, მოხსენებები (საანგარიშოს ჩათვლით), ლექციები, სახელმძღვანელოები, დისერტაციები, ავტორეფერტები და სხვ. ამგვარი ნაწარმოებები;

- ავტორიანი მუსიკალური ნაწარმოებების სანოტო ტექსტები;

- იზომასალები: ორიგინალური ფერწერული, გრაფიკული, მხატვრული და სკულპტურული, რეპროდუცირებული საავტორო პლაკატები, ღია ბარათები, მხატვრული ტილოები, ნახატები, გრაფიურები, ქანდაკებები, ფოტოგრაფიები და ა. შ.;

- აუდიომასალები, რომლებიც ავტორიანი ნაწარმოებების ჩანაწერებს შეიცავენ (მუსიკალურ-სიმფონიური, ლიტერატურულ-მხატვრული, პებლიცისტური და ა.შ.);

- ვიზუალური მასალები: კინოფილმები, მიკროფილმები, ვიდეოჩანაწერები, სლაიდები და სხვ. რომლებიც საავტორო ნაწარმოებებს შეიცავენ;

- ელექტრონული რესურსები: CD – ROM და სხვა დისკები, დისკეტები, საინფორმაციო მასალები, ინტერნეტის ქსელში წარმოდგენილი, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ საავტორო ნაწარმოებებს შეიცავენ.

2.2. პირის (ავტორის) სახელის შემცველ თავსათაურზე ჩანაწერი დგება მრავალნაწილიან საავტორო ნაწარმოებებზე ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებების კრებულებზე, ერთი ავტორის მიერ შექმნილ ამონაბეჭდებზე, ნაწყვეტებზე.

2.3. პირის (ავტორის) სახელის შემცველ თავსათაურზე ჩანაწერი დგება ყველა გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, მისი სახის მიუხედავად, რომელთაც გააჩნიათ ე. წ. საავტორო გაფორმება. საავტორო გაფორმებაში იგულისხმება დოკუმენტის ისეთი გაფორმება, როდესაც ინფორმაციის მთავარ წყაროში (სატიტულო გვერდი, სატიტულო ეკრანი და სხვ.) მითითებულია ავტორის სახელი უსიტყვოდ, რომელიც აზუსტებს მის როლს დოკუმენტის შემცველი ნაწარმოების შექმნაში ან სიტყვებით, რომლებიც ავტორობას ამტკიცებენ. საერთოდ ავტორის სახელი თავსდება სათაურის წინ. იშვიათად ტექსტის წინ (შესაბამის სატიტულო ფურცელზე).

გამსახურდია კონსტანტინე

დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა : რაინდული რომანი / [მხატვ.: ე. ბერძენიშვილი]. - თბ. : განათლება, 1984. - 381გვ. : პორტრ., ილ. ; 22სმ. - (სასკოლო ბიბ-კა). - : 70კ.

2.4. თუ ნამდვილი ავტორის სახელის დადგენა არ არის შესაძლებელი ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ჩაითვლება ნაწარმოების ავტორის ფსევდონიმი, კრიპტონიმი (ფარული სახელი) და პოლიგრაფიული საშუალებებით შედგენილი სახელები .

უიარაღო

მამელუკი : [მოთხრობა / წინასიტყვ. ავტ.: სოლომონ ცაიშვილი]. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1989. - 127გვ.

3. რამდენიმე ავტორი

3.1 თუ ავტორი სამზე მეტი არ არის, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ამოირჩევა თავსათაური, რომელიც შეიცავს ერთი ავტორის სახელს, როგორც წესი, პირველის. მეორე და მესამე თანაავტორების სახელები გახდება ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილები.

შანიძე აკაკი

ქართული ენა : (ლექსიკა და ფრაზეოლოგია, მორფოლოგია, ორთოგრაფია, მეტყველების განვითარება) : მე-4 კლ. სახელმძღვ. / ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე - მე-5 გამოც. - თბ. : განათლება, 1989. - 110გვ.

თუ სამზე მეტი ავტორია, ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილი იქნება დოკუმენტის ძირითადი სათაური.

ლექციების კურსი ზოგად ფიზიკაში / მზია ცირეკიძე, შორენა

დეკანოსიძე, იამზე კალანდაძე, ჯულიეტა ნარუსლიშვილი ; [რედ.: ა. ბიბილაშვილი]. - თბ. : [თობალისი], 2005. - 20სმ.

ნაწ. 1 - 2005. - 140გვ. : ნახ. - ISBN 99940-36-51-3 : [ფ.ა.]

3.1.1. თუ თანაავტორად მთავარ წყაროზე, რომელსაც აქვს საავტორო გაფორმება, ნაჩვენებია ავტორის სხვადასხვა კატეგორიის პირთა სახელები (ტექსტის ავტორი და ილუსტრაციების ავტორი, მუსიკის ავტორი და ტექსტის ავტორი, ტექსტის ავტორი და კომპიუტერული გამოსახვის ავტორი და სხვ.), მაშინ ჩანაწერი დოკუმენტზე დგება ორი ავტორის ნაწარმოების ჩანაწერის წესებით.

მაჭავარიანი ა.

რომანსები [ნოტი] : [ხმისათვის ფ-პიანოს თანხლ.] / ნ. ბარათაშვილის ლექსების მიხედვით. - თბ. : მუსფონდი, 1989. - 46გვ. ; 29სმ. - ყდა და თავფ. ქართ., რუს., ინგლ. ენ. - ტექსტი ქართ., რუს. ენ.

(დამატებითი ხელმისაწვდომობის წერტილი ნ. ბარათაშვილი)

3.2. თუ რამდენიმე ავტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებში ერთ-ერთი გამოიყოფა ძირითადი პოლიგრაფიული საშუალებებით ან სიტყვიერად, მაშინ ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად მიიჩნევა თავსათაური, რომელიც ამ ავტორის სახელს შეიცავს. ამასთანავე დანარჩენი ავტორების რაოდენობა ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილის შერჩევაზე არ მოქმედებს. სხვა ავტორების სახელები (თუ ორზე მეტი არ არის) იქნება ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილები. ანბანური კატალოგისათვის მათზე უნდა გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერები.

4. ხელმისაწვდომობის წერტილების შერჩევის თავისებურება საავტორო დოკუმენტების სხვადასხვა სახეებზე.

4.1. წერილები, მიმოწერა, დისკუსიები, ინტერვიუები

4.1.1. ერთი პირის მიერ ერთ პირთან ან რამდენიმე ადრესატთან მიწერილი წერილების აღსაწერად ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად აირჩევა თავსათაური, რომელიც ამ პირის სახელს შეიცავს. ანალოგიურად აირჩევა ხელმისაწვდომობის წერტილი ერთი პირის მიერ რამდენიმე პირთან (3-ზე მეტის) მიმოწერის შემთხვევაში.

რეპინი, ი. ე.

წერილები ე. კ. თარხანოვ-ანტოკოლსკისა და ი. რ. თარხანოვისადმი / ი. ე. რეპინი

ტოლსტოი, ლ. ნ.

მიმოწერა რუს მწერლებთან / ლ. ნ. ტოლსტოი

ლიტერატურული დიალოგები / ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწ.

უნ-ტი, ქართ. ლიტ-რის კათედრა. - ქუთაისი.

წ. 1 : *გალაკტიონ ტაბიძე / [რედ.: ავთანდილ ნიკოლეიშვილი]. - , 2003*

.- 135გვ. - კანზე სათაური: ლიტერატურული დიალოგები, გალაკტიონი. - : ფ.ა., 300ც.

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური:

გალაკტიონ ტაბიძე)

4.1.2. თუ დოკუმენტი შეიცავს რამდენიმე პირის მიმოწერის ან დისკუსიის ჩანაწერს, ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილი ხდება მათგან პირველი სახელის (თუ 3-ზე მეტი არ არის) შემცველი თავსათაური. ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილები არის მიმომწერი და დისკუსიაში მონაწილე მეორე და მესამე პირების სახელები.

ვერნადსკი, ვ. ი.

მიმოწერა ვ. ი. ვერნადსკისა და ბ. ლ. ლიჩკოვს შორის, 1940-1944

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: ლიჩკოვი ბ. ლ.)

დობროვა, ლ. ნ.

ციგურაობის ჩარჩოში : ფიგურული სრიალი: როგორ ხედავენ მას

მწვრთნელი და ჟურნალისტი / ლ. ნ. დობროვა, ე. ა. ჩაიკოვსკაია

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: ჩაიკოვსკაია, ე. ა.)

თუ მიმოწერა ან დისკუსია მიმდინარეობს ოთხი ან მეტი პირის მიერ ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილი იქნება ძირითადი სათაური.

4.1.3. ჩანაწერის შედგენა იმ დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს ინტერვიუს, ინტერვიუს სახის საუბარს და კითხვებზე პასუხს, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ჩაითვლება თავსათაური, რომელიც შეიცავს იმ პირის სახელს, რომელიც აძლევს

ინტერვიუს ან პასუხობს შეკითხვებზე, ინტერვიუერის სახელი კი – ხელმისაწვდომობის დამატებით წერტილად.

გაფრინდაშვილი, ნ.

ჭადრაკის არსი ბრძოლაა: [თ. გიორგაძის ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონთან ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილთან] / ნ. გაფრინდაშვილი

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: თ. გიორგაძე)

გამონაკლისს წარმოადგენს ის დოკუმენტები, რომლებსაც გააჩნიათ ავტორისეული გაფორმება, სადაც ავტორად მითითებულია ინტერვიუს ჩამტარებელი პირის სახელი. თავსათაური, მისი სახელით, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ჩაითვლება, ხოლო ინტერვიუს მიმცემის სახელის შემცველი თავსათაური – ხელმისაწვდომობის დამატებით წერტილად.

ბერიძე კახა

ჩემი გული მუდამ საქართველოშია: ინტერვიუ კახი კახიაშვილთან

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: კახი კახიაშვილი)

4.1.4. ერთი ჟურნალისტის მიერ რამდენიმე პირთან აღებული ინტერვიუების კრებულის ჩანაწერი დგება იმ თავსათაურით, რომელიც მის სახელს შეიცავს.

მიქაძე ლენა

ამერიკას სურს, მოკავშირეს მტკიცე საზღვარი ჰქონდეს: ინტერვიუ "საზღვრის დაცვისა და კანონის განმტკიცების" პროგრამის ამერიკელ ხელმძღვანელებთან

რამდენიმე პირის მიერ ერთმანეთში მიმოწერის, დისკუსიის ან საუბრის ჩანაწერი დგება რამდენიმე ავტორის ნაწარმოების ჩანაწერის წესების მიხედვით.

4.2. ლიტერატურული, მუსიკალური და სხვაგვარი დამუშავების, გადამუშავების, ინტერპრეტაციის, შინაარსის გადაცემის, ადაპტაციის, შემოკლების, არანჟირების (გადაკეთების) და ა.შ. ნაწარმოების ჩანაწერის შედგენისას ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ჩაითვლება პირველადი ნაწარმოების ავტორის სახელის მქონე თავსათაური.

ებრალიძე მამია

რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“: [პროზაული ვარიანტი / მ. ებრალიძე] .- თბ.: მერანი, 1990.- 190 გვ.

4.2.2. მოდიფიცირებული ნაწარმოების თავსათაური, რომელიც პირის სახელს შეიცავს, აირჩევა ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად, თუ გადამუშავების შემდეგ ლიტერატურული ნაწარმოების (ინსცენირება, პოეტური ნაწარმოების პროზად გადაკეთება და პირიქით) მუსიკალური ნაწარმოების (პარაფრაზა, პოპური, ვარიაციები, ფანტაზიები) და ა. შ. ჟანრი შეიცვალა. ამასთანავე არსებითად იცვლება პირველდაწყებითი ნაწარმოების ხასიათი და შინაარსი. მაგ.: ავტორად ნაჩვენებია პირის სახელი, რომელმაც შექმნა მოდიფიცირებული ნაწარმოები, მოყვანილია დამაზუსტებელი სიტყვები „მოტივებზე“, „საფუძველზე“ და ა.შ. ან ნაწარმოებს მინიჭებული აქვს ახალი სახელწოდება. ორიგინალის ავტორის სახელი (საჭიროების შემთხვევაში სათაურთან ერთად) გამოიყენება როგორც ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

კახაძე ირაკლი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპრად გარდათქმული და დასურათებული ირაკლი კახაძის მიერ .- თბ.: ჯი ეი თი, 2006.- 46 გვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ძნელია გადამუშავების ხარისხის დადგენა, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ჩაითვლება ორიგინალური ნაწარმოების ავტორის სახელიანი თავსათაური.

4.3. კომენტარებიანი საავტორო ნაწარმოების ჩანაწერის შექმნის დროს ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილის საკითხის გადაწყვეტისას არჩევანი უნდა გაკეთდეს ორიგინალის ავტორსა და კომენტარების ავტორს შორის.

4.3.1. თუ მთავარი წყაროს გაფორმებისას კომენტარებს აქვს დამხმარე ხასიათი, ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილი იქნება კომენტარებიანი ნაწარმოების ავტორის სახელიანი თავსათაური. კომენტატორის სახელი შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

რუსთაველი შოთა

ვეფხისტყაოსანი: სასკოლო გამოცემა / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარები დაურთო ნ. ნათაძემ. – თბ.: განათლება, 1974. – 547 გვ.; 22 სმ. – (განათლების ბიბ–კა).

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: ნ. ნათაძე)

4.4. ილუსტრაციების მნიშვნელოვანი რაოდენობის შემცველი საავტორო ნაწარმოების ჩანაწერის შექმნისას ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილის საკითხის გადაწყვეტისას არჩევანი გაკეთდება ტექსტის ავტორსა და ილუსტრაციების ავტორს შორის.

4.4.1. საავტორო ნაწარმოებებისათვის, რომლებიც დიდი რაოდენობით ილუსტრაციებს შეიცავენ, ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილი არის ტექსტის ავტორის სახელიანი თავსათაური. ილუსტრაციების ავტორის სახელი შეიძლება იყოს ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

რუსთაველი შოთა

ვეფხისტყაოსანი : პოემა / ილ. მ. ზიჩისა ; მხატვრ. გაფორმება დ. დუნდუასი - თბ. : საბჭ. საქართველო, 1975 : დაბეჭდილია ლაიპციგში. - 307გვ. : ილ. 1 ფ. პორტრ. ; 32სმ.

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: მ. ზიჩი)

4.4.2. გამოცემებისათვის, რომლებშიც ავტორად მთავარ წყაროში გამოყვანილია ტექსტის ავტორი, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად აირჩევა ტექსტის ავტორის სახელი. მხატვრის სახელი შეიძლება იყოს ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

გომართელი ნინო

მსოფლიო ხელოვნების შედეგები : [ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი / რედ.: ზ. ჩიმაკაძე]. - თბ. : ცოდნა, 2000. - 128გვ. : ილ. ; 20სმ. - ბიბლიოგრ.: გვ. 126.

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილები: ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი)

4.4.3. თავსათაური, რომელიც მხატვრის სახელს შეიცავს, აირჩევა ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად ალბომისათვის, რომელიც მის ილუსტრაციებს შეიცავს, თუ ის მოთავსებულია მთავარ წყაროზე ავტორად. ტექსტის ავტორის სახელი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

ნიკო ფიროსმანაშვილი: ხუთი ფერადი და ორმოცდარვა ერთფეროვანი რეპროდუქციით / ტექსტი ტ. ტაბიძის, გრ. რობაქიძის, გ.ქიქოძის; [სარედ. კოლეგია: გიორგი გუნია და სხვ.]. – თბ., 1966. – 205 გვ.

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: ტ. ტაბიძე)

4.4.4. თავსათაური იმ პირის სახელით, რომელიც ერთდროულად ტექსტის ავტორიცაა და ილუსტრაციებისაც, აირჩევა ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად.

4.5. მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოებები

4.5.1. ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილის შერჩევასა ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შეიცავენ ნოტებს და ლიტერატურულ ტექსტს (ოპერა, მუზიკლი, ორატორია, კანტატა, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია და ა.შ) არჩევანის გაკეთდება მუსიკისა და ლიტერატურული ტექსტის ავტორებს შორის.

4.5.2. თავსათაური, რომელიც კომპოზიტორის სახელს შეიცავს, შეირჩევა ნაწარმოებისათვის, სადაც ლიტერატურულ ტექსტს აქვს დამხმარე მნიშვნელობა, თან ახლავს ნოტების ტექსტი (ლიბრეტო, ოპერის ტექსტი, სიმღერის ლექსის ტექსტი და ა. შ.). ლიტერატურული ტექსტის ავტორის სახელი შეიძლება იყოს ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

წერეთელი ვარ.

სულიკო [ნოტი]: [ხმისათვის ფ-პიანოს აკომპ-ით] / სიტყვ. ა. წერეთლის ; კილო ვარ. წერეთლის ; დამუშ. კ. ფოცხვერაშვილის ; Пер. А. Канчели - თბილისი : სახელგამი, მუსსექტორი, 1939 .

(ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი – თავსათაური: ა. წერეთელი)

4.5.3. სანოტო ტექსტის არ არსებობის ან მისი არსებობისას ნაწყვეტების სახით, რომლებიც ლიტერატურული ტექსტის ილუსტრირებას ახდენენ, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად მიიჩნევა თავსათაური ლიბრეტოს, ლექსობრივი ან სხვა ტექსტის (მის საფუძველზე მდებარე) ავტორის სახელი. კომპოზიტორი ან სხვა პირის სახელი ნაწარმოების სათაურთან ერთად ხდება ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილი.

ვაჟა – ფშაველა

მთანი მაღალნი / შემსრ.: თ. არჩვაძე // ვაჟა-ფშაველა. პროზა.– M 4048 063.

კალინინა ტ.

ანდერსენის ზღაპრები [ტექსტი]: ლიბრეტო საბავშვო ოპერისათვის პროლოგითა და ეპილოგით ჰ. ანდერსენის ზღაპრის „თოვლის დედოფლის“ მიხედვით / ტ. კალინინა; მუს. ს. ბანევიჩისა.

4.6. ხმისჩანაწერები

4.6.1. ხმისჩანაწერზე ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილის შერჩევასა საჭიროა მუსიკის ავტორს, ტექსტის ავტორსა და შემსრულებელს შორის არჩევანის გაკეთება. თუ ხმისჩანაწერში მითითებულია მუსიკალური ნაწარმოების მუსიკის ავტორი, ლიტერატურული ტექსტის ავტორის ან შემსრულებლის სახელი, ხელმისაწვდომობის ძირითადი წერტილი იქნება მუსიკის ავტორის სახელი, ტექსტის და შემსრულებლის სახელი – დამატებითი.

ბასილია, ა.

იყიდება საქართველო / ტექსტ. ავტ. მ. ფოცხიშვილი; ასრ. თ. წიკლაური // აპრილის დილა .– C 6081827 004.

(ტექსტ. ავტორის და შემსრულებლის სახელები იქნება ხელმისაწვდომობის დამატებითი წერტილები)

4.6.2. თუ ხმისჩანაწერი შეიცავს სხვადასხვა ავტორების მუსიკალურ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ერთი მუსიკოსის, მხატვრული კითხვის ოსტატის და სხვ. მიერ შესრულებულებს, ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად აირჩევა შემსრულებლის სახელი.

გომიაშვილი, ვ.

ვასო გომიაშვილი. სცენები ვ. მარჯანიშვილის დრამ. თეტრის სპექტაკლებიდან/ შემდგ. ლ. კიკალიშვილი. – თბ., მელოდია, 1989. – 1 გრფ. [ГОСТ 5289–88] (40 წთ.): 33 ბრ.წთ, მონო; 30 სმ. კონვ. (ქართული სცენის ოსტატები).

შინაარსი: „მაია წყნეთელი“/ვ. კანდელაკი. „ურიელ აკოსტა“

/ვ. გუცკოვი. „ძველი ვოდვეილები“/ქ. ბახუტაშვილი და სხვ.

4.7. სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა კრებულები

4.7.1. თუ დოკუმენტი წარმოადგენს სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა კრებულს, რომელიც ინფორმაციის ერთ მატარებელზეა განთავსებული ხელმისაწვდომობის ძირითად წერტილად აირჩევა:

4.7.2. თავსათაური, რომელიც შეიცავს პირველი ავტორის ან პოლიგრაფიული წესით გამოყოფილი ავტორის სახელს, თუ კრებულს აქვს საერთო სათაური და აქვს მთავარი საინფორმაციო წყაროს ავტორისეული გაფორმება, ამასთანავე ავტორი არ არის 3-ზე მეტი.

ბარათაშვილი, ნ. ლექსები და პოემები / ნ. ბარათაშვილი,

ალ. ჭავჭავაძე

(დამატებითი ხელმისაწვდომობის წერტილი ალ. ჭავჭავაძე)

4.7.3. თავსათაური, რომელიც ნაწარმოების ავტორის სახელს შეიცავს, და რომელიც მითითებულია მთავარ წყაროში პირველი, თუ კრებულს არა აქვს საერთო სათაური (ავტორისეული გაფორმება არის თუ არ არის ეს არჩევაზე არ იმოქმედებს).

ნემსაძე ლ.

თბილისის მზე [ნოტი] : პოპულარული ქართული საესტრადო სიმღერები

და რომანსები : [ხმისათვის ფ-პიანოს თანხლ.] / რედ. მ. ნადარეიშვილი და მ.

ქლენტი ; წინათქმა: ნ. მამისაშვილი, ჰენრი ნაფლიანი, ვაჟა აზარაშვილი. - თბ.,

2006. - 71გვ.

